სპორტი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 17 ივნისი 1999 №112 (885) | ფასი 50 თეთრი

13 მილიონი

„ინტერში“ გადასული კრისტიან ვიერი წელიწადში გასამრჯელოდ დაახლოებით 13 მილიონ დოლარს მიიღებს

ზოგი ძალიან დაიღალა

39a. Copa América Paraguay '99

კოპა ამერიკაზე არგენტინელებს ბატისტუტა, კრესპო, ალმეიდა, ვერონი და შამოტი არ ეყოლებათ

ჰიმალაელი ვეფხვები



...ისინი მთამსვლელებთან ერთ თოკში ჩაბმულნი მათი ჭირ-ვარამის თანაზიარნი არიან. შერპები იღუპებიან არა მხოლოდ ზვავსა და ქვათაცვენაში, ყინვასა და ქარბუქში, არამედ სხვათა გადარჩენის ცდისასაც

ადამიანი უფრო სწრაფი გახდა!

9.79: მორის გრინის მსოფლიოს რეკორდი

გუშინ მძლეოსნურ სამყაროში დიდი ამბავი მოხდა. ათენის საერთაშორისო ტურნირზე ამერიკელმა მსოფლიოს ჩემპიონმა მორის გრინმა 100 მეტრი 9,79 წამში გაირბინა. ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონის, კანადელი დონოვან ბეილის 9,84 წამს ხუთი მეასედი ჩამოაკლო და მსოფლიოში უსწრაფესი კაცის სახელიც დაიგდო. ათენის ოლიმპიური სტადიონი მართლაც ფეხბედნიერია კანზასელი მძლეოსნისთვის: მორის გრინმა ორი წლის წინ სწორედ ათენში ირგუნა მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი. გახარებულ გრინს ნარეკორდევს უთქვამს, მჯეროდა, რომ დღეს რეკორდს დავამყარებდიო, მერე კი დაუქადნია: 9,79 რა ბედენაა, ისეთ ფორმაში ვარ, მალე კვლავაც გაგაოცებთო

REUTERS ათენიდან

მორის გრინის სარეკორდო გარბენის ფინიში

თსუ-მ ღარწყალს ჩაილურის წყალი დაალევინა

იხილეთ მეორე გვერდი

გუშინ სტუდენტებმა ძველანაგელები დამატებით დროში ჯერ დაამარცხეს, პირველ ჯგუფში დარჩნენ და საქართველოს მეათე ჩემპიონატიც მორჩა. ახალი ჩემპიონატი კი ახლებურად, ორ ზონად გაიმართება: გუნდები ბოლო სეზონში დაკავებულმა ადგილებმა გაანაწილა. დებიუტანტი „დინამო 2“ კენტადგილოსნებს შეუერთდა, ხობის „კოლხეთი“ კი ლუწებს.

ბადრი ჯითლაძის ფოტო

გუშინ ეროვნულზე. თსუ — „ღარწყალი“: ძველანაგელი სოსო ბარამიძე სტუდენტ ლევან მაღრაძეს ფეხებში ჩაუვარდა

ა ჯგუფი

1 დინამო
3 ლოკომოტივი
5 ბათუმი
7 ვიტ ჯორჯია
9 არსენალი
11 სამგურალი
13 სიონი
დ დინამო 2

ბ ჯგუფი

2 ტორპედო
4 კოლხეთი 1913
6 მერანი
8 იბერია
10 დილა
12 გორდა
14 თსუ
დ კოლხეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

გადათამაშება
პირველ ჯგუფში გადასასვლელი
და ადგილის შესანარჩუნებელი მატჩი

ეს საწყალი ღარწყალი

ეს-ესაა, სტუდენტმა მიხეილ მესხმა (№15) ღარწყალელებს პირველი გოლი გაუტანა

გადგრი კეთილაძის ფოტო

	თბილისი
	16 ივნისი
	18 საათი
	ეროვნული
ეკა	5 000 (ტევადობა 75 000)

თსუ 3:0 ღარწყალი

1:0, 2:0 მესხი (99, 117), 3:0 ადამია (119)
თსუ: მერლანი, დეკანოსიძე (ადამია 108), შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ლ. გოგოლაძე, ნინუა, მაღრაძე, გონჩაროვი (ბუკია 118), ზამთარაძე, როსტიაშვილი (მ. მესხი 75)
სათადარიგონი: ბალიანი; ჭუმბურიძე, ინწკირველი, სვანაძე
ღარწყალი: ნაჭყეპია, თელიაშვილი, გულაშვილი, ბარამიძე, დ. ცომაია, გოლეთიანი, პ. აფციაური (სირაძე 102), გოძიაშვილი, ტელაშვილი (მიკუჩაძე 112), ტოკლიკიშვილი, დ. ჩიგოშვილი
სათადარიგონი: ჭიჭინაძე; ქენქაძე
გაფრთხილება: ტოკლიკიშვილი (45)
მსაჯები: მ. მალაღურაძე; ზ. დოლიძე (ორივე თბილისი), თ. ლაცაბიძე (სურამი); ზ. ანიაშვილი (გორი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
სფფ-ის დელეგატი: გ. ფირცხალავა

პაატა კვანტალიანი

უცნაური თამაში იყო, უცნაური თავისი შინაარსით, მსაჯობით, გულშემატკივრობით. შედეგი? შედეგითაც. დასასრული ხომ უცნაურზე უცნაური... მსაჯის საფინალო სასტვენამდე ორიოდე წუთით ადრე ფეხბურთელები აუტიდან მოწინააღმდეგეს აწვდიდნენ ბურთს. ესენი, თავის მხრივ, უკადრისობდნენ ამგვარ საჩუქარს და ცენტრში, მოედნის ცენტრში შეყრილიყო ორივე გუნდი. მსაჯის საფინალო სასტვენის მოლოდინში მიტოვებული ბურთი კი სარბენ ბილიკზე ეულად გაჩერებულიყო, ისიც მშვიდად, გულდასმით უცდიდა მსაჯის სასტვენს, სეზონის ბოლო მატჩის დასარულს... როგორღაც, ბოლო წამს, ჯოჯოხეთურ ღრიანცელში მსაჯისკენ გავაპარე თვალი. უკანასკნელი აკორდი ხომ მასზე იყო... ზურგშექცევით იდგა ხელებშემართული მალაღურაძე. დასავლეთის ტრიბუნიდან ზურგშექცევით (აბა აღმოსავლეთისაზე კაცისშვილიც არ იჯდა), ჩვენი ჩემპიონატის ბოლოც ეს იყო... და გინება, უსაშველოდ უხამსი და გაწელილი გინება. გინება მსაჯების, ფეხბურთელების, დელეგატების, პოლიციელების, ფეხბურთის ფედერაციის, ეროვნული ნაკრების, ქართული ფეხბურთის, დელის, მამის, კეთილისმყოფელის, სასტვენის, ბურთის... ასეთი იყო ჩვენი ჩემპიონატის დასასრული...

...99-ე წუთზე ყვითელმაისურიანი ფეხბურთელი თავისი ნახევრიდან ბურთიანად დაიძრა, უსაშველოდ დაღლილმა როგორღაც მოახერხა, უკანასკნელი ძალები მოეკრიბა და ბოლო მეურვე ჩამოიცილა. მის წინ მეკარე და კარი დარჩა. ყვითელმაისურიანმა მეტისმეტი მოინდომა, მეკარესთან შეყრილმა დამაგვირგვინებელი დარტყმა დააგვიანა და ბურთი გარედან მოარტყა კარის ბაძეს. იგი ძველანაგელი დავით ჩიგოშვილი გახლდათ. ყველაზე მეტად გულგატეხილი ის დარჩა გუშინ — საპასუხო შეტევისას თსუ-მ ანგარიში გახსნა...

„ღარწყალი“ მძიმე მდგომარეობაში იყო მატჩის წინ. გარდა იმისა, რომ გადაღლილი ხვდებოდა გადამწყვეტ შეხვედრას, სამწუხაროდ, სხვა მიზეზიც ჰქონდა. გუნდმა საამმატჩოდ ჯაბა წიკლაური მოისაკლისა. ძველანაგელთა ერთ-ერთმა ლიდერმა, „სულორთან“ მატჩის შემდეგ გუნდი დატოვა. იმ შეხვედრაში ანზორ გძელიძემ 77-ე წუთზე მოედნიდან გაიყვანა წიკლაური. ჰოდა, მანაც ეს გადაწყვეტილება ვერ აპატია მთავარ მწვრთნელს, რომელიც „დინამო 2“-თან მატჩისასაც ზუსტად ასე მოიქცა.

მატჩი კი სტუდენტთა უპირატესობით დაიწყო. თსუ-ს უკვე მესამე წუთზე შეეძლო დაწინაურება. დეკანოსიძემ მეტოქის საჯარიმოში შეჭრილ გოგოლაძეს კარგი პასი „გაუჭრა“. ამ უკანასკნელმა კი კარში დარტყმის ნაცვლად ქუსლით პარტნიორს დაუბრუნა. ბურთმა ადრესატამდე ვერ მიაღწია და „ღარწყალის“ სწრაფ გოლს გადაურჩა. მალე მაღრაძემ ანერვიულა ძველანაგელები შორეული დარტყმით. იქვე გონჩაროვის თავური დაეცა ნაჭყეპიას კარის ბადეს ზემოდან და თსუ-ს უპირატესობაც უფრო გამოიკვეთა. ძველანაგელები კონტრშეტევების და წინ ეულად მყოფი ტოკლიკიშვილის იმედად დარჩნენ. ტაიმის ბოლოსთვის ქიზიყელებს დაღლა დაეტყოთ. მათი მეტოქე კი პირიქით ლაღად და გააზრებულად ათამაშდა. შესვენებამდე მინიმუმ ორჯერ უნდა გახსნილიყო ანგარიში, მაგრამ ზურაბ დოლიძე გადარჩა, აშკარად გადარჩა შეხვედრის გვერდითი მსაჯი. გოლი რომ გასულიყო, ვეჭვობ, გამძვინვარებული ქიზიყელი გულშემატკივრები (ისინი მრავლად იყვნენ „ეროვნულზე“) სარბენ ბილიკებზე გამწკრივებულ (მოგვიანებით ტრიბუნაზე ამონაცვლებულ) „ომონს“ შეეჩერებინა — დოლიძემ აშკარა თამაშგარე გაატარა. ვინ იცის, იქნებ სჯობდა კიდეც, იმ მომენტში მეკარესთან პირისპირ გასულმა გონჩაროვმა ანგარიში რომ ვერ გახსნა.

მეორე ნახევარიც პირველის მსგავსად დაიწყო — თსუ უტევდა. დაღლილი ძველანაგელები კი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. ტოკლიკიშვილსაც კი მიეტოვებინა მოიერიშე პოზიციები და თავისი გუნდის საჯარიმოს სიახლოვეს, უკეთეს შემთხვევაში ცენტრთან ახლოს თუ ჰკიდებდით თვალს. სტუდენტთა შეტევის ხაზში საგრძნობლად გააქტიურდა ლევან მაღრაძე, ფლანგზე გონჩაროვმა გაილაღა, და დეკანოსიძე? ეს კაფანდარა ბიჭი ცენტრალური ხაზის ერთპიროვნული ბატონ-პატრონი იყო მთელი მატჩის განმავლობაში. სწორედ იგი იწყებდა თავისი გუნდის თითოეულ შეტევას და მახვილგონივრული გადაცემებით ამარაგებდა თანაგუნდელებს, თანაც დაცვაშიც დროულად აზღვევდა პარტნიორებს და საერთოდ დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა. და თსუ-ც დიდი ძალებით უტევდა. აქ კი სტუდენტებს გაუთვალისწინებელი რამ შეემთხვათ. მაშინ, როდესაც გოლი მწიფდებოდა და თითქოს ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, გუნდი საოცრად დაიღალა, რაღაც ერთბაშად, უცნაურად დაიღალა (არა, მართლა უცნაური თამაში იყო) და ძველანაგელთა „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკაც“ დამატებითი დროისთვის გადაიდო.

ალაღად ვთქვათ, სტუდენტთა თავდადებას და გამარჯვებას წუთითაც არ ვაკნინებ, მათ ღირსეულად ითამაშეს, მაგრამ ამ მატჩის გამარჯვებულის ვინაობა, ჩემი აზრით, ეჭვს არ იწვევდა. კი, ბატონო, თვალს ვხუჭავ გატარებულ-გამოტარებულ თამაშგარეებზე, არდანიშნულ თერთმეტმეტრიანზეც (2:0-ზე საკუთარ საჯარიმოში სტუდენტმა მცველმა ხელით ითამაშა), თვალს ვხუჭავ თსუე-ლთა პირველი გოლით უზომოდ გახარებულ მატჩის ინსპექტორზეც (ბოლოს და ბოლოს, გულშემატკივრობის უფლება ყველას აქვს), მაგრამ მგონია, საამმატჩოდ სტადიონის შეცვლას (მატჩი ხომ რუსთავში უნდა გამართულიყო), თამაშის თუნდაც რამდენიმე დღით გადაწევა სჯობდა.

აქ შედეგზე არ არის ლაპარაკი, თსუ-მ დამსახურებულად გაიმარჯვა და ვინ იცის, იქნებ სხვა პირობებშიც ემარჯვა, მაგრამ ფაქტია, შეხვედრის წინ გუნდები აშკარად არათანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ. ესეც არის, მატჩის ხანგრძლივი გადადებით (მაგალითად ერთი კვირით) თსუ-ც დაზარალდებოდა, მაგრამ რამდენიმე დღით? სულ რამდენიმე დღით...

და დამატებითი დრო, უცნაურზე უცნაური ორი თხურთმეტწუთიანი ტაიმი. საფინალო სასტვენის დროს შეიძლებოდა ანგარიში ოთხი, ხუთი, ექვსი (შვიდითაც) ბურთის სხვაობითაც დაფიქსირებულიყო.

...ჩიგოშვილის გაცუდებულს თსუ-მ გოლი მოაყოლა, შეცვლაზე შესული მიხეილ მესხი შეუდარებელი იყო. „ღარწყალს“ მოსაკრები ძალებიც აღარ დარჩენოდა. ძველანაგელები მეტოქის ნახევარზე განლაგდნენ, საფინალო სასტვენამდე კი მთელი ოცი წუთი რჩებოდა, მათ დასაკარგი უკვე კარგა ხნის დაკარგული ჰქონდათ. თსუ კი დიდებულად თამაშობდა, სტუდენტებიც დაღლილნი იყვნენ, თუმც მაინც მონდომებით თამაშობდნენ. მეორე გოლამდე მათ არაერთხელ შეეძლოთ მეტოქის კარის აღება, მაგრამ ნაჭყეპიამ ივარგა, ერთობ ივარგა. ხელით, ფეხით, მხრით, ფეხზე მდგარი თუ ჩაწოლილი უმკლავდებოდა შეტევებს და მისავათებულ თანაგუნდელებს გამამხნევებელ შეძახილსაც არ აკლებდა. შემდეგ კი იყო 117-ე წუთი. გოგოლაძემ ხელოვნური თამაშგარის შექმნის დროს გამოიჭირა ცენტრის სიახლოვეს განლაგებული ძველანაგელები და ნაჭყეპიას მიხეილ მესხი შეატოვა. მან ერთხელაც გაიბრწყინა, მეკარეს ლამაზი ფინტით აუარა გვერდი და მეორე გოლი გაატანა „ღარწყალის“ კარში. შემდეგ კი ოთხი თსუ-ელი გავიდა ორი მეტოქის (მეკარის ჩათვლით) წინააღმდეგ და ადამიამ მატჩს საბოლოო წერტილი დაუსვა.

ბედნიერი თსუ-ელები თავაწეულნი მიემართებოდნენ გასახდელისკენ, ძველანაგელებს კი აცრემლებულ თვალებს თავზე წამოცმული მაისურები უმალავდათ... და გინება, უსაშველოდ გაწელილი, გაუთავებელი გინება, სეზონის ბოლო მატჩის ბოლოც ეს იყო...

ქომაგობა ქიზიყურად

გადგრი კეთილაძის ფოტო

უგოლო ძირითადი დროის შემდეგ გვარიანად დაღლილ თსუ-ს ოთარ გაბელია არიგებს

გადგრი კეთილაძის ფოტო

წამო, ვირბინოთ, ჩემო ფრანსუა!

ᲘᲡᲘᲜᲘ თითქმის ჰგვანან ერთმანეთს. საშუალო სიმაღლის, გამხდარი და ვერცხლისწყალივით მოძრავი. მხოლოდ სახის მოხაზულობით თუ გაარჩევ, თორემ მანერები ერთნაირი აქვთ.

მათი მთავარი კოზირი საქმის ზედმიწევნით ცოდნაა. ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ამინდში მზად არიან უფროსის მითითება შეასრულონ.

და, დარბიან გაუჩერებლად, დაღლას ვერ გრძნობენ, ვარჯიშზე ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ ახერხებს მათ მოქანცვას.

ფიზმომზადების სპეციალისტი ქართველთა მტერ-მოყვარე იტალიელ რობერტო ლანდისაც კი ჰყავდა ჩამოყვანილი, მაგრამ მისი კომპეტენტურობის შესახებ ბევრსაც ვერაფერს მოგახსენებთ. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ალბანელ თანატოლებთან ისე დამძიმებული თამაშობდა, გეგონებოდათ ჩვენებს ფეხებზე ფუთიანი გირები ჰკიდიათო.

იტალიელს, ალბათ, ეგონა, თანამედროვე საფეხბურთო ევროპაში ვარო. ცოტა ზედმეტი მოუვიდა და რაც იმ დღეს დაგვემართა, კი ვნახეთ.

ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმაც ჩამოიყვანა ფიზმომზადების სპეციალისტი. იოჰან ბოსკამპი მას ფეხბურთელებს რიგრიგობით ჩააბარებს ხოლმე, აბა შენ იცი, ბიჭები კარგად „გამიხედნეო“, ეტყვის და ფრანსუა დე იონგიც საქმეს შეუდგება.

იოჰან ბოსკამპთან შედარებით ფრანსუა ცოტას იცინის. ის კი არა, თითქმის არც ლაპარაკობს. ბოსკამპის მითითებებს მოისმენს, თავს დასტურის ნიშნად დააქნევს და...

— ნერვებს მიშლის ეს კაცი, ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა დინამოელმა. ფრანსუამ შეხედა მოსაუბრეს, სახეზე ღიმილისმაგვარი დაეხატა და ხელის მოძრაობით ანიშნა ფეხბურთელს, ვერ გავიგე, რას მეუბნებიო.

ეეჰ, ხელი ჩაიქნია ჩვენებურმა, ბოსკამპისკენ გაიხედა და ისევ დე იონგს მიუბრუნდა — წამო, წამო ვირბინოთ ფრანსუა, თორემ მაგან რომ გაიგოს შენზე რასაც ვფიქრობ, გადაირევა, ატეხავს ღრიალს და მოგჭამა მერე ჭირი ჩემმა ფეხბურთელობამო.

— აუუჰ, რამდენს დარბის ეს ოჯახქორი. ახლა სეზონი მთავრდება და სიქა გაგვაცალა, შეკრება რომ დაიწყება, მერე რას გვიზამსო, ჩაულაპარაკა მეორემ მესამეს.

ფრანსუას კი არაფერი ესმის. ის, ალბათ, ისე წავა საქართველოდან, რომ ქართულ ენას ვერ აითვისებს. კაცმა რომ თქვას, რაში სჭირდება, არც არაფერში. მისი ენა მისი ცოდნა-გამოცდილება გახლავთ. მართალია, მას ქართული არ ესმის, მაგრამ არაფერი გამოეპარება. ვარჯიშის მერე ბოსკამპმა იცის, ვინ რა კონდიციაზეა, მოედანზე ვის რამდენი შეუძლია.

მურთაზ ხურცილავას ნაშეგირდალებს დატვირთვებითა და სირბილით ვერ გააკვირვებ, მაგრამ ხურცილავამ როცა ნახა დიდი დატვირთვების შემდეგ თამაშზე ძლივს დალასლასებდნენ, ვარჯიშები შეუმსუბუქა ფეხბურთელებს. აქაოდა, ესენი ჩემპიონატს ჩამიგდებენო.

ფრანსუას კი ეს პრობლემა არ აწუხებს. ბოსკამპმა უთხრა, დატვირთეო და ისიც ცხენებივით არბენინებს ფეხბურთელებს.

დე იონგის პირველი შთაბეჭდილებები მისთვის გამაოგნებელი იყო. ვიწრო წრეში განუცხადებია, ასეთი მომზადებით დღეს ფეხბურთს ვინ თამაშობსო, თუმცა საჯაროდ ასე არ უთქვამს. მართალია, სასურველ კონდიციამდე ვერ ხართ მისული, მაგრამ არც ბევრი გაკლიათო.

ᲒᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ფრანსუა დე იონგი კახა კალაძეს მაგალითს აძლევს

არადა, საფეხბურთო საქართველოში ხომ ყველამ კარგად უწყის, რომ ჩვენებურთა ფიზიკური მომზადების დონე ვერანაირ კრიტიკას ვედარ უძლებს.

ფეხბურთელებს ჰგონიათ, ფრანსუას არაფერი ესმის მათი ნაუბრიდან. მართალია, არ ესმის, მაგრამ ყველაფერს ხვდება, თუმცა არ იმჩნევს.

მობეზრდა კიდეც ყველაფერი, სუსტები არიან, როდის ესენი შეეჩვევიან დატვირთვებსო, მაგრამ ახალგაზრდებთან მუშაობამ გაახალისა. ესენი არ წუწუნებენ, უსიტყვოდ აკეთებენ ყველაფერს, თვალებში ნაპერწკლები უელავთ და თავიანთ შანსს ელოდებიანო.

დე იონგი და ბოსკამპი ერთი აზრისანი არიან, მალე ეს პატარა ბიჭები მშრალზე დატოვებენ გამოცდილთ და გაფხორილებსო.

მერე სანაკრებო მატჩებიც მოახლოვდა. ფრანსუამ საქმეში ნახა ქეცბაია, კალაძე, კობიაშვილი, კიდევ ერთიორი და იმედი გაუორკეცდა, ფეხბურთი აქ მთლად წამხდარი არ ყოფილაო.

კახა კალაძესთან ერთად გვარიანად ირბინა, ყველა მხრიდან დაუარა და როცა ნახა, ჩვენებურს დაღლილობის არაფერი ეტყობოდა, სახეზე ისევ ღიმილი გაუკრთა, ქების ნიშნადაც ისევ თავი დააქნია და ახლა მეორეს ჩაუდგა კვალში.

ის მართლა თითქმის არასდროს იცინის, ერთი შეხედვით გულჩათხრობილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მხოლოდ ბოსკამპის გვერდით ჩანს ასეთი.

ფრანსუა ვარჯიშზე არ ისვენებს, ყველას ეძლევა ორი-სამი წუთი სულის მოსათქმელად, მხოლოდ ის დარბის განუწყვეტლივ. ერთს მეორე ცვლის, მეორეს — მესამე და ასე შედეგ. მწვრთნელის თანაშემწე ფიზმომზადების დარგში ოცივე ფეხბურთელს სიქას გააცლის, ბოლოს კი ყველა ოფლში რომაა გაწურული, მხოლოდ დე იონგი დგას ჯან-ღონით სავსე.

...რამდენს დარბის ეს ოხერი, ლამის დაგვხოცოს, ისევ წაიწუწუნებენ ჩვენი ბიჭები, მაგრამ ახლა უკვე მოღონიერებულები წამსვე გაიღიმებენ, ხვდებიან, რომ გაცილებით მეტი შეუძლიათ, ვიდრე ადრე.

...წამო, წამო, ვირბინოთ ჩემო ფრანსუა, იქნებ ჩვენგანაც გამოვიდეს ფეხბურთელები, იძახიან ბიჭები და წრეს წრე ცვლის.

სირბილით ადრეც დარბოდნენ ქართველები, მწვრთნელებმაც იცოდნენ, რომ ფეხბურთის სათამაშოდ სირბილი აუცილებელი იყო, მაგრამ მათგან განსხვავებით ფრანსუა დე იონგს არ ეშლება, ვინ რა დოზით და რამდენ ხანს უნდა ირბინოს.

მამუკა კვანტალიანი

ვასო, მიშა და ზვიადი

ბრაზილიელ ანდრადინას სეფაშვილი ადარდებს

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ „სარბიელში“ გაუწყებდით რუსეთის უმაღლეს დივიზიონში მოთამაშე ჩვენებურების შესახებ. ათი ტურის მონაცემებით ქართველებმა რომ დაიპყრეს ჩრდილოელი მეზობლის საფეხბურთო სამყარო, ამას თავად იქაური სპორტული მასმედიაც ერთხმად აღიარებს.

უმაღლესდივიზიონელებს პირველ დივიზიონში მოთამაშე სხვა ქართველებმაც მხარი აუბეს და რუსი ჟურნალისტების განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობასთან ერთად ჩვენც შეგვახსენეს თავი.

მაშ ასე. ვასილ სეფაშვილი — 16 ტურის შემდეგ რუსეთის პირველი დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი, ცხრა გატანილი გოლით. ქართველ გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ სეფაშვილი თავის დროზე გურჯაანის „ალაზანსა“ და თელავის „კახეთში“ თამაშობდა. ჩივაძის მწვრთნელობისას ეროვნული ნაკრების ღირსება დაიცვა რუმინეთის ეროვნულ გუნდთან სტუმრობისას და განჯაში, აზერბაიჯანის პირველი ნაკრების წინააღმდეგ. ამის შემდეგ რუსეთში უმაღლესდივიზიონელ ტოლიატის „ლადაში“ გადაბარგდა და გუნდთან ერთად მოუწია ქვედა ლიგაში ჩამოქვეითებამ. მერე ნიჟნეკამსკის „ნეფთოხიმიკში“, ჩვენებურ თამაზ კიკლიაშვილთან ერთად გაგრძელა კარიერა. წლევანდელ სეზონში კი ნალჩიკის „სპატაკის“ ღირსებას იცავს. ბომბარდირობისთვის მას ფეხდაფეხ მისდევს ტულის „არსენალის“ ბრაზილიელი ლეგიონერი დიაზ ანდრანდინა. მან ერთით ნაკლები გოლის გატანა შეძლო.

სწორედ ამ ორი გუნდისა და ფორვარდის შეხვედრა გაიმართა მე-16 ტურში. სეფაშვილის „სპარტაკი“ ტულაში სტუმრობდა. მიუხედავად 1:3 დამარცხებისა, ჩვენებურმა პირადი დუელი მოუგო ბრაზილიელს და რიგით მეცხრე გოლიც მიითვალა. ანდრადინამ კი ამჯერად ვერ შეძლო კარის აღება. მატჩის შემდეგ ბრაზილიელმა შემდეგი სიტყვებით შეამკო სეფაშვილი — იგი ძალიან კარგი თავდამსხმელია, გოლის უტყუარი ალღო აქვს. ფორვარდი, რომელიც 90 წუთის განმავლობაში ერთადერთ შანსს არ უშვებს ხელიდან, როგორც დღეს გააკეთა სეფაშვილმა, მართლაც ქების ღირსია.

საუკეთესო გოლეადორთა მესამე საფეხურზე კი ქარველი გულშემატკივრებისთვის კარგად ცნობილი, სოხუმელი თავდამსხმელი მიხეილ ჯიშკარიანია. ჯიშკარიანის ანგარიშზე ჯერ-ჯერობით 6 გოლი მოდის. სამაგიეროდ, ყოფილ თბილისის დინამოელ ზვიად ჯელაძესთან ერთად იგი რუსეთის პირველი დივიზიონის ლიდერად გვევლინება.

სარატოვის „სოკოლი“, რომლის ღირსებასაც ეს ორი ფეხბურთელი იცავს, გათამაშების ცხრილის პირველ საფეხურზე იმყოფება და ერთი ქულით უსწრებს შარშანდელ სეზონში უმაღლესი დივიზიონიდან პირველში ჩამოქვეითებულ კალინინგრადის „ბალტიკას“. თუმცა სარატოველებს ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული. მე-16 ტურში ჯიშკარიანისა და ჯელაძის „სოკოლმა“ სტუმრად 2:1 მოუგო სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივს“, რომელსაც გივი ნოდია თავკაცობს.

სარბიელის არქივიდან

ვასილ სეფაშვილი გურჯაანის „ალაზანში“ ვარჯიშის დროს

რაც შეეხება ვასილ სეფაშვილის „სპარტაკის“ სატურნირო მდგომარეობას, ნალჩიკელები მეცხრე საფეხურზე იმყოფებიან.

ხვიჩა სანიკიძე

ოხრიდი: ხიდი სკოპიემდე

ნატოს ჯარებმა კოლხეთს გზა გაუგრძელეს

ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲔᲗᲘᲡ ნახევარკუნძულზე ახლახანს დაშოშმინებულმა კოსოვოს კონფლიქტმა კინაღამ მატჩი ჩაშალა. ინტერტოტოს თასზე მაკედონიურ „ცემენტარნიცასა“ და ჩვენებურ ფოთის „კოლხეთის“ შეხვედრას საფრთხე დაემუქრა, მაგრამ...

პრობლემა გუშინ შეიქმნა და მაკედონიელებმა უმალვე ყველაფერი მოაგვარეს.

მოგეხსენებათ, ფოთის „კოლხეთი“ მაკედონიაში 18 ივნისს, დილის 8 საათზე ჩარტერით უნდა გაფრენილიყო, მაგრამ სკოპიეს აეროპორტმა თვითმფრინავის მიღებაზე უარი შემოთვალა, ნატოს თვითმფრინავებითაა სავსეო.

დაფაცურდნენ მაკედონიელები, მიდგნენ-მოდგნენ და კოლხები გუშინვე დაამშვიდეს — ნუ გეშინიათ, თქვენი თვითმფრინავი ქალაქ ოხრიდში დაფრინდებაო.

ქალაქი ოხრიდი ალბანეთისა და მაკედონიის საზღვარზე მდებარე ოხრიდის ტბის სანაპიროზეა გაშენებული. იქიდან სკოპიემდე ავტობუსით ორი საათის სავალია. თუმც შესაძლოა ფოთელები ნატოს ემისრებს მაინც ვერ ასცდნენ. როგორც ადრე მაკედონიელებმა თქვეს, გუნდი ორად გაიყოფა და სასტუმროებში განაწილდება, რომლებიც ასევე ნატოს ჯარისკაცების საცხოვრისია.

ფოთელები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მაკედონიაში ხვალ დილით გაფრინდებიან, ხვალვე იმათ ვინაობასაც ზუსტად გაგაცნობთ, ვინც ინტერტოტოს თასზე „კოლხეთის“ ღირსებას დაიცავს.

გიორგი ვაშაკიძე

ბავშვი დაიბადა, სახელსაც დაარქმევენ

ᲬᲚᲔᲣᲚᲡ ევროპულ ფეხბურთში ერთი განსაკუთრებული შემთხვევა მოხდა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, იგი საქართველოში დაფიქსირდა. ევროპაში ბევრ გუნდს ჰყავს ფარმ-კლუბი, რომელიც, როგორც წესი, დაბალ ლიგაში თამაშობს. საქართველოს მეთერთმეტე ჩემპიონატში კი თბილისის „დინამოც“ ითამაშებს და მისი ფარმ-კლუბი „დინამო 2“-იც.

„დინამო 2“, რომელიც ამავე დროს ფაქტობრივად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ბაზასაც წარმოადგენს, მეათე ეროვნულ ჩემპიონატში ძალიან კარგად გამოვიდა. გუნდი მეორე ლიგაში პირველ ადგილზე გავიდა, შემდეგ გადათამაშებაში ძველი ანაგის „ღარწყალს“ სძლია (პენალტების სერიაში) და ელიტაშიც გაერია.

პირველ ლიგაში თამაშს მომზადებაც შესაბამისი უნდა. უმცროსი დინამოელებიც 25 ივნისიდან აპირებენ ვარჯიშის დაწყებას. გუნდის მთავარი მწვრთნელის, ბორის სიჭინავას თქმით, ჯერ არ გარკვეულა, სად გაივლიან მოსამზადებელ ეტაპს. ეს ყველაფერი, წესით და რიგით, დღეს დილით უნდა გადაწყდეს. 10 საათზე დიდმის ბაზაზე კლუბის ხელმძღვანელობის თათბირია დაგეგმილი, სადაც ყველა დეტალი დაზუსტდება, როგორც „დინამოს“, ისე მის ფარმ-კლუბთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ „დინამო 2“-ს სახელის გამოცვლაც მოუწევს, რადგან, ევროპულ ფეხბურთში ერთი კლუბის ორი წარმომადგენლის ერთ ლიგაში თამაში მიუღებელია. რა სახელით გამოვა „დინამო 2“ მეთერთმეტე ჩემპიონატში, სიჭინავას თქმით, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ეს საკითხიც უახლოეს ხანში გადაწყდება.

ვანო ოძროპირიძე

მშვიდობის მტრ(ედ)ები?

ნუგზარ კვითელაძის ფოტო

წლევანდელი თასის ფინალის დამატებით დრომდე: დაღლილან...

რალა მაინცდამაინც მტრედი? ისე არც კახელი გლეხის ინდაურს უყვარს ომი და არც კვარაცხელიას მეგრული ჯიშის თორმეტლიტრიან ძროხას. ფაუნის ორივე წარმომადგენელი კარგა ხანია, შეგუებულია იმ აზრს, რომ საყოველთაო მშვიდობის სიმბოლოდ მტრედი აღიქმება. ყოველ შემთხვევაში, წიგნთა წიგნი სახარება ამას გვასწავლის და ძველ აღთქმაში შავით თეთრზე წერია, თუ როგორ ამცნო კიდობანში დაბრუნებულმა მტრედმა წარღვნის დასრულების ამბავი ნოეს. ასა! — იყვირა მაშინ გახარებულმა ნოემ. და ეს იყო პირველი სიტყვა, რომელიც წარმოითქვა ახალ, წარღვნისშემდგომ სამყაროში...

იმის დაზუსტებას ნამდვილად ვერ შევძლებთ, რა დაიღრიალა იმ ინგლისელმა ფეხბურთელმა, პირველს რომ უთავაზეს წიხლი და ამღვრეული თვალებითა და შურისძიების გრძნობით შეუბღვირა მეტოქეს. რომ არა მინდორზე სასტვენით მორბენალი პოლიცმაისტერი, ეს ახლად დაბადებული მაგიური თამაში გლადიატორთა დაუნდობელ ბრძოლას დაემსგავსებოდა. ჰოდა, ითავსებდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველნი ახალ პროფესიას და მინდორზე მობურთალთ შორის მშვიდობის დამცველებად გვევლინებოდნენ.

მერე ფეხბურთი განვითარდა, მისი სათამაშო წესები დაიხვეწა და გარემოებამ მსაჯთა ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობა მოითხოვა. დარბიან მას შემდეგ შავსა თუ ვარდისფერ სამოსელში გამოწყობილი მსაჯულები, სასტვენითა და ალმით ცდილობენ მტყუან-მართლის გარჩევას, მოჩხუბართა დაშოშმინებას, სადავო მომენტებისას ზუსტი გადაწყვეტილებების მიღებას.

მსაჯობა ფეხბურთში ყველაზე დაუფასებელი და უმადურობისთვის განწირული პროფესიაა. შეხვედრის დროს არავის ახსოვს ჭეშმარიტება — შეუმცდარი ადამიანი არ არსებობს. ყველას ავიწყდება, რომ მატჩის არბიტრი ჩვეულებრივი მოკვდავია და იწყება ტრიბუნებიდან მისი „შემკობა". ისე, კაცი რომ მსაჯის პროფესიას აირჩევს, ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს, მით უმეტეს, საქართველოში.

არაერთხელ მომისმენია ქართველი მსაჯებისგან — ჩვენ საქმეს არ აფასებთ. თუ რაიმე შეგვეშალა, ჩასაფრებულები ხართ, თუ უშეცდომოდ ვიმოქმედეთ, ერთი საქებარი სიტყვა არ დაგცდებათო. თითქოს ალოგიკური არაფერია მათ ნათქვამში, მაგრამ... ჯერ ერთი, ჩვენი, სპორტული ჟურნალისტების პროფესიული მოვალეობა მოედანზე მომხდარი სადაო თუ ჩვეულებრივი ეპიზოდის აღწერა და გაანალიზებაა. მეორე — მსაჯის პროფესია თავისთავად გულისხმობს ობიექტურად მოქმედებას და ხელფასსაც ამისთვის უხდიან მატჩის მსაჯულს. კაცი რომ პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, ეს ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება და მასზე რეაგირება, პირველ ყოვლისა თავად მოსამსახურის ზემდგომმა ხელმღვანელობამ უნდა გააკეთოს სხვადასხვაგვარი წახალისების სახით. ჩვენ კი ყოველთვის ზომიერების დაცვა გვევალება. ფეხბურთზე მწერალი ჟურნალისტისგან მსაჯის ხოტბა დაახლოებით იმას წაგავს, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ ღამეს ქართველ მილიციელთა ქცევა გმირობად რომ მოინათლა. მილიციელი უმწეო ქალებს ალესილი ნიჩბებით შეიარაღებული ბარბაროსებისგან თავის დაღწევაში რომ დაეხმარა, თურმე ნამდვილი გმირი ყოფილა. ასეთი მსჯელობიდან კი რა გამოდის? თუ პათოლოგი მკვლელი არ ხარ, გმირი ხარ?...

ისე, ჩვენი მხრიდან არც ზომიერი საქებარი სიტყვა აკლდა მსაჯებს და არც კრიტიკული შენიშვნები, რა თქმა უნდა, მათი მოქმედებების შესაბამისად.

მაინც რა იყო კარგი ამ მხრივ მეათე ეროვნულში. მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანატოლი მილჩენკომ ყოველგვარი ავტორიტეტის წინააღმდეგ პროფესიულად გაილაშქრა. ჩემთვის ყველა ერთია — განაცხადა მან და იანვარში „შავოსნებს" სერიოზული გამოცდების ციებ-ცხელება მოუწყო — ჯერ მათი ფიზიკური მზადყოფნა შეამოწმა კუპერის ტესტის მეშვეობით, შემდეგ თეორიულ მომზადებაში გამოსცადა ისინი, ვინც წარმატებულად გაიარა პირველი ეტაპი. რაც მთავარია, საგამოცდო პროცესი ობიექტურად წარიმართა. ამის თქმის საფუძველს კი შემდეგი მონაცემები გვაძლევს — გამოცდილმა თამაზ ლორთქიფანიძემ პირველ წრეში ათ შეხვედრაში იმსაჯა, ფიზიკურ მომზადებაში უარყოფითი მაჩვენებლის გამო კი იგი იძულებული გახდა, თავი დაენებებინა მსაჯობისთვის. შემოდგომის სეზონის ლიდერი, ფიფას არბიტრი მერაბ მალაღურაძე იგივე მიზეზით განარიდეს მეორე წრის თამაშებს და მხოლოდ კუპერის ტესტის ჩაბარების შემდეგ, მეოცე ტურიდან, მისცეს უფლება, მინდორზე სასტვენით გამოსულიყო. მალაღურაძე გამოცდების დაწყებისას საქართველოში არ იმყოფებოდა. მხოლოდ გამოცდილების გამო არავინ გადაუსვა თავზე ხელი ალექსანდრე შილაკაძესაც, თუმცა სეზონის ბოლო ათ ტურში ყველა მატჩში იმსაჯა.

სამსაჯო კომიტეტის გამართლებულ მოქმედებას გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვა. კერძოდ, საქმეში ჩაერთვნენ პირველ ჯგუფისთვის გამოუცდელი არბიტრები — კრიჭაშვილი, სანაია, ელოევი, მესხი, მიქელაძე.

განსაკუთრებით ალექსანდრე კრიჭაშვილზე უნდა ითქვას. მან ხომ მეორე წრეში ათ შეხვედრა განსაჯა. თანაც ისეთი პრინციპული მატჩები, როგორიცაა: „მერანი" — „დინამო", „ლოკომოტივი" — „ბათუმი", „იბერია" — „ტორპედო", „ოდიში" — „სიონი". ამ უკანასკნელში კი ისე სცემეს, მეორე ტაიმში მოედანზე გასვლა ვეღარ შეძლო. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს კრიჭაშვილი საზარბაზნე ხორცად გამოიყენეს და მისი სიმამაცის გამო ისეთ შეხვედრებზე აგზავნიდნენ, წინასწარ რომ ასდიოდა დენთის სუნი.

2 აპრილს კრიჭაშვილი მეორე ჯგუფის მატჩის სამსაჯოდ ბაღდათში მიავლინეს. ადგილობრივი „საირმე" ლიდერობისთვის მებრძოლ ზესტაფონის „მარგვეთს" მასპინძლობდა. იგი სასწაულებრივ გადაურჩა სიცოცხლის ხელყოფას, თავად „დაიძვრინა" თავი, „საირმეს" რამდენიმე ფეხბურთელს წითელი ბარათი არ უჩვენა. მიზეზი? მოკლავდნენ ცემით და მეორე დღეს კი „იბერია" — „ტორპედოს" შეხვედრა უნდა განესაჯა — ასე განუმარტეს სადისციპლინო კომიტეტს მსაჯის უკანდახევა. 3 აპრილს სამტრედიაში მართლაც გავიდა მოედანზე კრიჭაშვილი. მის მოქმედებას აშკარად ეტყობოდა წინა დღეს ბაღდათში გადატანილი უსიამოვნო ბატალიების კვალი. ყოველივეს გათვალისწინებით, გაუმართლებელი იყო მისი ზუგდიდში გაგზავნა. „ოდიში" — „სიონის" შეხვედრას აუტსაიდერებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და უფრო გამოცდილი მსაჯის მივლინება აჯობებდა. კრიჭაშვილის პროფესიონალობას სულაც არ ვაკნინებ, უბრალოდ, ქართველი გულშემატკივარი კვლავ ძველი სტერეოტიპებით მსჯელობს და იგი თავიდანვე ათვალწუნებით ხვდება „არაავტორიტეტ" არბიტრს, შეჩვეული ჭირის პრინციპს არჩევს.

მსაჯებს შორის თამაზ ლაცაბიძე ლიდერობს. მეათე ეროვნულში მან 25 მატჩში იმსაჯა. 24-ე ტურის „სიონი" — „კოლხეთის" შეხვედრა კი მისთვის მეორასე გამოდგა ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში.

მარტის დასაწყისში ყოფილმა მსაჯმა ოთარ გაგუამ მიამბო: „გუშინ თამაზ ლაცაბიძეს შევხვდი. მივესალმეთ ერთმანეთს და როგორა ხარო, მკითხა. ვუპასუხე ათ მარტს ვეტყვი-მეთქი. რატომ ათ მარტსო? გაიკვირვა. აი, ოთხ რიცხვში „კოლხეთი" — „ტორპედოს" თამაშს განსჯი, ცხრაში კი ბათუმში სათასო მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრა გელის-მეთქი მასპინძლებისა და „ლოკომოტივის" მონაწილეობით... გაიღიმა და გამშორდა".

მართლაც ძნელია ჩვენს გათამაშებაში ამბიციური კლუბების ორთაბრძოლების განსჯა. საქმეს კი მაშინ მოვლება, როცა ყველა შეხვედრას ისეთივე კუთხით მიუდგებიან არბიტრები, როგორც ეგრეთ წოდებულ „პრინციპულ" მატჩებს.

დღეისთვის გუნდებისთვის ყველაზე მისაღებ მსაჯად ზუგდიდელი სერგო კვარაცხელია ითვლება. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ კვარაცხელიამ თასის ცხრა გათამაშებიდან ოთხჯერ იმსაჯა ფინალში.

თამაშებზე მსაჯთა განაწილების პრინციპი უდავოდ გადასინჯვას მოითხოვს. „სიონი" — „დინამოს" მე-19 ტურის მატჩზე ქუთაისელ არბირთა ბრიგადა იყო დანიშნული. წინა დღით გადაწყვეტილება შეიცვალა და ამ შეხვედრაზე მეშოვი და კომპანია მიავლინეს. ასე მოხდა „გორდა" — „ვიტ ჯორჯიას" და „გორდა" — სამგურალის" პაექრობების დროსაც, რაც გულშემატკივრებში და არამარტო მათში, ეჭვებს აღძრავს. ეს კიდევ უფრო ამძიმებს ეროვნული ჩემპიონატის ისედაც დამძიმებულ ყოფას.

ფეხბურთელები და მსაჯები ფეხბურთით ცხოვრობენ. მათ თავიანთი პროფესია შეგნებულად აირჩიეს და გასამრჯელოსაც შესაბამისს იღებენ. ერთადერთი გულშემატკივარი იხდის ფულს ფეხბურთის საცქერად და სიამოვნების მისაღებად. როცა ტრიბუნებიდან ხედავენ მოთამაშეების უნიათოდ გარჯას და „მშვიდობის მტრედების" ხშირ შეცდომებს, მაშინ წონასწორობას კარგავენ და მწვანე მინდოზე მორბენალთ ფეხბურთის შეგნებულ მტრებად ნათლავენ. ობიექტური მსაჯობა ხომ უპირველესი განმსაზღვრელი ფაქტორია სპორტში, მაყურებელთა სიმშვიდის გარანტიაა.

ხვიჩა სანიკიძე

ვინ რამდენჯერ იმსაჯა

პირველი წრე

მ. მალაღურაძე (თბილისი; 13): იბერია — ბათუმი, კოლხეთი — გურია, ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია, ოდიში — დილა, მერანი — თსუ, გურია — ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია — დინამო, სამგურალი — ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია — გორდა, გორდა — იბერია, მერანი — ლოკომოტივი, ოდიში — ბათუმი, დილა — მერანი

თ. ლაცაბიძე (სურამი; 12): გურია — თსუ, ბათუმი — ლოკომოტივი, თსუ — დინამო, სამგურალი — ოდიში, იბერია — გურია, გორდა — კოლხეთი, იბერია — მერანი, სამგურალი — გურია, ლოკომოტივი — გორდა, დინამო — დილა, ლოკომოტივი — თსუ, დინამო — კოლხეთი

ა. შილაკაძე (თბილისი; 12): არსენალი — ვიტ ჯორჯია, სიონი — სამგურალი, ტორპედო — ბათუმი, კოლხეთი — სამგურალი, არსენალი — ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია — დილა, დინამო — ბათუმი, ლოკომოტივი — დილა, თსუ — კოლხეთი, ლოკომოტივი — დინამო, გურია — დილა, თსუ — ბათუმი

გ. ასკაროლი (ქარელი; 11): თსუ — ტორპედო, მერანი — არსენალი, ოდიში — ტორპედო, გურია — ოდიში, სიონი — მერანი, ტორპედო — იბერია, თსუ — გორდა, სამგურალი — ვიტ ჯორჯია, ბათუმი — მერანი, იბერია — სიონი, გორდა — ტორპედო

ო. გუნთაძე (ლანჩხუთი; 11): სამგურალი — გორდა, იბერია — ლოკომოტივი, ლოკომოტივი — ტორპედო, სიონი — თსუ, თსუ — არსენალი, სიონი — ოდიში, კოლხეთი — არსენალი, დინამო — ტორპედო, ვიტ ჯორჯია — თსუ, არსენალი — სამგურალი, ვიტ ჯორჯია — ოდიში

ს. კვარაცხელია (ზუგდიდი; 11): ბათუმი — ვიტ ჯორჯია, ტორპედო — კოლხეთი, სამგურალი — თსუ, ვიტ ჯორჯია — ტორპედო, დილა — ბათუმი, არსენალი — ტორპედო, იბერია — სამგურალი, გორდა — ბათუმი, ტორპედო — სამგურალი, ბათუმი — კოლხეთი, სამგურალი — დინამო

ლ. ფანიაშვილი (თბილისი; 11): დინამო — არსენალი, ლოკომოტივი — ოდიში, ვიტ ჯორჯია — იბერია, გორდა — დინამო, დილა — კოლხეთი, ოდიში — დინამო, კოლხეთი — სიონი, დინამო — იბერია, კოლხეთი — ოდიში, არსენალი — დილა, ტორპედო — სიონი

თ. ლორთქიფანიძე (თბილისი; 10): სიონი — გურია, დინამო — მერანი, არსენალი — იბერია, გორდა — სიონი, ბათუმი — სამგურალი, დილა — იბერია, ბათუმი — სიონი, ტორპედო— მერანი, კოლხეთი — ვიტ ჯორჯია, ბათუმი — არსენალი

ს. კახიანი (თბილისი; 8): მერანი — სამგურალი, დილა — სიონი, გორდა — არსენალი, გურია — ვიტ ჯორჯია, სიონი — არსენალი, ტორპედო — გურია, არსენალი — გურია, დილა — სამგურალი

ჰ. დოგრაშვილი (ქუთაისი; 6): ოდიში — იბერია, დინამო — სიონი, ბათუმი — გურია, კოლხეთი — მერანი, მერანი — ვიტ ჯორჯია, გურია — გორდა

თ. მაჭარაძე (ხონი; 6): ოდიში — გორდა, დილა — ტორპედო, ოდიში — თსუ, სიონი — ვიტ ჯორჯია, გურია — დინამო, თსუ — იბერია

ა. შალამბერიძე (ქუთაისი; 6): კოლხეთი — ლოკომოტივი, თსუ — დილა, მერანი — ოდიში, ოდიში — არსენალი, სიონი — ლოკომოტივი, იბერია — კოლხეთი

ლ. რაზმაძე (გორი; 1): მერანი — გორდა

ე. სილაგავა (თბილისი; 1): გორდა — დილა

მეორე წრე

თ. ლაცაბიძე (სურამი; 13): გურია — სიონი, არსენალი — დინამო, კოლხეთი — ტორპედო, ოდიში — გურია, სამგურალი — კოლხეთი, სიონი — გორდა, გორდა — თსუ, ვიტ ჯორჯია — სამგურალი, სიონი — კოლხეთი, იბერია — დინამო, გორდა — ვიტ ჯორჯია, მერანი — ტორპედო, ოდიში — ვიტ ჯორჯია

ს. კვარაცხელია (ზუგდიდი; 12): დილა — გორდა, ვიტ ჯორჯია — არსენალი, ბათუმი — ტორპედო, ლოკომოტივი — არსენალი, გურია — იბერია, კოლხეთი — გორდა, დინამო — ვიტ ჯორჯია, ტორპედო — დილა, მერანი — იბერია, გურია — სამგურალი, გორდა — ლოკომოტივი, კოლხეთი — იბერია

გ. ასკაროლი (ქარელი; 11): სამგურალი — მერანი, ოდიში — ლოკომოტივი, იბერია — ვიტ ჯორჯია, გორდა — მერანი, კოლხეთი — დინამო, სამგურალი — ბათუმი, ლოკომოტივი — გურია, გორდა — ოდიში, ვიტ ჯორჯია — სიონი, სამგურალი — არსენალი, მერანი — დილა

ლ. ფანიაშვილი (თბილისი; 11): იბერია — ოდიში, გორდა — სამგურალი, ტორპედო — ოდიში, ლოკომოტივი — იბერია, დილა — ვიტ ჯორჯია, ტორპედო — არსენალი, ბათუმი — გორდა, დინამო — ლოკომოტივი, სიონი — იბერია, ვიტ ჯორჯია — კოლხეთი, არსენალი — ბათუმი

ა. პრიჭაშვილი (თბილისი; 10): ტორპედო — თსუ, მერანი — დინამო, ლოკომოტივი — ბათუმი, მერანი — სიონი, იბერია — ტორპედო, დინამო — ოდიში, დილა — ლოკომოტივი, ოდიში — სიონი, სამგურალი — დილა, თსუ — ლოკომოტივი

ა. შილაკაძე (თბილისი; 10): ტორპედო — ვიტ ჯორჯია, არსენალი — სიონი, ბათუმი — დინამო, არსენალი — თსუ, ვიტ ჯორჯია — მერანი, სამგურალი — ტორპედო, ოდიში — კოლხეთი, კოლხეთი — ბათუმი, ტორპედო — გორდა, სიონი — ტორპედო

ს. კახიანი (თბილისი; 9): სიონი — დილა, გურია — კოლხეთი, თსუ — სამგურალი, დილა — ოდიში, ოდიში — სამგურალი, მერანი — კოლხეთი, გურია — ტორპედო, კოლხეთი — თსუ, არსენალი — ოდიში

ო. გუნთაძე (ლანჩხუთი; 8): არსენალი — გორდა, ბათუმი — დილა, ტორპედო — ლოკომოტივი, თსუ — სიონი, სამგურალი — იბერია, არსენალი — კოლხეთი, ტორპედო — დინამო, ბათუმი — ოდიში

ა. მეშკოვი (თბილისი; 8): დილა — თსუ, სიონი — დინამო, იბერია — დილა, მერანი — ბათუმი, ლოკომოტივი — სამგურალი, იბერია — გორდა, გურია — მერანი, დინამო — სამგურალი

ა. შალამბერიძე (ქუთაისი; 7): ლოკომოტივი — კოლხეთი, არსენალი — მერანი, ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი, გურია — ბათუმი, თსუ — მერანი, თსუ — ოდიში, თსუ — ვიტ ჯორჯია

ა. ორდენიძე (თბილისი; 5): დინამო — თსუ, ვიტ ჯორჯია — გურია, ოდიში — მერანი, გურია — არსენალი, დილა — დინამო

ჰ. დოგრაშვილი (ქუთაისი; 3): დილა — გურია, ლოკომოტივი — სიონი, ბათუმი — თსუ

მ. მალაღურაძე (თბილისი; 3): სიონი — ბათუმი, ლოკომოტივი — მერანი, იბერია — თსუ

დ. სანაია (სოხუმი; 3): ვიტ ჯორჯია — ბათუმი, სამგურალი — სიონი, დილა — არსენალი

ვ. ელოევი (ცხინვალი; 2): თსუ — გურია, კოლხეთი — დილა

კ. მესხი (ზუგდიდი; 1): დინამო — გურია

ლ. მიქელაძე (სამტრედია; 1): გორდა — გურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი არ მორჩენილა ახალი კი იწყება

შაბათიც და, ისე, რომ ჯერ ერთი არ დასრულებულა, ევროპაში ახალი საფეხბურთო სეზონი დაიწყება.

ევროპული ფეხბურთის 40 კლუბი ამ უძმეებზე დამატებითი შანსის გამოყენებას შეეცდება. რომლის თანახმადაც მათთან ერთად 20 კლუბმა, ინტერტოტოს გათამაშებაში მომდევნო ეტაპებიდან რომ ჩაებმებიან, უეფას თასის კიდევ სამი საგზურის მფლობელი უნდა გამოავლინოს.

ინტერტოტოს თასს თავისი უფროსი მომძმის დანამატობის გარდა სხვა დანიშნულებაც აქვს — მსოფლიოს ტოტალიზატორებს კლიენტურას ზაფხულშიც უნარჩუნებს.

ინტერტოტო ერთია და თვის ბოლომდე, ზემოთ რომ ვთქვით, იმ სამი ფეხბურთერის გარდა ევროთასების ყველა მონაწილე უნდა გაირკვეს. ამ დიდ ეტაპებში, ხელმარჯვნივ რომ ხედავთ, ოთხი ლაქები ჯერაც საკმოდაა.

ჯერ ძველი სეზონი არ მორჩენილა, რომ ვამბობთ, უპირველესად, დასრულებულ ესპანეთის ჩემპიონატს და თასის გათამაშებას ვგულისხმობთ.

ესპანეთში ჯერ დადგენილი მხოლოდ „ბარსელონას“ ჩემპიონობაა. ევროთასების დანარჩენ მონაწილეთა ვინაობაც ცნობილია, მაგრამ მათი ზუსტი შესამართები ჯერჯერობით — არა.

ევროსარბიელზე გასულებს 2 ივნისს „სარბიელშიც“ შეგეძლოთ გაცნობოდით, მაგრამ მას შემდეგ საკმაოდ შეიცვალა სიტუაცია.

დადგინდა: იუგოსლავია დაუმთავრებელ ჩემპიონატს აღარ გააგრძელებს — ჩემპიონად პირველ ადგილზე მყოფი „პარტიზანი“ გამოცხადდა, მეორე გუნდს „ობილიჩს“ კი ევროპული ფეხბურთის მმართველებმა უეფას თასზე თამაშის ნება არ დართეს, თქვენი კლუბის პირსისხლიანი პრეზიდენტი კაცობრიობის მტერიაო. ასე რომ, უეფას თასზე მესამე-მეოთხე და თასის ფინალში გასული „ცრვენა ზვეზდა“ და „ვოივოდინა“ გავლენ.

გაირკვა უეფას თასისვე ერთი საგზურის თურქი მფლობელიც. თასის ერთმა დამარცხებულმა ნახევარფინალისტმა „ანკარაგიუჯიუმ“ მეორე წაგებული „საქარია“ დამატებით მატჩში 5:0 გაანადგურა.

ინტერტოტოზე კი და დანარჩენ ევროთასებზე ვერ ითამაშებენ ბოსნიური კლუბები. სამაგიეროდ, ინტერტოტოზე ბოსნიელთა წარმომადგენლად „იედინსტვო“ გამოცხადდა.

სხვა, დიდად აღსანიშნი ცვლილება არაფერია, თუ ფეირ პლეის წილისყრაში გამარჯვებულთა გადამკიდე ესტონელთათვის მიკუთვნებულ მესამე და ნორვეგიელთათვის ნაჩუქარ მეოთხე ადგილს არ ჩავთვლით. სწორედ ამ მიზეზით, უეფას თასზე აღზევებული „ბოდო გლიმტი“ ინტერტოტოზე „ბრანით“ შეიცვალა, თავად „ბრანი“ კი „ვალერენგათი“.

ინტერტოტოს თასის გათამაშება

INTERTOTO CUP

პირველი ეტაპი

1 ვალერენგა (ნორვეგია) — ვენტსპილსი (ლატვია)
2 სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) — სენტ ტრუიდენი (ბელგია)
3 პოლონია (პოლონეთი) — ტილიგული (მოლდოვა)
4 პობედა (მაკედონია) — ოზეტა (სლოვაკეთი)
5 რუდარი (სლოვენია) — ჰალმსტადი (შვედეთი)
6 ჰერფოლგე (დანია) — ზილინა (სლოვაკეთი)
7 ბაკეუ (რუმინეთი) — არარატი (სომხეთი)
8 ბელშინა (ბელარუსი) — ვარტექსი (ხორვატია)
9 უნიონი (ლუქსემბურგი) — ვაშაში (უნგრეთი)
10 შელბურნი (ირლანდია) — ქსამაქსი (შვეიცარია)
11 ჩაჰლაული (რუმინეთი) — ეკრანასი (ლიტვა)
12 ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი) — გომელი (ბელარუსი)
13 დრაგოვილიაცი (ხორვატია) — ნური თაუნი (ჩრდ. ირლანდია)
14 მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — ყარაბახი (აზერბაიჯანი)
15 ცემენტარნიცა (მაკედონია) — *კოლხეთი (ფოთი, საქართველო)*
16 კოროტანი (სლოვენია) — ბაზელი (შვეიცარია)
17 იედინსტვო (ბოსნია) — გი გოტუ (ფარერები)
18 ებერსთვიზ თაუნი (უელსი) — ფლორიანა (მალტა)
19 აკრანესი (ისლანდია) — ტეუტა (ალბანეთი)
20 ჯოკერიტი (ფინეთი) — ტრანსი (ესტონეთი)

პირველი მატჩები — 19-20 ივნისი, საპასუხო მატჩები — 26-27 ივნისი

მეორე ეტაპი

A პერუჯა (იტალია) — 4 გამარჯვებული
B დუისბურგი (გერმანია) — 13 გამარჯვებული
C 16 გამარჯვებული — ბრნო (ჩეხეთი)
D 15 გამარჯვებული — როსტსელმაში (რუსეთი)
E ბრანი (ნორვეგია) — 8 გამარჯვებული
F 5 გამარჯვებული — ლუსტენაუ (ავსტრია)
G ლოკერენი (ბელგია) — 19 გამარჯვებული
H 6 გამარჯვებული — ესპანეთი
I კოპენჰაგენი (დანია) — 13 გამარჯვებული
J ჰამარბიუ (შვედეთი) — 12 გამარჯვებული
K 1 გამარჯვებული — ქოჯაელისფორი (თურქეთი)
L 14 გამარჯვებული — მონპელიე (საფრანგეთი)
M 7 გამარჯვებული — 2 გამარჯვებული
N 10 გამარჯვებული — 9 გამარჯვებული
O 20 გამარჯვებული — 18 გამარჯვებული
P 11 გამარჯვებული — 17 გამარჯვებული

პირველი მატჩები — 3-4 ივლისი, საპასუხო მატჩები — 10-11 ივლისი

მესამე ეტაპი

ესპანეთი — L გამარჯვებული
P გამარჯვებული — იუვენტუსი (იტალია)
ტრაბზონსფორი (თურქეთი) — A გამარჯვებული
ჰერენვენი (ჰოლანდია) — J გამარჯვებული
ვესტ ჰემ იუნაიტედი (ინგლისი) — O გამარჯვებული
F გამარჯვებული — რენი (საფრანგეთი)
ჰამბურგი (გერმანია) — C გამარჯვებული
M გამარჯვებული — აუსტრია (ვენა, ავსტრია)
E გამარჯვებული — D გამარჯვებული
K გამარჯვებული — B გამარჯვებული
G გამარჯვებული — H გამარჯვებული
I გამარჯვებული — N გამარჯვებული

პირველი მატჩები — 17-18 ივლისი, საპასუხო მატჩები — 24 ივლისი

ჩემპიონთა თასი — UEFA CHAMPIONS LEAGUE

უეფას თასი — UEFA CUP

ჯგუფი	მესამე შესარჩევი ეტაპი	მეორე შესარჩევი ეტაპი	პირველი შესარჩევი ეტაპი	ქვეყანა	1/32 ფინალი	შესარჩევი ეტაპი
მანჩესტერი						
მილანი ლაციო	ფიორენტინა პარმა			1 იტალია	ბოლონია, რომა, უდინეზე	
ბაიერნი ლევერკუზენი	ჰერტა დორტმუნდი			2 გერმანია	ვერდერი, ლაუტერნი, ვოლფსბურგი	
ბარსელონა III ადგილი	II ადგილი IV ადგილი			3 ესპანეთი	თასის მფლობელი, V, VI ადგილები	
ბორდო მარსელი	ლიონი			4 საფრანგეთი	ნანტი, ლანსი მონაკო	
ფეიენოორდი ტილბურგი	ეინდჰოვენი			5 ჰოლანდია	აიაქსი, ვიტესი, როდა	
არსენალი	ჩელსი			6 ინგლისი	ნიუკასლი, ლიდსი, ტოტენჰემი	
პორტუ	ბოავიშტა			7 პორტუგალია	თასის მფლობელი, ბენფიკა, სპორტინგი, სეტუბალი	
ოლიმპიაკოსი	აეკ			8 საბერძნეთი	პანათინაიკოსი პაოკ იონიკოსი არისი	
სპარტა	ტეპლიცე			9 ჩეხეთი	სლავია	სიგმა
რუსენბორგი		მიოლდე		10 ნორვეგია	სტაბეკი	ვიკინგი, ბოდო ვლიმტი
	შტურმი	რაპიდი		11 ავსტრია	ლინცერი	გრაცერი
	სპარტაკი	ცსკა		12 რუსეთი	ზენიტი	ლოკომოტივი (მ)
	კროაცია	რიეკა		13 ხორვატია	ოსიეკი	ჰაიდუკი
	გალათასარაი	ბეშიქთაში		14 თურქეთი	ანკარაგიუჯიუ	ფენერბაჰჩე
	ოლბორგი	ბრონდბიუ		15 დანია	აბ კოპენჰაგენი	ლუნგბიუ
	სერვეტი			16 შვეიცარია	ლოზანა	გრასჰოპერი, ციურიხი
		დინამო (კ)		17 უკრაინა	კარპატი	შახტიორი, კრივბასი
		ვიძევი		18 პოლონეთი	ამიცა	ლეგია, ლენი
		მტკ		19 უნგრეთი	დებრეცენი	ფერენცვაროში, უიპეშტი
		გენკი		20 ბელგია		ლიერსი, ბრიუგე, ანდერლეხტი
		სლოვანი		21 სლოვაკეთი		დუკლა, ინტერი, სპარტაკი
		რაპიდი		22 რუმინეთი		სტიაუა, დინამო
		აიკ		23 შვედეთი		გიოტებორგი, ჰელსინგბორგი
		დინამო		24 საქართველო		ტორპედო, ლოკომოტივი
		ანორთოსისი		25 კვიპროსი		აპოელი, ომონია
		რეინჯერსი		26 შოტლანდია		სელტიკი, ცილმარნოკი, სტ. ჯონსტონი
		ჰაპოელი (ჰ)		27 ისრაელი		ჰაპოელი (თ-ა), მაკაბი (თ-ა)
			მარიბორი	28 სლოვენია		ოლიმპია გორიცა
			დნეპრტრანსმაში	29 ბელარუსი		ლოკომოტივ 96, ბეტა
			ვესტმანაიეარი	30 ისლანდია		ლეიფტური, რეიკავიკი
			ჰაკა	31 ფინეთი		ჰიკი, ვაასა
			სკონტო	32 ლატვია		რიგა, მეტალურგსი
			ლიტექსი	33 ბულგარეთი		ცსკა, ლევსკი
			სლოგა	34 მაკედონია		ვარდარი, სილექსი
			ჟალგირისი	35 ლიტვა		კაუნასი, კარედა
			პარტიზანი	36 იუგოსლავია		ცრვენა ზვეზდა, ვოივოდინა
			ზიმბრუ	37 მოლდოვა		შერიფი, კონსტრუქტორული
			ფლორა	38 ესტონეთი		ლევადია, ლანტანა ტულევიკი
			ცემენტი	39 სომხეთი		შირაქი, ერევანი
			გლენტორანი	40 ჩრდ. ირლანდია		პორტდაუნი, ლინფილდი
			ვალეტა	41 მალტა		ბირკირკარა, შლემა
			ბერი თაუნი	42 უელსი		ინტერი, ქვიმბრან თაუნი
			სენტ პატრიკი	43 ირლანდია		ბრეი, კორკ სიტი
			ტორსპაგენი	44 ფარერები		კლაკსვიკარი, ბ 36
			ტირანა	45 ალბანეთი		ვლაჟნია, ბილიში
			ჟენეს ეში	46 ლუქსემბურგი		მონდერკანჟი, დუდელანჟი
			ქიაფაზი	47 აზერბაიჯანი		ნეფთჩი, შამქირი
				ლიხტენშტაინი		ვადუცი
				ანდორა		პრინჩიპატი

ესპანეთი

თასის ნახევარფინალი

საპასუხო მატჩი

დეპორტივო 0:1 ატლეტიკო

0:1 სერენა (60)

დეპორტივო: სონგო, რომერო, ნაიბეტი, შურერი, მანუელ პაბლო, ჯალმინია, სკალონი (პაულეტა 63), ჰაჯი (არმანდო 77), ზიანი (მანხარინი 63), დონატო, ტურუ ფლორესი

ატლეტიკო: მოლინა, სანტი, აგილერა, ხელი, ტორიზი (ტინო 46), სერენა, ჟუნინიო, ლარდინი (სოლარი 66), ვალერონი (რობერტო 88), ბეიბლი, ხოსე მარი

გაფრთხილება: ნაიბეტი, შურერი, ჯალმინია, დონატო, სანტი, აგილერა, სერენა

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

26 ივნისს ესპანეთის თასის გათამაშების ფინალში მადრიდის „ატლეტიკო“ ალბათ, „ვალენსიას“ შეხვდება. მართალია, ვალენსიელებს მადრიდის „რეალთან“ საპასუხო მატჩი არ ჩაუტარებიათ, მაგრამ საეჭვოა, დედაქალაქელებმა ექვსგოლიანი დეფიციტი აღმოფხვრან.

ლა კორუნიაში დაძაბული მატჩის მოგებით „ატლეტიკომ“ შოიპოვა უფლება, ქვეყნის თასისთვის იბრძოლოს. თუ მოხდა და მადრიდელებმა ფინალში გაიმარჯვეს, ისინი თასს მეათედ დაეუფლებიან.

სტუმართა გამარჯვება იტალიელმა მიკელე სერენამ განაპირობა. მის მიერ ჩინებულად შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ მასპინძელთა კარში, გამარჯვების გოლი გავიდა. „ატლეტიკოს“ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ვეტერანმა მეკარემ, ხოსე ფრანსისკო მოლინა ხიმენესმა, რომელიც შეუდარებელი და, რაც მთავარია, საიმედო გახლდათ.

დაძაბული თამაში იყო. მიუხედავად შინ ვერმოგებული მატჩისა, „ატლეტიკოს“ სულაც არ ჰქონდა იმედი გადაწურული. მასპინძელ „დეპორტივოს“ რადმირ ანტიჩის მიერ დამოძღვრილი ფეხბურთელები მედგრად დაუდგნენ და გვარიანად ანერვიულეს, საბოლოოდ კი მეტოქე სულაც დაამარცხეს.

ურიგოდ არც მასპინძლებმა ითამაშეს, მაგრამ მაინც წააგეს. „დეპორტივოს“ სამხრეთამერიკელი ლიდერები — ბრაზილიელი ჯალმინია და არგენტინელი ტურუ ფლორესი ძალიან ცდილობდნენ, მაგრამ გოლი ვერ გაჰქონდათ. იყო მომენტები, მეტოქის მეკარე უშეცდომოდ თამაშობდა, ხანაც თავდამსხმელებს არ უმართლებდათ. ჯალმინიას და ტურუ ფლორესის დარად ხელსაყრელ მომენტებს ვერ იყენებდნენ ლა კორუნიელთა ფრანგი ლეგიონერი სტეფან ზიანი და არგენტინელი გაბრიელ ფრანსისკო შურერი.

— ბოლო ხანებში „ატლეტიკოს“ თამაშში პროგრესი შეიმჩნევა. სეზონის მიწურულს ფეხბურთელებმა ძალები ირწმუნეს და ეს ძალიან კარგია. თუ მოხდა და თასი მოვიგეთ, „ატლეტიკოსთვის“ ეს, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, უდიდესი მიღწევა იქნება — განაცხადა გამარჯვებულთა მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა. სხვათა შორის, 1996 წელს, როცა „ატლეტიკომ“ ჩემპიონობასთან ერთად ქვეყნის თასიც მოიგო, გუნდს ანტიჩი წვრთნიდა.

ფინალში „ვალენსიასთან“ მოსალოდნელ დაპირისპირებას რაც შეეხება, ვეტყვით, რომ ესპანეთის თასის გათამაშების 98-წლიან ისტორიაში ფინალში „ატლეტიკო“ „ვალენსიას“ ერთადერთხელ შეხვედრია. 1972 წელს მადრიდელებმა მეტოქეს 2:1 მოუგეს.

ჩვენ ვართ მექრთამეები

ბელგიელ ფეხბურთელთა უმეტესობა ამბობს, რომ მათი ქვეყნის პირველ დივიზიონში მექრთამეობა ერთობ ფესვებგადგმული საქმიანობაა. გამოკითხულთა 12-მა პროცენტმა ალალად განაცხადა, რომ კარიერაში ჰქონია შემთხვევა, როდესაც მისთვის თამაშის წაგება უთხოვიათ.

სულ, 102 მოთამაშე გამოკითხეს და რეფერენდუმის შედეგები „ფუტ მაგაზინში“ გამოაქვეყნეს. შედეგი სავალალოა: მექრთამეობის არსებობას 62,7 პროცენტი ადასტურებს.

თხუთმეტმა აღიარა, რომ მათთვის ფული შეუთავაზებიათ (14,7 პროცენტი), 11,8 პროცენტს კი უბრალოდ თხოვეს თავისი გუნდის დამარცხებაში ეთამაშა როლი.

მოთამაშეთა 45 პროცენტი თვლის, რომ კლუბს, რომელშიც ირიცხებიან, ცუდად ხელმძღვანელობენ, 85 პროცენტს კი ეჭვი არ ეპარება, რომ მისი გუნდი უცხოურებთან შედარებით მეტად და მეტად სუსტდება.

გამოკითხეს პირველი დივიზიონის ხუთი გუნდის მწვრთნელიც. მათგან ორმა განაცხადა, რომ კარგად მოეხსენება რომელი ფეხბურთელი რა სტიმულატორს სვამს.

ვან გაალი ერთი სეზონის მერე წავალ



ლუის ვან გაალი

ფრანკ დე ბური, „ბარსელონას“ ჰოლანდიელი მცველი, ამბობს, რომ მისი ვარაუდით გუნდის მწვრთნელი, ლუის ვან გაალი მომავალი სეზონის ბოლოს თანამდებობიდან გადადგება. დე ბურისავე თქმით იგი და მისი ტყუპისცალი რონალდი გაყოლას არ აპირებენ.

„ვან გაალი ბარსელონაში ერთ სეზონსაც გაატარებს და მერე, მგონი, წავა“ — განუცხადა ფრანკ დე ბურმა გაზეთ „სპორტს“ — „ეჭვი მაქვს, რომ მას ჰოლანდიის ნაკრებს ჩააბარებენ, ეს კი ვან გაალის ერთ-ერთი მიზანთაგანია.“

ვან გაალი „ბარსელონას“ ორი სეზონის წინ სამწლიანი კონტრაქტით შეუერთდა, მაგრამ ხელშეკრულებაში უნერია, რომ კიდევ ორი წლით შეუძლია კონტრაქტის გაგრძელება. მიუხედავად ამისა, როგორც ამბობენ, ჰოლანდიელ მწვრთნელს ძალიან მობეზრდა კატალონიური პრესის კრიტიკის მოსმენა.

რაც შეეხება ტყუპებს, ისინი ბარსელონაში იანვარში, 22 მილიონ დოლარად, ამსტერდამის „აიაქსიდან“ გადავიდნენ და თავს ერთობ ბედნიერადაც გრძნობენ.

„როცა ჩამოვედით, ვთქვით, რომ კლუბის საერთაშორისო პრესტიჟმა მიგვიზიდა და მართლებიც ვყოფილვართ. მართალია ვან გაალი დიდი მწვრთნელია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ჩვენ, „ბარსელონას“ ფეხბურთელები გახლავართ“ — განაცხადა რონალდმა, ფრანკმა კი დასძინა: „ვამაყობთ იმით, რასაც „ბარსელონაში“ მივაღწიეთ. ეს საერთაშორისო დონის გუნდია მე და ჩემი ძმა კი ასეთივე კლასის მოთამაშეები გახლავართ“.

ისევ ქვემოთ

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევმა თამაშებმა რეიტინგში დიდი ცვლილებები მოახდინა. ახალ კლასიფიკაციაში ის 89 მატჩია გათვალისწინებული, გასულ ერთ თვეში რომ გაიმართა.

საქართველოს ნაკრები, რომელმაც ორი მატჩი წააგო, სამი საფეხურით დაქვეითდა და ახლა 59-ეა. შეგახსენებთ, რომ გასული წელიწადი საქართველოს ნაკრებმა 52-ე ადგილზე დაამთავრა.

1	ბრაზილია	808	21	პარაგვაი	613	41	იამაიკა	553
2	საფრანგეთი	781	22	ისრაელი	610	42	იაპონია	546
3	ჩეხეთი	753	23	პოლონეთი	607	43	კოტ დივუარი	541
4	იტალია	750		რუსეთი	607	44	ირანი	537
5	გერმანია	733	25	უკრაინა	606	45	განა	535
6	ესპანეთი	732	26	ტუნისი	605	46	უნგრეთი	532
7	ხორვატია	723	27	შოტლანდია	601		ისლანდია	532
8	არგენტინა	716	28	ს. აფრიკა	598	48	კამერუნი	527
9	რუმინეთი	704	29	ჩილე	597	49	ეკვადორი	522
10	ჰოლანდია	700	30	ბელგია	594		ლიტვა	522
11	ნორვეგია	699	31	აშშ	592	51	შვეიცარია	518
12	პორტუგალია	685	32	კოლუმბია	583	52	ქუვეითი	515
13	ინგლისი	684	33	ბულგარეთი	575	53	ბოლივია	507
14	მექსიკა	672	34	ზამბია	573	54	ჩინეთი	505
15	შვედეთი	668	35	ირლანდია	571	55	ლატვია	504
16	იუგოსლავია	645	36	საბერძნეთი	570	56	ავსტრალია	502
17	დანია	642	37	თურქეთი	566		ზაირი	502
18	მაროკო	637	38	კორეა	564	58	ფინეთი	501
19	ავსტრია	632	39	ეგვიპტე	558	59	საქართველო	498
20	სლოვაკეთი	614	40	საუდეთი	557	60	ტრინიდადი	496

პირველ სექტემბერს

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მერვე ჯგუფის თამაში ხორვატიასა და მალტას შორის 1 სექტემბერს შედგება. ადრე დადგენილი კალენდრის მიხედვით, ხორვატიას მალტასთვის მარტში უნდა ემასპინძლა, მაგრამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო უეფამ თამაში გადადო. შეხვედრის დრო აქამდე ცნობილი არ იყო.

13 მილიონი

კრისტიან ვიერი

კრისტიან ვიერი, რომელიც ერთი კვირის წინ გადავიდა მილანის „ინტერში“, წელიწადში გასამრჯელოს სახით კლუბისგან 8 მილიონ გირვანქას ანუ დაახლოებით 13 მილიონ დოლარს მიიღებს.

„ინტერის“ წარმომადგენელმა ლუიჯი დი ფორტამ განაცხადა, რომ მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელის ხელფასი კლუბის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე დადგინდა.

იტალიელი ფორვარდი მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულ მოთამაშესთან ერთად ყველაზე მაღალ ანაზღაურებადი მოთამაშეც გახდა — 13 მილიონი დოლარი ერთ სეზონის სანაცვლოდ, ეს მართლაც წარმოუდგენლად დიდი თანხაა. შეგახსენებთ, რომ „ლაციოში“ თავდამსხმელი სეზონში 4,5 მილიონ გირვანქას იღებდა.

ბაზრის ერთ კუთხეში

გასულ კვირას საფეხბურთო სამყარომ ხელი აღაპყრო და თავი მრავალჯერადვნად გაიქნია — კრისტიან ვიერი „ინტერმა“ „ლაციოსგან“ 31 მილიონ გირვანქად იყიდა. ამრიგად, ფეხბურთელთა სატრანსფერო ბაზარზე მსოფლიო რეკორდი დამყარდა, „ლაციომ“ არნახული თანხა მიიღო, ევროპაში კი დაიწყო ექვსკვირეული, რომელსაც ტონი უკვე მიცემული აქვს.

დღეს, „ჩელსის“ მენეჯერ-დირექტორი, კოლინ ჰაჩისონი ამბობს, რომ ბევრი კლუბი იძულებულია მიმართოს პოლიტიკას, რომელსაც „დავიცადოთ და ვნახოთ“ შეიძლება ეწოდოს. „ჩელსიმ“ გასულ შაბათ-კვირას, ბოსმანური წესის თანახმად თავისუფალ აგენტად ქცეული ჰოლანდიელი მოთამაშე მარიო მელხიოტი შეიმატა, მანამდე კი დიდი აქტიურობით არ გამოუჩენია თავი. ჰაჩისონი ამას თავისებურად განმარტავს: „მთელ ევროპაში სატრანსფერო ბაზარი დომინოს ქვებს დაემსგავსა. ერთი ფეხბურთელი თუ სადმე გადავა, დანარჩენები მის მაგალითს მისდევენ“.

ერთი ფეხბურთელი, რომელიც „სადმე“ გადავიდა, კრისტიან ვიერი გახლავთ. მისი ტრანსფერი ყველას და ყველაფრის განმსაზღვრელი შეიძლება გახდეს.

„ლაციოს“ პრეზიდენტის, სერჯო კრანიოტის საქციელმა უდიდეს კლუბთა სალაროებს ნიშანი მისცა. კრანიოტის სერია A-ს ტიტულის მოპოვება აქვს მიზნად დასახული („ლაციო“ 25 წელიწადია, იტალიის ჩემპიონი არ გამხდარა) ხოლო ფული მისთვის პრობლემა არ არის. მიიღო რა „ინტერისგან“ დიდძალი თანხა, იგი გულუხვად შეუდგება მოთამაშეთა შეძენას, სანამ საბანკო ბარათში აღნშნული რიცხვი ნულამდე არ დაუვა. ამიტომაც, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ კრანიოტიმ ოფიციალური მიპატიჟების წერილით მიმართა ფრანგ ნიკოლა ანელკას, არგენტინელ კლაუდიო ლოპესსა და შვედ კენეტ ანდერსონს. ამ ვარიანტებიდან ერთიც არაა უპერსპექტივო. ანელკას, მოგეხსენებათ, „არსენალის“ დატოვება სურს, თუმცა ლონდონელთა მწვრთნელი, არსენ ვენგერი მის შენარჩუნებას ცდილობს.

ინგლისის საშინაო ბაზარზე სამი მსხვილი ლუკმაა: რობი ფაულერი, ემილ ჰესკი და კრის სატონი. მათი დღევანდელი კლუბები იქნებ არც უარობდნენ მათ გაყიდვას, მაგრამ ეჭვი არაა, ფასი ძალიან დიდი იქნება.

„ლაციოს“ კი განაცხადში მარსელო სალასიც ჰყავს. როდესაც სერია A-ს კლუბმა ჩილელი თავდამსხმელი თავისი სამომავლო გეგმის განუყოფელ ნაწილად გამოაცხადა, წარმატების საწინდრად გამოიკვეთა ტრიო — სალასი, სვენ გორან ერიკსონი და კრანიოტი.

ახლა, ლოპესი, როგორც ჩანს, უეჭველად გადავა ესპანეთიდან იტალიაში. ესე იგი, დიდი შანსია იმისა, რომ „ლაციომ“, რომელმაც „ჩელსის“ სიმეონე-ინძაგის ყიდვა უკვე დაასწრო, შეიძლება ლოპესიც დაიმატოს. მოგეხსენებათ, ლოპესმა მშობლიური „რივერ პლეიტი“ გასულ წელიწადს, 12 მილიონი გირვანქის ფასად დატოვა.

„ჩელსისთვის“ ანდერსონის თემაც საინტერესოა, რამეთუ ჯანლუკა ვიალი ვერ მიღწეული ტიტულისკენ ახალ ლაშქრობას აპირებს.

„ბოლონიას“, ამასობაში, ნიკოლა ვენტოლას ყიდვა სურს. ვენტოლა „ინტერის“ ძირითადში ისედაც ვერ ხვდებოდა და ახლა, როდესაც მილანელთა შეტევაში რონალდოს ვიერიც დაემატა, მას „სან სიროზე“ აღარაფერი ესაქმება. ერთადერთი პრობლემა თანხაა, თუ ბოლონიელები ანდერსონს 10 მილიონად გაყიდიან, ამ ფულს ციმციმ „ინტერს“ გადაურიცხავენ.

ანუ, თუ „ლაციო“ ანდერსონს არ იყიდის, „ბოლონია“ ვენტოლას გარეშე დარჩება.

„ჩელსის“ კი ის-ის იყო „ინტერთან“ ვენტოლას თაობაზე ხელშეკრულება უნდა დაედო, რომ თავად ფეხბურთელს ლონდონელთა შეთავაზებული პირობები არ ეჭაშნიკა და გარიგება ჩაშალა.

ამასობაში „ჩელსიმ“ „ლაციოს“ მიერ შეთავაზებულ ესპანელ გამთამაშებელ ივან დე ლა პენიაზე უარი თქვა. აქ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დე ლა პენია „არსენალში“ გადავა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ „არსენალი“ „ლაციოს“ მასში ანელკას გაუცვლის.

ყოველივე ამის პარალელურად „ჩელსი“ ყიდის იტალიელ რობერტო დი მატეოს — რომლის მოსახელთებლად „ფიორენტინას“ მადრიდის „ატლეტიკომ“ გამოუცხადა ბრძოლა — და მის შემცვლელად „რომასგან“ ლუიჯი დი ბიაჯოს გადაბირება სურს.

თავის მხრივ, „ატლეტიკო“ არ მალავს, რომ მზადაა, ჟუნინიოს თაობაზე „მიდლსბროს“ ევაჭროს.

მარტინ ლიპტონი

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ვარსკვლავებს

ᲒᲣᲠᲗᲘ მაადლობა უთხრათ კაცს, რომელმაც თქვენი ცხოვრება უზრუნველჰყო? აი, როგორ უნდა მოიქცეთ...

დასავლეთის უმდიდრესო ვარსკვლავებო, შანი გეძლევათ, ღირსეული მადლობა უძღვნათ ჟან მარკ ბოსმანს, რომელმაც მულტიმილიონერებად გაქციათ. ეს საკმაოდ იოლი საქმეა. საკმარისია, ჯიბიდან საბანკო ბარათი ამოიღოთ (ოღონდ უფრო მარტივია თქვენი ჯიბიდან ბარათის ამოღება, აგენტებს დაავალოთ), გაიხსენოთ რა პრემია გერგოთ ჩემპიონატის ბოლო მოგებულ შეხვედრაში და ეს თანხა ბრიუსელის ბანკის საგანგებო ანგარიშზე გადარიცხოთ. ეს ანგარიში კეთილმა ხალხმა გახსნა.

უცნაურია? ყოველ შემთხვევაში კაცმა, რომელმაც თქვენს კარიერას თავისი შესწირა, თქვენი გულისთვის ოჯახი დაენგრა და მომავალიც ბუნდოვანი აქვს, მინიმალური ყურადღება მაინც უნდა იგრძნოს.

ლონდონში ვიზიტის დროს ბოსმანმა თავისი ისტორია მოყვა. ლონდონში რა უნდოდა? გეკითხებათ, რომ პრემიერლიგის ვეშაპებმა მას შეხვედრა მოუწყვეს? ცხადია, არა. იმ ქალაქში, სადაც 20 წლის წინ, ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატში ითამაშა, ბოსმანი მეორე დივიზიონის „ფულემ“ — „მილუოლის“ მატჩზე დასასწრებად ჩავიდა. ის საპატიო სტუმარი არ ყოფილა და არც მოჰამედ ალ ფაედთან ან კევინ კიგანთან ჰქონდა მოლაპარაკება. ბოსმანს ბელგიელ მეგობართან, ფილიპ ალბერთან და მის ფულემელ თანაგუნდელებთან, კრის კოულმენთან, დირკ ლემანთან, გუს ულენბეკთან და კიტ საიმონსთან სურდა შეხვედრა. ამ ფეხბურთელებმა ჯიბეზე ხელი გაიკრეს და მის სახელზე, ბელგიური პროფკავშირის ხელშეწყობით, დააარსებულ ფონდს შეეწიენ. ალბერმა 2 ათასი გირვანქა გაიღო, დანარჩენებმა — 700. ეს გახლდათ ერთი, „რედინგთან“ მოგებული შეხვედრის პრემია.

„მადლობის სათქმელად ჩამოვედი“ — განმარტა ბოსმანმა — „უცნაური კი ის გახლავთ, რომ მადლობის თქმა ქვედა ლიგელებისთვის მიწევს და არა დიდი ვარსკვლავებისთვის, რომელთაც გაცილებით მარტივად შეეძლოთ იმავე აქციის მოწყობა. ყოველთვის ვოცნებობდი დიდ ფეხბურთელობაზე. ჭაბუკობისას ბელგიის ნაკრებში 20-ზე მეტი თამაში ჩავატარე, მაგრამ მერე სასამართლოებში სირბილს გადავყევი და ფორმა დავკარგე, რის გამოც ჩემი აყვანა ერთ გუნდსაც აღარ სურდა. ამრიგად, კარიერა გავწირე“.

ბოსმანის ტრაგედია ამით არ დასრულებულა. მას მერე, რაც შემოსავლის გარეშე დარჩა, იგი ცოლმა მიატოვა.

შეგახსენებთ, რომ ყველაფერი „ლიეჟიდან“ ფრანგულ „დუნკერკში“ ვერგადასვლამ გამოიწვია. ბელგიური კლუბი დაჟინებით ითხოვდა კუთვნილ სატრანსფერო თანხას, რომელსაც „დუნკერკი“ ვერ იხდიდა. გამოსავლის ძიებაში ბოსმანმა ბელგიურ სასამართლოში იჩივლა, რის შედეგადაც, 1995 წელს, ევროსასამართლომ მთელი ევროკავშირის მასშტაბით გააუქმა უფას წესი სატრანსფერო თანხათა შესახებ.

„ვამაყობ იმით, რასაც მივაღწიე. დღეს ფეხბურთელებს იგივე უფლებები აქვთ, რაც სხვა სფეროთა წარმომადგენლებს, როდესაც ერთი სამსახურიდან მეორეში მიდიან. მაგრამ ეგრეთწოდებული ბოსმანის წესის ბევრი თანამდევი მოვლენა ნამდვილად არ მიხარებს გულს“ — ამბობს ბოსმანი, რომელიც გასული წლის შუამდე მშობლების კისერზე, საძაგელ გარემოში ცხოვრობდა. საფეხბურთო სამყაროში იგი, როგორც ინტრიგანი, არავის სურდა. მეტიც, ბელგიის ფეხბურთის ფედერაციას თავისი კლუბები გაუფრთხილებია ჩემი კანონები მაქვს და ნებისმიერს, ვინც ბოსმანს თავისთან აიყვანს, ქულებს, რომლებსაც მისი მონაწილეობით ჩატარებულ მატჩებში დააგროვებს, სეზონის ბოლოს დავუქვითავო.

შარშან ფედერაცია როგორც იქნა, აიძულეს უკან დაეხია, ვინაიდან მისი ახირება სამოქალაქო სამართლის ნორმებს არ ექვემდებარებოდა. შესაბამისად, ბოსმანს ცხოვრების აღდგენის საშუალება მიეცა.

„მზად გახლდით ხელახლა დამეწყო სასამართლოებში სირბილი, მაგრამ ბელგიურმა ფედერაციამ, რომელმაც ევრო 2000-ის ფინალური ეტაპის მასპინძლობის უფლება მიიღო და საზოგადოებრიობის თვალში სახელის შელანძღვა აღარ სურდა, გადაწყვეტილება შეცვალა. მეც აღარ დავიჟინე, რადგან რვაწლიანი ომი მაქვს გადახდილი და ამჯერად ცხოვრების აღდგენის მეტი აღარაფერი მინდა“ — დასძინა ბოსმანმა.

ფულს ერთი თვისება აქვს — ილევა. ამიტომაც იყო, რომ ბელგიის პროფკავშირებმა, 1998 წლის დეკემბერში, დასავლეთევროპელ კლუბებს უკაპიკოდ დარჩენილი ჟან მარკ ბოსმანის დახმარებისკენ მოუწოდა. მან ბოსმანის სახელზე ბანკში ანგარიში გახსნა და სხვადასხვა



ჟან მარკ ბოსმანი

ქვეყნის გუნდების კაპიტნებსა და ვარსკვლავებს საგანგებო წერილით მიმართა.

თითქოს რა უნდა აღდგომოდა წინ ამ წამოწყებას? ძნელი იყო თითოეული კლუბის თუნდაც თითო მოთამაშისთვის ტყუპი ჰოლანდიელების, ფრანკ და რონალდ დე ბურების ორი წლის წინანდელი იდეის ხორცშესხმა და ჩემპიონატის ერთ თამაშში მიღებული პრემიის ბოსმანისთვის გადარიცხვა? მაგალითად, სტივ მაკმანამანი მოვიტანოთ. მას ხომ სწორედ ბოსმანის წყალობით ეძლევა მადრიდის „რეალში“ იოლად, უშველებელი შემოსავლის მისაღებად გადასვლის შანსი.

სამწუხაროდ, ბელგიური პროფკავშირის მოწოდებას ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და სხვა დიდი ლიგების ვარსკვლავთაგან არავინ გამოხმაურებია. მაშ ვინ გამოეხმაურა? დომენიკ ლემონი, ბელგიელი ყმაწვილი რომელიც ესპანეთში თამაშობს. „შტუტგარტში“ მოთამაშე ჰოლანდიელი ფრანკ ვერლაატი, ბელგიელი მეკარე, „ბენფიკას“ კარის მცველი მიშელ პრიუდომი, პლუს ზემოჩამოთვლილი ფულემელები და „არსენალის“ ჰოლანდიური წყვილი, დენის ბერხკამპი და მარკ ოვერმარსი, რომელთაც... თანხის ნახევარ-ნახევარი დადეს.

ბოსმანი ამბობს: „არაფერია უცნაური იმაში, რომ ფეხბურთელებს არ ესმით ჩემი დამსახურება მათ წინაშე. მათ მხოლოდ ის გაიგეს, რომ როდესაც კონტრაქტის ვადა ამოეწურებათ, შეუძლიათ სხვა გუნდში უპრობლემოდ გადავიდნენ და დიდი ხელფასები მიიღონ. ჩემს პროცესამდე ერთი ქვეყნიდან მეორეში მხოლოდ დიდი ვარსკვლავები, ისიც თავდამსხმელები გადადიოდნენ თანაც, მათი რაოდენობა შეზღუდული გახლდათ, რადგან ყველა ქვეყანას ლიმიტი ჰქონდა უცხოელ ფეხბურთელებზე დაწესებული. დღეს კი ნებისმიერი მოთამაშე თავისუფლად მოძრაობს ერთი ლიგიდან მეორისკენ. საფრანგეთმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული რომ მოიგო, მისმა მწვრთნელმა, ემე ჟაკემ განაცხადა, ტრიუმფს ბოსმანის წესს უნდა ვუმადლოდეთო. მართლაც, ჩემი ბრძოლა რომ არა, ისეთი მეორეხარისხოვანი ფეხბურთელი, ბიქსენტე ლიზარაზუ რომ გახლავთ, ვერასდროს აიმაღლებდა ოსტატობას უცხოეთის დიდ კლუბში. მახსოვს, 17 თუ 18 წლის რომ ვიყავი და „სტანდარდში“ ვთამაშობდი, ისეთი დიდი ვარსკვლავი, როგორიც გახლდათ ერიკ გერეტსი, ჩიოდა, უცხოურ კლუბში მოწყობა ძალიან ძნელი საქმეაო. მაშინვე ვხვდებოდი, რომ ეს უსამართლობა იყო, მაგრამ იმ პერიოდში ფეხბურთელები მხოლოდ ერთმანეთს ეწუწუნებოდნენ. მწვრთნელისთვის ან პრეზიდენტისთვის რაიმეს თქმას კი ვერავინ ბედავდა“.

დღეს ჟან მარკ ბოსმანი საკმაოდ ასაკოვანია პროფესიული კარიერა რომ გააგრძელოს, სამოყვარულო ფეხბურთი კი მას არ იზიდავს. იშვიათად თუ მონაწილეობს საქველმოქმედო შეხვედრებში და ბელგიური საზოგადოებრიობის თვალში საფრთხობელის სახელს ატარებს.

„ბოსმანის წესები მე არ მომიგონია. მხოლოდ ვიჩივლე“ — ამბობს ბოსმანი — „ხომ გითხარით, არც კი მომწონს ზოგიერთი შედეგი, ჩემმა ბრძოლამ რომ გამოიღო. მაგალითად, ჭაბუკთა აღზრდის სისტემა დაზარალდა. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია ფიფამ და ევროკომისიამ საერთო აზრი გამოიმუშაონ. რაღა გამოვიდა, დიდი ევროპული კლუბები 14-15 წლის ბავშვებს ზედაც აღარ უყურებენ. ისინი შევსებას საზღვარგარეთ ეძებენ. შედეგად, უცხოელი ვარსკვლავები მიდიან ისეთ ქვეყნებში, რომელთა ენაზე ვერც კი ლაპარაკობენ, შორდებიან ოჯახს, გული უცრუვდებათ და ხშირად აღარც ფეხბურთელებად ვარგიან. ასეთ თავისუფლებას ფასი აღარ აქვს“.

ᲙᲘᲠᲘᲚᲚᲘ ᲠᲔᲓᲜᲘᲯᲘ, „ᲣᲝᲠᲚᲓ ᲡᲝᲙᲔᲠᲘ“
ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔᲛ

39a. Copa América Paraguay '99

რომარიო — არა, რონალდო — კი

ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ მიწურულს პარაგვაიში სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი, იგივე კოპა ამერიკა იწყება. კონტინენტის პირველობისთვის გუნდები უკვე შეუდგნენ მზადებას, ბოლო ტურნირის გამარჯვებულმა ბრაზილიამ კი სულაც შემადგენლობა დასახელა.

სანამ უშუალოდ გუნდის შემადგენლობას გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ გუნდში არ მიიწვია ცნობილი თავდამსხმელები — ედმუნდო და რომარიო. მიზეზი უდისციპლინობაა.

— ფეხბურთელი, რომელიც დღის რეჟიმს არ იცავს, მოთამაშე, რომელიც მწვრთნელის მითითებებს არ ასრულებს და ჰგონია, რომ გუნდში მთავარი ფიგურაა, არ შეიძლება ნაკრებში მიიწვიო. რომარიო და ედმუნდო თუ არ გამოსწორდნენ, სანამ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ვიქნები, ქვეყნის პირველ გუნდში ვერ ითამაშებენ — თქვა ლუქსემბურგომ.

ბრაზილიაში ედმუნდოს და რომარიოს ნაკრებში დაბრუნებას ელოდნენ, პირიქით კი მოხდა.

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი რომარიო, რომელმაც წლეულს „ფლამენგოში“ ძლიერად ითამაშა და ჩემპიონატში 25 გოლის გატანაც მოახერხა, ნაკრების უპირველეს თავდამსხმელად მიიჩნეოდა, ედმუნდოს კი, რომელიც „ვასკუ და გამას“ წელიწადნახევრიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა, ნაკრებში ადგილი თითქოსდა განაღდებული ჰქონდა. სხვათა შორის, ვანდერლეი ლუქსემბურგოს თავის დროზე ორივე ფეხბურთელთან უმუშავია — როცა „ფლამენგოს“ წვრთნიდა, რომარიოს კაპრიზების ატანა უხდებოდა, თუმცა მათ შორის ბოლოს მაინც განხეთქილება მოხდა, „პალმეირასში“ მოღვაწეობისას კი ედმუნდოს უპირისპირდებოდა.

მიუხედავად რომარიოს და ედმუნდოს არყოფნისა, ბრაზილიის ნაკრების თავდასხმა მაინც შთამბეჭდავად გამოიყურება. განსაკუთრებით აღსანიშნავია რონალდოს დაბრუნება — მილანის „ინტერის“ თავდამსხმელი, რომელმაც ტრავმის გამო ჰოლანდიელებთან ორი ამხანაგური მატჩი გამოტოვა, გუნდშია.

ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — დიდა (მილანი, იტალია), კარლოს ჟერმანო (ვასკუ და გამა); მცველები — კაფუ, ანტონიო კარლოსი (რომა, იტალია), ევანილსონი, ჟოაო კარლოსი (კრუზეირო), ზე რობერტო (ლევერკუზენი, გერმანია), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), სერჟინიო (სან პაულუ), ოდვანი (ვასკუ და გამა), სეზარი (პორტუგეზა); ნახევარმცველები — ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო, ესპანეთი), ედილსონი, ვამპეტა (კორინთიანსი), ემერსონი (ლევერკუზენი, გერმანია), ჟუნინიო (ვასკუ და გამა), სეზარ სამპაიო (პალმეირასი), ლეონარდო (მილანი, იტალია); თავდამსხმელები — რონალდო (ინტერი, იტალია), კრისტიანი (ინტერნასიონალი), ამოროზო (უდინეზე, იტალია), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი)

იაპონიის ლიდერი

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში მონაწილეობს. ეს გადაწყვეტილი ამბავია. როგორ იასპარეზებს, ეს უკვე სხვა საქმეა, მაგრამ სხვა კონტინენტის ჩემპიონატში რომ ითამაშებს, ფაქტია.

იაპონიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ კოპა ამერიკაში სათამაშოდ გასამგზავრებელი გუნდის შემადგენლობაშია წარმოშობით ბრაზილიელი, ამჟამად იაპონიის მოქალაქე თავდამსხმელი ვაგნერ ლოპესი.

ამომავალი მზის ქვეყნის თასის ნახევარფინალში, როცა ლოპესის „ნაგოია გრამპუს ეითი“ „ვერდი კავასაკის“ 3:0 ამარცხებდა, თავდამსხმელმა მუხლის ტრავმა მიიღო. ექიმების პირველადი დასკვნით, ბრაზილიელს ორმაგი მოტეხილობა აქვს, რაც ბუნებრივია, ფეხბურთელის სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში მონაწილეობას გამორიცხავდა. საბოლოოდ რენტგენის საშუალებით დადგინდა, რომ ვაგნერ ლოპესი მსუბუქადაა დაშავებული და ერთკვირიანი დასვენების შემდეგ ვარჯიშის განახლებას შეძლებს. იაპონიის ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ, რომელმაც ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები გაზაფხულზე მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, განაცხადა, რომ ვაგნერ ლოპესი მას გუნდის ლიდერად ესახება.

შეგახსენებთ, რომ იაპონია სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში 29 ივნისს ჩაებმება, ტურნირის გახსნის დღეს და პერუს შეხვდება.

ზოგი ძალიან დაიღალა

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ნაკრების მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი გუნდის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ბიელსას რჩეულთა შორის ვერ მოხვდნენ ძლიერი ფეხბურთელები, მათ შორის გაბრიელ ბატისტუტა, ერნან კრესპო, მატიას ალმეიდა, სებასტიან ვერონი და ხოსე შამოტი.

— ფეხბურთელებს ნაკრებში თამაში არ სურთ. ვინც გუნდს მიღმა დარჩა, მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ თავში უნდა ეძებონ. იტალიის ჩემპიონატში მონაწილე არგენტინელთა უმეტესობამ განაცხადა, რომ ისინი განვლილმა სეზონმა ძალიან დაღალა, გამოფიტა და ნაკრებში თამაში არ სურთ. ასეთ ფეხბურთელები, თუნდაც საქვეყნოდ ცნობილი, მე არ მჭირდება — განუცხადა ბიელსამ ჟურნალისტებს.

მწვრთნელისვე თქმით, შესაძლოა 27 ივნისამდე მან გუნდში კიდევ ორი ფეხბურთელი მიიწვიოს.

არგენტინის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი), ალბანო ბიცარი (რეალი, ესპანეთი); მცველები — უგო იბარა, ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი), მაურისიო პოჩეტინიო (ესპანიოლი, ესპანეთი), რობერტო აიალა (მილანი, იტალია), ნელსონ ვივასი (არსენალი, ინგლისი), ხავიერ ძანეტი (ინტერი, იტალია), ხუან პაბლო სორინი (რივერ პლეიტი); ნახევარმცველები — ანდრეს გულიელმინპიეტრო (მილანი, იტალია), კრისტიან გონსალესი, გუსტავო ლოპესი (სარაგოსა, ესპანეთი), რომან რიკელმე, დიეგო კანია (ბოკა ხუნიორსი), დიეგო სიმეონე (ლაციო, იტალია), კლაუდიო ჰუსაინი (ველეს სარსფილდი); თავდამსხმელები — არიელ ორტეგა (სამპდორია, იტალია), გილერმო ბაროს შელოტო, მარტინ პალერმო (ბოკა ხუნიორსი), ხულიო კრუზი (ფეიენოორდი, ჰოლანდია).

ᲑᲐᲢᲘᲡᲢᲣᲢᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲔᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებელის არქივიდან

ბებერი კონტინენტის ცივ-ცხელება

დამწუხრებული ლილიან ტურამი და გახარებული რუსები — დღევანდელი რეალობა

9 ივნისმა ევროპაში სანაკრებო ფეხბურთის სეზონი დაასრულა. ქვეყნის პირველი გუნდები ორიოდ თვით შეისვენებენ, მერე კი ისევ ახალი, მორიგი სეზონი დაიწყება.

ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩები სანაკრებო სეზონის ბოლო აკორდი გამოდგა. შესარჩევი ტურნირის ნახევარი თითქმის გაილია, თუმცა მიუხედავად ამისა, რომ ცოტა შეხვედრები დარჩა, დაძაბულობა მაინც დიდია, თანაც ზოგიერთ ჯგუფში ისეთია, შესარჩევი ტურნირის დასაწყისში ძნელად თუ წარმოვიდგენდით.

დღეს და ხვალ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის განვლილი შეხვედრების და დარჩენილი თამაშის მოკლე მიმოხილვას შემოგთავაზებთ, ჩვენი, მეორე შესარჩევი ჯგუფის გამოკლებით.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ნახევარზე მეტი გზა გაილია. ზოგიერთი გუნდისთვის განვლილი პერიოდი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა მეტოქეები გვარიანად ჩამოეტოვებინა და ბელგია-ჰოლანდიის საგზურისკენ საკმაოდ მოზრდილი ნაბიჯი გადადგა, ზოგიერთისთვის კი თითქმის ერთი წელიწადი საკმარისი არ აღმოჩნდა.

იმ ოთხი ჯგუფიდან (პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე), რომელსაც დღეს მიმოვიხილავთ, გამოკვეთილი ფავორიტი მხოლოდ პირველ შესარჩევ ჯგუფშია. ცხადია, სხვაგანაც არიან ლიდერები, მაგრამ ისეთი უპირატესობა, როგორც პირველ ჯგუფელ იტალიას აქვს მდევარ დანიასთან, არც ერთ სხვა ლიდერს არ გააჩნია.

1998 წლის 17 იანვარს, როცა ბელგიის ქალაქ გენკში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფები დადგინდა, პირველ ქვეჯგუფში გამარჯვება იტალიას უწინასწარმეტყველეს, დანიას და შვეიცარიას კი პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლა გამოუწერეს.

იტალია იმედებს ამართლებს. ევროპის 1968 წლის ჩემპიონი ნაკრების დღევანდელი თაობა საკმაოდ ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა უკეთესის სურვილიც რჩება. დინო ძოფის „სკუადრა აძურას“ სასურველ დონემდე ჯერ არ მიულწევია და ეს ამხანაგურ მატჩებშიც ვლინდება — თუ ჯგუფის მეტოქეებს იტალია ადვილად უსწორდება, იმავე ესპანეთთან, ნორვეგიასთან, ანაც ხორვატიასთან პაექრობა უჭირს. სწორედ ამგვარ მეტოქეებთან ბრძოლისას ვლინდება გუნდის ხარვეზები, რაც თუ არ გამოსწორდება, ცხადია, ევროპის ჩემპიონატზე უარყოფითად იმოქმედებს.

დღესდღეობით იტალია მდევარ დანიას, ევროპის 1992 წლის ჩემპიონს, ექვსი ქულით უსწრებს. „სკუადრა აძურას“ ასეთი უპირატესობა დანიაში გამარჯვებამ განაპირობა — კოპენჰაგენში იტალიამ მასპინძლებს 2:1 მოუგო. საერთოდაც იტალია ამ შესარჩევ ტურნირში ძალიან დამაჯერებლად ასპარეზობს — თუ ბელარუსთან შინ დაკარგულ ორ ქულას არ ჩავთვლით, იტალიამ ყველა თამაში მისაღები შედეგით დაასრულა.

შესარჩევ ტურნირში აპენინელებს ორი შეხვედრა აქვთ დარჩენილი — დანიას მასპინძლობენ და ბელარუსს სტუმრობენ. ამ ორ შეხვედრაში ქულაც საკმარისია, რომ იტალია ევროპის ჩემპიონატს ფინალურ ეტაპზე მოხვდეს.

ვინ გავა მეორე ადგილზე? მოდით, დარჩენილი შეხვედრებით ვიმსჯელოთ — დანია შვეიცარიას მასპინძლობს და იტალიას სტუმრობს, შვეიცარია კი ბელარუსს იღებს და უელსსა და დანიაში გასვლითი თამაშები აქვს. თუ დანიას ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა აქვს განზრახული, ორივე თამაში უნდა მოიგოს. თუ ასე არ მოხდა, საეჭვოა, შვეიცარიელებმა ბოძებული შანსი ხელიდან გაუშვან. თუ დანიასთან არ წააგეს, მათ პლეი ოფში მოხვედრის დიდი შანსი ექნებათ.

პირველი ჯგუფისთვის შემოდგომა დიდ ამბებს გვიქადის — იტალია, ალბათ, გავა ევროპის ჩემპიონატზე. მეორეადგილოსანს რაც შეეხება, მოდით, ვივარაუდოთ, რომ ეს შვეიცარია იქნება.

მესამე შესარჩევ ჯგუფს ორი ლიდერი ჰყავს — გერმანიასაც და თურქეთსაც 12-12 ქულა აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ შესარჩევი ტურნირი გერმანიამ თურქეთში მარცხით დაიწყო, შემდეგი ოთხი შეხვედრა მოიგო. გერმანია სავარაუდოდ პირველ ადგილს დაიკავებს — უშუალო კონკურენტ თურქეთს მასპინძლობს, ეგეც არ იყოს, საეჭვოა, ბუნდესნაკრებმა ფინეთში, ანაც შინ ჩრდილოეთ ირლანდიასთან ვერ მოიგოს. თურქეთს რაც შეეხება, მათ სამი შეხვედრა აქვთ გასამართი და სამივე სტუმრად. თურქების პირველ ადგილზე გასვლა ერთობ საეჭვოა. ისინი, ალბათ, მეორეს დასჯერდებიან და ეს, ჩვენის აზრით, ლოგიკურიც იქნება — თურქეთი დღესდღეობით არაა იმ დონის გუნდი, ევროპის ჩემპიონს თანაბრად ებრძოლოს.

გასული წლის 14 ოქტომბერს თურქეთი შინ დამარცხდა ფინეთთან. ეს წაგება რომ არა, მათი პრეტენზიები ეგებ უფრო საფუძვლიანიც ყოფილიყო, მაგრამ დღეს ასე არაა.

ყველაფრის მიუხედავად, დიდი შანსია, 9 ოქტომბრამდე, ანუ შესარჩევი ტურნირის ბოლო ტურამდე, არაფერი გაირკვეს — ამ დღეს გერმანია თურქეთს მასპინძლობს და არაა გამორიცხული, პირველადგილოსანს, ანუ ევროპის ჩემპიონატის მონაწილე მაშინ გაირკვეს.

შესარჩევი ჯგუფებიდან ყველაზე გამოუცნობ ფინალს მეოთხე ჯგუფში უნდა ველოდეთ. ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ერთბაშად ოთხ გუნდს აქვს — უკრაინას, საფრანგეთს, რუსეთს და ისლანდიას. ამ გუნდებს შორის დაძაბული თამაშები რომ იქნება, თქმა არ უნდა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ოთხეულის პაექრობაში, ალბათ, სომხეთიც ჩაერთვება, ოღონდ არა საგზურის პრეტენდენტის, არამედ ზოგიერთთათვის საქმის გამფუჭებლის რანგში. განა სომხეთის ნაკრებისთვის უცხოა ლიდერთა გამწარება? განა სომხეთის ნაკრები არ იყო, ერევანში ისლანდიას და უკრაინას ჰაერივით საჭირო ორ-ორი ქულა რომ დააკარგვინა? არაა გამორიცხული, სომხეთმა მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთსაც წაუხდინოს ხასიათი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფრანგები ამ ბოლო დროს ცუდად თამაშობენ, კაცმა ყველაფერზე შეიძლება იფიქრო, თუნდაც ცოტა წარმოუდგენელზე.

არადა, რას ამბობდნენ კენჭისყრის შემდეგ? საფრანგეთს საგზურის მოპოვება არ უნდა გაჭირდეს, მეორე ადგილისთვის კი უკრაინამ და რუსეთმა უნდა იბრძოლონო. ისლანდიას საერთოდაც არ ახსენებდნენ. და რა ხდება ახლა? უკრაინა დაუმარცხებელია, საფრანგეთი კი მეორეზეა.

დარჩენილ შეხვედრებს რომ გადავხედოთ, თუ ფრანგებს კონტინენტის ჩემპიონატში მონაწილეობა სურთ, უკრაინასთან და სომხეთთან სტუმრად, შინ კი ისლანდიასთან ქულაც არ უნდა დაკარგონ. იგივე ითქმის სხვა პრეტენდენტებზეც.

ჩვენის აზრით, შემოდგომაზე ამ ჯგუფში ოთხი ბევრისმთქმელი შეხვედრაა — უკრაინა მასპინძლობს საფრანგეთს, ისლანდია — უკრაინას, საფრანგეთი იღებს ისლანდიას და რუსეთი — უკრაინას.

ის, რომ რუსეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი გაუჩნდა, უპირველეს ყოვლისა ახალ მწვრთნელს უნდა მივაწეროთ. შესარჩევი ტურნირის სტარტზე სამი წაგების შემდეგ, რუსეთის შანსებს მცირესაც ვერ უწოდებდი, თუმცა შემდეგ ოლეგ რომანცევის ხელმძღვანელობით გუნდმა ოთხი თამაში მოიგო, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთთან და მდგომარეობაც ძალიან დაიძაბა.

დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ამ ჯგუფზე გადაჭრით მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება — ვერაფერს იტყვი.

მეხუთე შესარჩევი სწორედ ის ჯგუფია, ფეხბურთის სამშობლოს, ინგლისს სახელი რომ შეურყია — ექვსი ტურის შემდეგ ინგლისელები მესამე ადგილზე არიან და ლამისაა, თავი შეირცხვინონ.

მწვრთნელთა ცვლილება ინგლისის ნაკრებს ნამდვილად არ მოუხდა — გლენ ჰოდლის გუნდის დონის მიღწევა კიგანის ნაკრებმა ნამდვილად ვერ შეძლო. მართალია, ინგლისელებმა კიგანის თავკაცობით მარცხი არ იციან, მაგრამ ივნისში შვედეთთან და ბულგარეთთან ვერმოგებული თამაშები სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, ინგლისელთა საევროპისჩემპიონატო შანსები შემცირებულიყო.

შემოდგომით ინგლისს ერთი დიდი და მძიმე ამოცანა აქვს გადასაჭრელი — რადაც არ უნდა დაუჯდეს, პოლონეთში უნდა მოიგოს. ლუქსემბურგელებთან შინ გამარჯვებაზე შეგნებულად არაფერს ვამბობთ, ეს ისედაც იგულისხმება. თუ ინგლისმა პოლონეთში მოიგო, ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდება, მაგრამ პლეი ოფში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

შვედეთი ევროპის ჩემპიონატის საგზურს, ალბათ, 4 სექტემბერსვე დაეუფლება — სკანდინავები ბულგარეთს მასპინძლობენ.

განვლილმა თამაშებმა ერთი რამ დაამტკიცა — შვედეთის პირველადგილოსნობა შემთხვევითი სულაც არაა. მათ მართლაც კარგი გუნდი ჰყავთ. ამასთანავე შვედეთის ნაკრები განსწავლული გუნდია — სუსტ მეტოქეს ამარცხებს, ძლიერთან კი კარგად თამაშიც იცის. განა შვედეთი ინგლისს „უემბლიზე“ არ სჯობდა?

შემოდგომამდე სამი თვეა, ეს საკმაოდ დიდი დროა მომხდარის გასაანალიზებლად.

ლაშა გოდუაძე

I ჯგუფი

05.09.98 უელსი — იტალია 0:2, ბელარუსი — დანია 0:0; 10.10.98 დანია — უელსი 1:2, იტალია — შვეიცარია 2:0; 14.10.98 უელსი — ბელარუსი 3:2, შვეიცარია — დანია 1:1; 27.03.99 ბელარუსი — შვეიცარია 0:1, დანია — იტალია 1:2; 31.03.99 შვეიცარია — უელსი 2:0, იტალია — ბელარუსი 1:1; 05.06.99 დანია — ბელარუსი 1:0, იტალია — უელსი 4:0; 09.06.99 უელსი — დანია 0:2, შვეიცარია — იტალია 0:0.

იტალია	6	4	2	0	11:2	14
დანია	6	2	2	2	6:5	8
შვეიცარია	5	2	2	1	4:3	8
უელსი	6	2	0	4	5:13	6
ბელარუსი	5	0	2	3	3:6	2

დარჩენილი თამაშები: 04.09.99 ბელარუსი — უელსი, დანია — შვეიცარია; 08.09.99 იტალია — დანია, შვეიცარია — ბელარუსი; 09.10.99 ბელარუსი — იტალია, უელსი — შვეიცარია

III ჯგუფი

05.09.98 ფინეთი — მოლდოვა 3:2, თურქეთი — ჩრდ. ირლანდია 3:0; 10.10.98 ჩრდ. ირლანდია — ფინეთი 1:0, თურქეთი — გერმანია 1:0; 14.10.98 მოლდოვა — გერმანია 1:3, თურქეთი — ფინეთი 1:3; 18.11.98 ჩრდ. ირლანდია — მოლდოვა 2:2; 27.03.99 ჩრდ. ირლანდია — გერმანია 0:3, თურქეთი — მოლდოვა 2:0; 31.03.99 მოლდოვა — ჩრდ. ირლანდია 0:0, გერმანია — ფინეთი 2:0; 04.06.99 გერმანია — მოლდოვა 6:1; 05.06.99 ფინეთი — თურქეთი 2:4; 09.06.99 მოლდოვა — ფინეთი 0:0

გერმანია	5	4	0	2	14:3	12
თურქეთი	5	4	0	1	11:5	12
ფინეთი	6	2	1	3	8:10	7
ჩრდ. ირლანდია	5	1	2	2	3:8	5
მოლდოვა	7	0	3	4	6:16	3

დარჩენილი თამაშები: 04.09.99 ჩრდ. ირლანდია — თურქეთი, ფინეთი — გერმანია; 08.09.99 გერმანია — ჩრდ. ირლანდია, მოლდოვა — თურქეთი; 09.10.99 ფინეთი — ჩრდ. ირლანდია, გერმანია — თურქეთი

IV ჯგუფი

05.09.98 სომხეთი — ანდორა 3:1, ისლანდია — საფრანგეთი 1:1, უკრაინა — რუსეთი 3:2; 10.10.98 ანდორა — უკრაინა 0:2, სომხეთი — ისლანდია 0:0, რუსეთი — საფრანგეთი 2:3; 14.10.98 ისლანდია — რუსეთი 1:0, უკრაინა — სომხეთი 2:0, საფრანგეთი — ანდორა 2:0; 27.03.99 ანდორა — ისლანდია 0:2, სომხეთი — რუსეთი 0:3, საფრანგეთი — უკრაინა 0:0; 31.03.99 რუსეთი — ანდორა 1:1, უკრაინა — ისლანდია 1:1, საფრანგეთი 2:0; 05.06.99 ისლანდია — სომხეთი 2:0, უკრაინა — ანდორა 4:0, საფრანგეთი — რუსეთი 2:3; 09.06.99 სომხეთი — უკრაინა 0:0, რუსეთი — ისლანდია 1:0, ანდორა — საფრანგეთი 0:1

უკრაინა	7	4	3	0	12:3	15
საფრანგეთი	7	4	2	1	11:6	14
რუსეთი	7	4	0	3	17:10	12
ისლანდია	7	3	3	1	7:3	12
სომხეთი	7	1	2	4	3:10	5
ანდორა	7	0	0	7	2:20	0

დარჩენილი თამაშები: 04.09.99 ისლანდია — ანდორა, რუსეთი — სომხეთი, უკრაინა — საფრანგეთი; 08.09.99 ანდორა — რუსეთი, სომხეთი — საფრანგეთი, ისლანდია — უკრაინა; 09.10.99 ანდორა — სომხეთი, საფრანგეთი — ისლანდია, რუსეთი — უკრაინა

V ჯგუფი

05.09.98 შვედეთი — ინგლისი 2:1; 06.09.98 ბულგარეთი — პოლონეთი 0:3; 10.10.98 ინგლისი — ბულგარეთი 0:0, პოლონეთი — ლუქსემბურგი 3:0; 14.10.98 ბულგარეთი — შვედეთი 0:1, ლუქსემბურგი — ინგლისი 0:3; 27.03.99 ინგლისი — პოლონეთი 3:1, შვედეთი — ლუქსემბურგი 2:0; 31.03.99 ლუქსემბურგი — ბულგარეთი 0:2, პოლონეთი — შვედეთი 0:1; 04.06.99 პოლონეთი — ბულგარეთი 2:0; 05.06.99 ინგლისი — შვედეთი 0:0; 09.06.99 ბულგარეთი — ინგლისი 1:1, ლუქსემბურგი — პოლონეთი 2:3

შვედეთი	5	4	1	0	6:1	13
პოლონეთი	6	4	0	2	12:6	12
ინგლისი	6	2	3	1	8:4	9
ბულგარეთი	6	1	2	3	3:7	5
ლუქსემბურგი	5	0	0	5	2:13	0

დარჩენილი თამაშები: 04.09.99 ინგლისი — ლუქსემბურგი, შვედეთი — ბულგარეთი; 08.09.99 ლუქსემბურგი — შვედეთი, პოლონეთი — ინგლისი; 09.10.99 შვედეთი — პოლონეთი; 10.10.99 ბულგარეთი — ლუქსემბურგი

ჩვენ გვინდა გაზა

ინგლისში დაისვა კითხვა: უნდა დავაბრუნოთ თუ არა პოლ გესქოინი ეროვნულ ნაკრებში? ნაკრების ყოფილმა გარემარბმა, კრის უოდლმა, დისკუსიას თავისი სიტყვა შემატა. ის ამტკიცებს, რომ კევინ კიგანის გუნდისთვის გაზას შემოქმედებითი ნიჭი აუცილებელია.

უოდლი გესქოინთან ერთად „ნიუკასლში“, „ტოტენჰემსა“ და ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა და კარგად იცის მისი ავან-ჩავანი. მას ეჭვი არ ეპარება, რომ „მიდლსბროს“ გამთამაშებელი მოახერხებს 8 სექტემბერს დანიშნული პოლონეთ — ინგლისის მატჩისთვის ფორმის აღდგენას.

„დღეს ჩვენს ქვეყანაში გესქოინის ალტერნატიული ფიგურა არ არსებობს“ — თქვა უოდლმა — „მას ეხერხება მეტოქის ჩამოტოვება, ბურთის შენარჩუნება და მართალია ისე ვეღარ თამაშობს, 1990 წელს რომ თამაშობდა, მაგრამ მისი ბადალი მაინც არავინაა. ინგლისში საგანგებო ნიჭით დაჯილდოებული ორი-სამი ფეხბურთელი რომ გვყავდეს, მაშინ გესქოინის ნაკრებში დაბრუნებაზე ხმასაც არავინ ამოიღებდა. გაიხსენეთ ჩვენი დროის გუნდი, რომელშიც ჯონ ბარნსი, პიტერ ბერდსლი, გლენ ჰოდლი და მე ვთამაშობდით. ის სხვა დრო იყო, დღეს კი ერთ მოთამაშესაც ვერ დამისახელებთ, რაიმე ორიგინალურის გაკეთება რომ შეეძლოს. დახეთ ბრაზილიას, საფრანგეთსა და იტალიას. თითოეულს ჰყავს უჩვეულო ნაბიჯის გადამდგმელი ფეხბურთელი. ფრანგებს ზიდანი ჰყავთ და თუ მისებრი არავინაა, უმაღლეს დონეზე არაფერი გესაქმება. სწორედ ამიტომ გვჭირდება გაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაზროვნე

ჰერბერტ ჩეპმენი

ბევრი უფრო შორის მიდის და ამტკიცებს, რომ სტოპერის გამოჩენა კონკრეტულად უკავშირდება 1925 წლის ოქტომბერს, როდესაც ჰერბერტ ჩეპმენმა ნიუკასლში 0:7 დამარცხების შემდეგ მარჯვენა ინსაიდი, ჩარლზ ბაჩანი მესამე მცველად დასვა. თუმცა, ამ მოსაზრებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. მაგალითად, ჩარლი სპენსერი ამტკიცებდა, რომ სწორედ იმ დღეს, იმ 7:0-ის დროს, თავად დგა ნიუკასლელთა გუნდში სტოპერად. „ქუინზ პარკის“ იმდროინდელი მცველი ბობ გილესპი ამბობს, რომ მეტოქეთა ცენტრფორვადების გასანეიტრალებლად მას ხშირად უხდებოდა დაცვის შუაში თამაში, ხოლო სტატისტიკოსი ჯიმი სპიდი 1925-26 წლების სეზონის დასაწყისსა და „არსენალთან“ პირველ შეხვედრას იგონებს, სადაც, მისი სიტყვებით, მისმა მეგობარმა, ჩარლი უოლტერსმა, შეასრულა სტოპერის როლი.

ისტორიკოსის, დერიკ ბრაუნის მტკიცებით, სტოპერის ჩანასახი ჯერ კიდევ ოფსაიდის წესის შეცვლამდე არსებობდა. არც ზემოხსენებული ჩარლზ ბაჩანი იზიარებს საკუთარი პირველობის მოსაზრებას. იგი იხსენებს სანდერლენდელ ჩარლი ტომპსონს, „პრესტონ ნორსენდის“ ჯო მაკ კოლსა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჩარლი რობერტს და ამბობს, რომ პირველი სტოპერები, 1925 წლამდე, სწორედ ისინი იყვნენ.

ყველაფერზე უცნაური კი ის გახლავთ, რომ ზოგი ვერსიით, 1922 წელს, ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში, ტომი უილსონმა პირველმა დაიკავა ადგილი ორ განაპირა მცველს შორის — ის „ჰადერსფილდ თაუნში“ თამაშობდა, სადაც... ჰერბერტ ჩეპმენი წვრთნიდა.

ამრიგად, კატეგორიულად რაიმეს მტკიცება შეუძლებელია, თუმცა არსებობს მეცნიერება — ისტორია, რომელსაც ყველაზე მეტი საბუთი საიმისო აქვს, რომ მინიშნებით თუ სხვათაგან დამოუკიდებლად, სტოპერის ფუნქცია პირველმა სწორედ ჰერბერტ ჩეპმენმა დანერგა.

ისიც ჩანს, რომ შუა ნახევარმცველები დაცვით ფუნქციებს 1925 წლამდეც ასრულებდნენ, მაგრამ მაინც გვარიანად ინარჩუნებდნენ თავდასხმაზე ორიენტირებული ფეხბურთელების თვისებებს, ჩეპმენის ჩარლზ ბაჩანი კი პირწმინდა მცველი გახლდათ.

1925-26 წლების სეზონში „არსენალი“ მეორე ადგილზე გავიდა, არადა, წინა ჩემპიონატში მე-20 გახლდათ. იმ წელიწადს ლონდონელებმა ერთადერთი ახალი ფეხბურთელი იყიდეს. უკვე მრავალჯერ ნახსენები ბაჩანი გახლდათ, მართლაც დიდი ნიჭის მოთამაშე, მაგრამ გუნდის გაყოჩაღება მარტო მისი გამოჩენით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული.

1925 წლის დეკემბერში „დეილი ექსპრესი“ წერდა: „არსენალში“ დიდი ცვლილებებია. თოფი ხელში მის მწვრთნელს, ჰერბერტ ჩეპმენს უჭირავს და სწორედ მისი დამსახურებაა, გუნდმა ასე რომ იცვალა სახე“.

და მაინც, ჩეპმენი რაღაცით უკმაყოფილო რჩებოდა. თავდაპირველი ექსპერიმენტებიდან მცირე ხნის შემდეგ მან ბაჩანი თავის ძველ ამპლუას დაუბრუნა და 1926 წელს შეიძინა ჰერბი რობერტსი, რომელიც კლასიკურ სტოპერად გამოადნო. რობერტსის ნიჭი ბაჩერისას ვერ შეედრებოდა. კლიფ ბესტინი იგონებს, რომ მისი ტექნიკა სულაც არ გახლდათ სრულყოფილი, სამაგიეროდ იგი შეუპოვარი იყო ორთაბრძოლებში, ჰაერში კი დაუმარცხებელი. ჩეპმენმა რობერტსი შეტევისგან სრულიად გაანთავისუფლა, რის გამოც ფეხბურთელის დიდი ნაკლი, კარში დარტყმის აბსოლუტური არცოდნა, არავის არაფერში უშლიდა ხელს.

სტოპერის „გამოგონება“ ჩეპმენის ერთადერთი ტექნიკური სიახლე სულაც არ გახლდათ. როგორც ბერნარდ ჯოი ამტკიცებს, მწვრთნელი დღენიადაგ ექსპერიმენტებს ატარებდა და უკლებლივ ყველა მოთამაშეს უცვლიდა ამპლუას. ყველას, მეკარის გარდა.

მთავარი, მაინც დაცვის გადაწყობა იყო. სტოპერის ამპლუის შემოღებამ განაპირა მცველები, რომლებიც ადრე უფრო შუაში თამაშობდნენ, აუტის ხაზებისკენ გასწია, რითაც მათ მოწინააღმდეგის გარემარბთა წინააღმდეგ ბრძოლის დატვირთვა მისცა.

ჩეპმენის გუნდში დავალება შეეცვალათ ინსაიდებსაც. ადრე ისინი უტევდნენ და სხვა ფუნქცია არ ჰქონდათ, ახლა კი, როდესაც ცენტრალურმა ნახევარმცველმა დაცვაში დაიწია და შუაში თავისუფალი სივრცე დასტოვა, მათ შეტევაში მონაწილეობის შემდეგ უკან დაბრუნება და სახიფათო სიცარიელის შევსება მოეთხოვათ.

შესაბამისად შეიცვალა თავდასხმაში გავრცელებული W (ხუთკაციანი) განლაგებაც. იგი M-დ იქცა და, ბუნებრივია, დაცვაზე გააკეთა აქცენტი. „არსენალის“ განაპირა ნახევარმცველებს უკვე მოწინააღმდეგის ინსაიდთა დევნა დაეკისრათ. ყოველივე აღწერილის შედეგად სისტემა „კაცი კაცის წილ“ დაირღვა.

რა მიიღო ჰერბერტ ჩეპმენმა? მის მიერ შექმნილი სისტემა ზონური და პერსონალური დაცვის ერთგვარი კომბინაცია გახლადთ.

ერთხელ, ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ჰუგო მაისლმა „არსენალი“ დაცვითი ფეხბურთისთვის გააკრიტიკა.

„მისმინე ჰუგო“ — უპასუხა ჩეპმენმა — „ჩემს ტაქტიკას შედეგი მოაქვს. ველი, სანამ მას სხვები გადაიღებენ, მერე კი რაიმე ახალს მოვიგონებ“.

დიახ, ჰერბერტ ჩეპმენი თავის სიახლეებზე არ ამახვილებდა ყურადღებას, რადგან არ სურდა სხვათათვის განემარტა მათი მოქმედების ლოგიკა და იქნებ ამიტომაც დატოვა ბევრი უპასუხო კითხვა და საკამათო თემა.

საქმე ის გახლავთ, რომ „არსენალს“ მწვრთნელი 1934 წელს მოულოდნელად გარდაეცვალა. გარდაეცვალა სწორედ მაშინ, როდესაც გუნდი დიდებულად თამაშობდა. ვინ იცის, მას იმ დრომდე რომ ეცოცხლა, ტაქტიკამ დიდი მნიშვნელობა რომ შეიძინა, იქნებ განემარტა კიდეც თავისი ოდინდელი ჩანაფიქრების რაობა და უფრო დაწვრილებით მოეყოლა მათ შექმნის ისტორია.

ჰერბერტ ჩემპენმი ყველაფერთან ერთად ფრიად თავისებური პიროვნება გახლდათ. ცნობილია, რომ იგი მუდამ აზერხებდა იმ ფეხბურთელების ყიდვას, რომელთა გაყიდვაც მათ კლუბებს არ სურდათ.

აი, მისი სხვაგვარი აზროვნების კიდევ ერთი ნიმუში: ჩეპმენის დაჟინებით „არსენალის“ ფორმამ გეტრებზე ფერი იცვალა. ადრე გუნდის გეტრს თეთრ-ლურჯი არშია ერტყა, მწვრთნელის ჩარევის შემდეგ კი არშია თეთრწითელი გახდა. მიზეზს რომ ეკითხებოდნენ პასუხობდა, ლურჯი რეცხვის დროს გადის და გეტრი ხუნდებაო, სინამდვილეში კი, თურმე, მიუჩნევია, რომ ლურჯ-წითელი ფიცხელი თამაშის დროს უკეთ ჩანს და მის მოთამაშეებს თანაგუნდელის შესაცნობად თავის აწევაში დროის ხარჯვა არ დასჭირდებოდათ.

„სანდი ექსპრესში“ ჩეპმენი წერდა, ფეხბურთში ოთხი მთავარი კაცი არსებობს, ორი განაპირა ნახევარმცველი და ორიც ინსაიდიო. სხვა დროს, სხვა გაზეთში კი უთქვამს: თუ კარგი მეკარე და სტოპერი მეყოლება და კარგ განაპირა ნახევარმცველებსა და ინსაიდებსაც ვიპოვნი, სხვები კი როგორები მეყოლებიან — არ მაინტერესებსო.

დავუბრუნდეთ ჩეპმენისეულ დაცვას. არის ერთი გარემოება, რომელიც მეტნაკლებად ნათელს ჰფენს, თუ რატომ არ საუბრობდა იგი თავისი მეთოდების და ტაქტიკური აღმოჩენების შესახებ უფრო დეტალურად. საქმე ის გახლავთ, რომ იგი ფრიად ცნობილი პიროვნება იყო და მისი თითოეული სიტყვა ხალხში ცხოველი ინტერესით ვრცელდებოდა. ამდენად, დაცვაზე საუბარი რომ დაეწყო, წამოიჭრებოდა „არსენალის“ მოსაწყენ გუნდად აღქმის საშიშროება, რასაც შესაძლოა მაყურებლის დასწრებაზე ემოქმედა.

გაგრძელება
მომდევნო „სარბიელში“
პაპუნა კ ი ე დ ი ა



კლასიკური სქემა 2-3-5

ფეხბურთის რუკასთან

ესპანური ფეხბურთის ამმომავალი ვარსკვლავი გაბრი „ბარსელონას“ წევრი გახდა. ახადგაზრდა თავდამსხმელმა, რომელიც ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში გასულ აპრილს ოც წლამდე ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, კატალონურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

იუგოსლავიის ეროვნული ნაკრების და მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელმა პრედრაგ მიატოვიჩმა შესაძლოა სეზონის დასრულების შემდეგ სამეფო კლუბი დატოვოს. „ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, მაგრამ თუ მაინც წავალ „რეალიდან“, კარიერას აუცილებლად ესპანეთში გავაგრძელებ“ — განაცხადა იუგოსლავიელმა ფეხბურთელმა. ყველაფერი მომავალ კვირას უნდა გადაწყდეს, როცა მიატოვიჩი მადრიდული კლუბის პრეზიდენტ ლორენცო სანსს შეხვდება.

პორტუგალიური „სპორტინგს“ გაისად იტალიელი ჯუზეპე მატერაცი უთავკაცებს. ეს განცხადება ლისაბონური კლუბის პრეზიდენტმა ეზუ როკეტმა გააკეთა. 53 წლის მატერაცი, რომელმაც „სპორტინგთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, აქამდე იტალიურ „პიაჩენცას“ ედგა სათავეში.

იტალიური „მილანის“ წარმომადგენლეთა განცხადებით, კლუბი თანახმაა, გაყიდოს ფრანგი ნახევარმცველი იბრაჰიმ ბა, თუ რომელიმე გუნდი მასში 7 მილიონ გირვანქას გადაიხდის.

ისრაელის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ალონ მიზრაჰი შესაძლოა ფრანგული „ნიცადან“ ინგლისურ „ვესტ ჰემში“ გადავიდეს. 27 წლის მიზრაჰს გლაზგოს „სელტიკიც“ ეპატიჟება.

პორტუგალიის დედაქალაქურმა კლუბმა „ბენფიკამ“ არგენტინული „ესტუდიანტესისგან“ ორი ფეხბურთელი — მეკარე კარლოს ბოსიო და მცველი რიკარდო როხასი შეიძინა. არგენტინული წყვილი ლისაბონურ გუნდს 3 მილიონი დოლარი დაუჯდა.

იტალიის სერია A-ში დაბრუნებულ „ტორინოს“ ინგლისური „დერბი ქაუნთისგან“ კოსტა რიკის ეროვნული ნაკრების წევრის, პაოლო ვანჩოპეს შეძენა სურს და მზადაა ამისთვის 5 მილიონი გირვანქა გაიღოს. აღსანიშნავია, რომ შარშან ვანჩოპეს გადაბირება „რომასაც“ უნდოდა და მასში 9 მილიონი გირვანქის გადახდაზეც ყაბულს იყო, მაგრამ ეს გარიგება არ შედგა. კოსტარიკელმა კი იმდენად წარუმატებლად ჩაატარა წლევანდელი სეზონი, რომ მისი ფასი პრაქტიკულად განახევრდა.

ესპანური „ბარსელონას“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ჯოვანი, შესაძლოა ჩვენი თანამემამულე თემურ ქეცბაიას თანაგუნდელი გახდეს. საქმე ისაა, რომ „ნიუკასლის“ ჰოლანდიელ მთავარ მწვრთნელს რუუდ გულიტს ბრაზილიელის გადაბირება სურს. შეგახსენებთ, რომ 23 წლის ჯოვანი კატალონიურ კლუბში ბრაზილიური „სანტოსიდან“ 1996 წელს გადავიდა, მაგრამ იქ საქმეები კარგად არ წაუვიდა, რის გამოც სეზონის ბოლოს თავადაც აპირებს „ბარსას“ დატოვებას. ჯოვანის გარდა ნიუკასლელებს „იფსვიჩის“ მცველის, კიერონ დაიერის შეძენაც სურთ და თანახმანი არიან, მის სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა გაიღონ.

იტალიის დედაქალაქურ „რომაში“ მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ ბელარუსის ეროვნული ნაკრების წევრი სერგეი გურენკო გადავიდა. გურენკოში, რომელმაც ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრქტი გააფორმა, „რომამ 2,5 მილიონი გირვანქა გადაიხადა. რომაული კლუბის ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს განცხადებით, მომავალ სეზონში გურენკო, ვინსენტ კანდელას ადგილს დაიკავებს. სავარაუდოა, რომ ეს ფრანგი მცველი მილანის „ინტერში“ გადავა. „რომას“ დატოვებას, მისი ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ლუიჯი დი ბიაჯოც აპირებს. კანდელას მსგავსად, მასაც მილანური კლუბი ეპატიჟება.

უელსის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ტერი იორატი დანიშნა. ნაკრების ყოფილი თავკაცი ბობი გოულდი თანამდებობიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უელს იტალიასთან და დანიასთან, შესაბამისად 0:4, 0:2, დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ იორატი 1993 წელსაც წვრთნიდა უელსის ეროვნულ გუნდს.

ესპანური „ოვიედოს“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კლუბი მის მთავარ მწვრთნელ ფერნანდო ვასკესს კონტრაქტს აღარ გაუგრძელებს და შესაბამისად მომავალ სეზონს გუნდი ახალ თავკაცთან ერთად გაატარებს. „ჩვენ უკმაყოფილო ვართ კლუბის მიერ ჩატარებული სეზონით. მიუხედავად კარგი სტარტისა, ჩემპიონატის მეორე წრეში ძალიან სუსტად გამოვიყურებოდით. სწორედ ეს არის ვასკესის გუნდიდან დათხოვნის მიზეზი“ — განაცხადა „ოვიედოს“ დირექტორმა ფელიქს ორტეგამ.

იტალიის ექსჩემპიონ „იუვენტუსში“ შესაძლოა პარიზულ პსჟ-ში მოასპარეზე მარკო სიმონე გადავიდეს. შეგახსენებთ, რომ სიმონემ პსჟ-ში გადასვლამდე „მილანში“ გაატარა სამი სეზონი, შარშან კი სულაც საფრანგეთის ჩემპიონატის წლის საუკეთესო მოთამაშე გახდა. იტალიელი თავდამსხმელით ფრანგული „მონაკოც“ არის დაინტერესებული.

საბერძნეთის დედაქალაქის კლუბ აეკს „ბარსელონას“ სერბი შემტევი ნახევარმცველის დრაგან ჩირიჩის შეძენა სურს. აეკ-ის წარმომადგენელთა განცხადებით, კატალონიური კლუბი თანახმაა, გაყიდოს ჩირიჩი, თუ ათენელები 2,57 მილიონ დოლარს გადაუხდიან. მათივე თქმით, თუ სერბი ფეხბურთელი აეკ-ში გადავა, ის ყოველწლიურად გასამრჯელოს სახით 750 000 დოლარს მიიღებს. თავად დრაგან ჩირიჩი ყაბულსაა, ათენურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმოს, ბერძნები კი მას ხუთწლიანს სთავაზობენ.

ლატვია

მე-9 ტური. მეტალურგსი — ვენტსპილსი 3:1, სკონტო — რიგა 1:0, ვალმიერა — დინაბურგი 0:4, რეზეკნე — პოლიციასი 0:1.

სკონტო	9	8	0	1	16:5	24
მეტალურგსი	9	7	0	2	31:7	21
ვენტსპილსი	9	6	1	2	16:8	19
დინაბურგი	9	3	4	2	9:5	13
პოლიციასი	9	3	2	4	12:17	11
ვალმიერა	9	2	2	5	7:15	8
რიგა	9	1	2	6	6:16	5
რეზეკნე	9	0	1	8	1:25	1

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

შვედეთი

მე-10 ტური. ჰელსინგბორგი — ელფსბორგი 1:1, აიკი — იურგარდენი 3:1, გიოტებორგი — ფრიოლუნდა 1:0, ნორჩიოპინგი — ტრელებორგი 2:5, კალმარი — ჰალმსტადი 2:0, იორებრო — მალმიო 2:0, ჰამარბი — იორგრიტე 0:0

იორგრიტე	10	6	4	0	21:7	22
ჰელსინგბორგი	10	6	1	3	18:11	19
კალმარი	10	6	0	4	14:15	18
აიკი	10	5	2	3	16:8	17
ჰალმსტადი	10	5	2	3	17:10	17
ტრელებორგი	10	5	2	3	22:16	17
იორებრო	10	4	1	5	9:14	13
ფრიოლუნდა	10	3	3	4	10:14	12
ელფსბორგი	10	3	2	5	14:16	11
მალმიო	10	3	2	5	13:16	11
ნორჩიოპინგი	10	2	4	4	10:15	10
გიოტებორგი	10	2	4	4	10:16	10
იურგარდენი	10	2	3	5	10:18	9
ჰამარბი	10	1	4	5	8:16	7

საქართველოს ჩემპიონატი — ფინალი

აზოტი — ვითა 0:0
სამ მოგებამდე

მატჩების განრიგი		
20 ივნისი	აზოტი — ვითა	18 სთ.
21 ივნისი	ვითა — აზოტი	18 სთ.
23 ივნისი	აზოტი — ვითა	18 სთ.
თუ საჭირო გახდა:		
24 ივნისი	ვითა — აზოტი	18 სთ.
26 ივნისი	აზოტი — ვითა	18 სთ.

მე-8 ჩემპიონატში:
აზოტი — ვითა 2:2 (20:0, 71:82, 93:66, 72:75)

საქართველოს ჩემპიონატი — მესამე ადგილისთვის

სტუ — თსუ 1:0
სამ მოგებამდე

მატჩების განრიგი		
20 ივნისი	სტუ — თსუ	16 სთ.
21 ივნისი	თსუ — სტუ	16 სთ.
თუ საჭირო გახდა:		
23 ივნისი	სტუ — თსუ	16 სთ.
24 ივნისი	თსუ — სტუ	16 სთ.

მე-8 ჩემპიონატში:
სტუ — თსუ 3:1 (93:85, 103:94, 87:109, 103:93)

ედნის ბენეტონი შემოსავს

კაუნასის „ჟალგირისის“ გამთამაშებელი, ყოფილი პროფესიონალი ტაიუს ედნი იტალიაში, ტრევიზოს „ბენეტონში“ გადავიდა. იტალიელებმა მას ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, რომლის მიხედვითაც კალათბურთელი ყოველწლიურად 400 ათას დოლარს მიიღებს.

ედნი „ჟალგირისის“ ლიდერი გახლდათ. მისმა კარგმა თამაშმა მნიშვნელოვნად განაპირობა ლიტვური გუნდის გამარჯვება წლევანდელ ევროლიგაში. ედნი ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ უძვირფასეს მოთამაშედ აღიარეს.

„ჟალგირისის“ კიდევ ერთი ამერიკელს ენტონი ბოუის კი ჯერ არ გადაუწყვეტია, დარჩება თუ არა „ჟალგირისში“.



ტაიუს ედნი

ელჯინ ბეილორი


მაიკლ ჯორდანი

ყველაზე მეტი ფინალში...

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალებს, როგორც ამქვეყნად ყველაფერს, აქვს თავის ისტორია, სტატისტიკა და რეკორდები. თავის მხრივ, რეკორდები სხვადასხვანაირია. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია ინდივიდუალურ, ანუ მოთამაშეთა მიერ დამყარებულ რეკორდებს.

ახლა ამ რეკორდებზე ვაპირებთ საუბარს. თუმცა, სანამ ამ სტრიქონებს კითხულობთ, შესაძლოა, რამე ცვლილებაც მომხდარიყო: 1999 წლის ფინალის პირველი მატჩი, სან ანტონიო — ნიუ იორკი დღეს დილით დასრულდა და იქ რომელიმე მიღწევა რომ გაუმჯობესებულიყო, გაზეთში მისი აღნიშვნა ვეღარ მოესწრებოდა. თუმცა, ეს ნაკლებსავარაუდოა.

რაოდენობით ფინალების ყველაზე მეტი რეკორდი ელჯინ ბეილორსა და მაიკლ ჯორდანს ეკუთვნით. სანამ ქულებსა და მატჩებზე გადავალთ, აღვნიშნოთ, რომ ამ მოთამაშეებს იმგვარი რეკორდებიც მიუთვისებიათ, პრაქტიკულად, ვერავინ რომ ვერ გააუმჯობესებს. ელჯინ ბეილორი ტრაგიკული რეკორდის მფლობელია: „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ (1960 წლამდე — „მინეაპოლის ლეიკერსი“) შემადგენლობაში რვაჯერ გავიდა ლიგის ფინალში და რვაჯერვე „ბოსტონ სელტიქსთან“ წააგო! ეს ამბავი 1959-69 წლებში მოხდა. ამგვარად ვერ გახდა წარსულის ეს შესანიშნავი მოთამაშე ასოციაციის ჩემპიონი. მაიკლ ჯორდანმა კი ექვსი ფინალი ითამაშა (1991-98 წლებში) და მისი „ჩიკაგო ბულზი“ ყველაში გამარჯვებული გამოვიდა. ცხადია, ჯორდანის ასპროცენტიან შედეგს ვინმე თუ გაიმეორებს, გაუმჯობესება კი არ გამოუვა.

ახლა კი უშუალოდ რეკორდებზე. 1962 წლის 14 აპრილის ელჯინ ბეილორმა 61 ქულა ჩაუგდო „ბოსტონ სელტიქსს“. ამდენი ქულა ფინალის ერთ მატჩში არც მანამდე და არც მერე არავის მოუგროვებია.

ბეილორმავე 1959 წლის 9 აპრილიდან 1963 წლის 21 აპრილამდე, ზედიზედ 13 მატჩში გააკეთა 30 ქულა ან მეტი.

მაიკლ ჯორდანს ერთ ფინალურ სერიაში უმაღლესი საშუალო შედეგიანობის მიღწევა უპყრია: 1993 წელს, „ფინიქს სანზის“ წინააღმდეგ, საშუალოდ მატჩში 41,0 ქულას აგდებდა (სულ, 6 მატჩში 246 ქულა). 1991 წლის 2 ივნისიდან 1998 წლის 14 ივნისამდე ჯორდანმა ზედიზედ 35 მატში მოუყარა თავი 20 ან მეტ ქულას. 1993 წლის 11-დან 18 ივნისამდე კი მთლად სასწაული მოახდინა: ზედიზედ ოთხ მატჩში 40-ქულიანი ზღვარის ქვემოთ არ ჩამოსულა.

ფინალში გასული ახალბედების რეკორდები ნაკლებშთამბეჭდავია: 1980 წლის 16 მაისს მეჯიქ ჯონსონმა (ლეიკერსი) 42 ქულა ჩაუგდო „ფილადელფია 76“-ს, ხოლო 1947 წელს „ფილადელფია ვორიორზის“ ახალწვეულმა ჯო ფალკსმა მატჩი საშუალოდ 26,2 ქულა დააგროვა „ჩიკაგო სტეგზის“ წინააღმდეგ. ის ფინალური სერია 5-მატჩიანი იყო, ფალკსმა კი 131 ქულა მიითვალა.

ბეილორი და ჯორდანი უდგანან სათავეში იმ სიას, რომელშიაც ფინალური სერიის ყველა მატჩში 30 ან მეტი ქულის გამკეთებელი მოთამაშეები არიან შეყვანილნი. ბეილორმა ეს საქმე 1962 წელს, „ბოსტონ სელტიქსის“ წინააღმდეგ 7-მატჩიან სერიაში გაჩარხა, ხოლო ჯორდანმა 1993 წელს, „ფინიქს სანზის“ წინააღმდეგ და 6 მატჩში. ამ სიაში კიდევ შედიან „სან ფრანციკოს ვორიორზის“ რიკ ბერი (1967 წელს, „ფილადელფია 76“-ის წინააღმდეგ, 6 მატჩში) და „ჰიუსტონ როკეტსის“ ჰაკიმ ოლაჯუონი (1995 წელს, „ორლანდო მეჯიქის“ წინააღმდეგ, 4 მატჩში).

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ჯერი ვესტი სამჯერ გახდა ისეთი მოთამაშე, რომელმაც 7-მატჩიანი ფინალური სერიის ყველა მატჩში 20 ან მეტი ქულა მოაგროვა. ვესტმა ეს 1962 და 1969 წლებში „ბოსტონ სელტიქსთან“, ხოლო 1970 წელს „ნიუ იორკ ნიქსთან“ მოახერხა. მისმა თანაგუნდელმა ელჯინ ბეილორმა იგივე 1962 წელს ჩაიდინა. ამგვარი კალათბურთელი კიდევ ოთხია: სენტ ლუისელი ბობ პეტიტი (1960, ბოსტონის წინააღმდეგ), მილუოკელი ქარმ აბდულ ჯაბარი (1974, ბოსტონის წინააღმდეგ), ბოსტონელი ლარი ბერდი (1984, ლეიკერსის წინააღმდეგ) და ჰიუსტონელი ჰაკიმ ოლაჯუონი (1994, ნიუ იორკის წინააღმდეგ).

1992 წლის 3 ივნისს მაიკლ ჯორდანმა ერთ ტაიმში ჩაუგდო 35 ქულა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს“. აიზია ტომასმა კი ერთ მეოთხედში 25 ქულა გააკეთა. ეს ამბავი 1988 წლის 19 ივნისს მოხდა, ტომასის „დეტროიტ პისტონზი“ „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ ხვდებოდა. ოვერტაიმებში კი ყველაზე მეტი, 9 ქულა სამ კაცს მოუგროვებია: ბოსტონელ ჯონ ჰავლიჩეკს (1974 წლის 10 მაისი, მილუოკის წინააღმდეგ), დეტროიტელ ბილ ლამბირს (1990 წლის 7 ივნისი, პორტლენდის წინააღმდეგ) და პორტლენდელ დენი ეინჯს (1992 წლის 5 ივნისი, ჩიკაგოს წინააღმდეგ).

ჯეკსონი ლეიკერსს განწვრთნის

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ მიაღწია საწადელს და ფილ ჯეკსონი მწვრთნელობაზე დაიყაბულა. კლუბის ხელმძღვანელობიდან გამოჟონილი ინფორმაციის მიხედვით, „ლეიკერსმა“ და ჯეკსონმა შეთანხმებას მიაღწიეს. ფულზეც უსაუბრიათ — მწვრთნელს 24 მილიონი დოლარი შესთავაზეს, სანაცვლოდ იგი ოთხ წელიწადს უნდა ემსახუროს კლუბს.

ფილ ჯეკსონის ოფიციალური დაბრუნება კალათბურთში გუშინ უნდა გაცხადებულიყო — „ლეიკერსი“ ამასთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენციას გეგმავდა.

„ლეიკერსმა“ ჯეკსონის გადმობირებაზე ფიქრი წინა კვირაში დაიწყო. ჯერ მწვრთნელის ჩიკაგოელ აგენტს ტოდ მასბურგერს დაუკავშირდნენ. მერე, ორშაბათს, კლუბის აღმასრულებლები, ჯერი ვესტი და მიჩ კუპჩაკი ცალ-ცალკე ესაუბრნენ თავად ჯეკსონს. თურმე, „ლეიკერსის“ მოთამაშეებისა და კლუბის მომავლის შესახებ ულაპარაკიათ. ბოლოს კი ლეიკერსელებს უთქვამთ, ჩვენ სამუშაოს გთავაზობთ და გადაწყვიტე, გსურს თუ არაო.

ფილ ჯეკსონი

ჯეკსონსაც დიდხანს აღარ უფიქრია...

ამრიგად, ერთწლიანი შესვენების შემდეგ ფილ ჯეკსონი კვლავ კალათბურთშია. მოგეხსენებათ, მან 1989 წელს ჩაიბარა „ჩიკაგო ბულზი“ და ცხრა წელიწადი მის სათავეში იყო. ამ ხნის განმავლობაში გუნდი ექვსჯერ გახდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი. ჩემპიონატებში ჯეკსონმა 545 მატჩი მოიგო და 193 წააგო, ხოლო პლეი ოფში — 111 მოიგო და 41 წააგო.

ჯეკსონი ექვსი ჩემპიონობით მეორე ადგილზეა ასოციაციის ყველა დროის მწვრთნელებს შორის და მხოლოდ „ბოსტონ სელტიქსის“ ლეგენდარულ მწვრთნელს რედ აუერბახს ჩამორჩება (ამან 1957-66 წლებში ცხრაჯერ გააჩემპიონა გუნდი). პლეი ოფში მოპოვებული გამარჯვებების რაოდენობით მას ერთი კაცი, ამჟამად „მაიამის“, ადრე კი „ლეიკერსის“ და „ნიუ იორკის“ დამრიგებელი პატ რაილი უსწრებს.

60-70 წლებში ჯეკსონი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშობდა. იყო „ნიუ იორკ ნიქსის“ წევრი. მისი თანაგუნდელი გახლდათ ამჟამად სენატორი ბილ ბრედლი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობაზე ფიქრობს. სწორედ ბრედლის უთქვამს ჯეკსონისთვის, ოთხშაბათს და ხუთშაბათს ლოს ანჯელესში იყავი, რადგან ჩემს წინასაარჩევნო კამპანიაში უნდა მიიღო მონაწილეობაო. ჯეკსონმაც ყური ათხოვა თანაგუნდელის თხოვნას, მიატოვა ალიასკაზე თევზაობა და კალიფორნიას მიაშურა.

გახდება კერი მეთერთმეტე?

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სულ ათი მოთამაშეა, რომლებიც ზედიზედ ოთხჯერ ან მეტჯერ გახდნენ ჩემპიონები. მათ რიგებში გარევა შეუძლია „სან ანტონიო სფურზის“ უკანაბაზელს სტივ კერს. ეს კალათბურთული წინა სამ სეზონში „ჩიკაგო ბულზის“ რიგებში გახდა ჩემპიონი, ამჟამად კი მწვერვალს სან ანტონიოდან უტევს.

ზედიზედ გახდნენ ჩემპიონები

8	სემ ჯონსი	ბოსტონ სელტიქსი	1959-66
	ბილ რასელი	ბოსტონ სელტიქსი	1959-66
	კეი სი ჯონსი	ბოსტონ სელტიქსი	1959-66
7	ტომ ჰეინსონი	ბოსტონ სელტიქსი	1959-65
6	ტომ სანდერსი	ბოსტონ სელტიქსი	1961-66
	ჯიმ ლოსკუტოფი	ბოსტონ სელტიქსი	1959-64
	ფრენკ რემზი	ბოსტონ სელტიქსი	1959-64
5	ბობ კოუზი	ბოსტონ სელტიქსი	1959-63
4	ჯონ ჰავლიჩეკი	ბოსტონ სელტიქსი	1963-66
	ფრენკ საული	როჩესტერ როიალზი, მინეაპოლის ლეიკერსი	1951-54

ვარიაციები 2-3-2-ის თემაზე

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალი 2-3-2 სისტემით მიმდინარეობს. ესე იგი, გუნდი, რომელსაც მოედნის უპირატესობა აქვს, ჯერ შინ მართავს ორ მატჩს, შემდეგ სამჯერ სტუმრად თამაშობს და მერე კვლავ ორჯერაა მასპინძელი. ეს იმ შემთხვევაში, თუკი ჩემპიონის გამოვლენას შეიდი მატჩი დასჭირდება. ისე კი, ფინალი მაშინ მთავრდება, როცა ერთ-ერთი გუნდი ოთხჯერ გაიმარჯვებს.

2-3-2 სისტემა 1985 წელს შემოიღეს. ფინალური სერიები, ცხადია, განსხვავებულად მიმდინარეობდა. ქვემოთ კი მათი მიმდინარეობების რამდენიმე ვარიანტს გთავაზობთ (ბოლო სვეტში მოცემულია ფინალური სერიის ანგარიში):

მასპინძელმა მოიგო საწყისი ორი მატჩი			
1997	ჩიკაგომ მოუგო იუტას	4:2	ჩიკაგოს სასარგებლოდ
1996	ჩიკაგომ მოუგო სიეტლს	4:2	ჩიკაგოს სასარგებლოდ
1989	დეტროიტმა მოუგო ლეიკერსს	4:0	დეტროიტის სასარგებლოდ
1987	ლეიკერსმა მოუგო ბოსტონს	4:2	ლეიკერსის სასარგებლოდ
1986	ბოსტონმა მოუგო ჰიუსტონს	4:2	ბოსტონის სასარგებლოდ
სტუმარმა მოიგო საწყისი ორი მატჩი			
1995	ჰიუსტონმა მოუგო ორლანდოს	4:0	ჰიუსტონის სასარგებლოდ
1993	ჩიკაგომ მოუგო ფინიქსს	4:2	ჩიკაგოს სასარგებლოდ
ორი მატჩის შემდეგ სერიის ანგარიში თანაბარია			
1994	ჩიკაგო — იუტა	4:2	ჩიკაგოს სასარგებლოდ
1996	ნიუ იორკი — ჰიუსტონი	4:3	ჰიუსტონის სასარგებლოდ
1992	პორტლენდი — ჩიკაგო	4:2	ჩიკაგოს სასარგებლოდ
1991	ლეიკერსი — ჩიკაგო	4:1	ჩიკაგოს სასარგებლოდ
1990	პორტლენდი — დეტროიტი	4:1	დეტროიტის სასარგებლოდ
1988	დეტროიტი — ლეიკერსი	4:3	ლეიკერსის სასარგებლოდ
1985	ლეიკერსი — ბოსტონი	4:2	ლეიკერსის სასარგებლოდ
მასპინძელმა მოიგო შუა სამი მატჩი			
	არ მომხდარა		
სტუმარმა მოიგო შუა სამი მატჩი			
1991	ჩიკაგომ მოუგო ლეიკერსს	4:1	ჩიკაგოს სასარგებლოდ
1990	დეტროიტმა მოუგო პორტლენდს	4:1	დეტროიტის სასარგებლოდ
მასპინძელმა მოიგო ბოლო ორი მატჩი			
1994	ჰიუსტონმა მოუგო ნიუ იორკს	4:3	ჰიუსტონის სასარგებლოდ
1988	ლეიკერსმა მოუგო დეტროიტს	4:3	ლეიკერსის სასარგებლოდ
სტუმარმა მოიგო ბოლო ორი მატჩი			
	არ მომხდარა		

იყიდება
თეთრი, გამჭვირვალე ორგანული მინა,
3 მილიმეტრიანი
ტელეფონი: 95-22-56 (სანდრო) 95-05-57 (მალხაზი)
(საღამოს საათებში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ წარმოიდგენდა, ქართველები სამოელებს თუ დაამარცხებდნენ

ქართული შვიდკაცა ქრისტიანულად ათამაშდა

საქართველოს შვიდკაცა ნაკრების უცხოური ვოიაჟის შესახებ უკვე ვწერდით, ასე რომ, რაგბის ქართველი გულშემატკივრისთვის მისი შედეგები ცნობილია. თუმცა, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ნაკრების თავკაცის, „ყოჩების“ მთავარი მწვრთნელის მალხაზ ჭეიშვილის კომენტარი

ვურაბ დოლიძეებისშვილის ფოტო

— სამ საერთაშორისო ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა. ესენია: ჰაიდელბერგისა გერმანიაში, ბენიდორმისა ესპანეთში და „იერუსალიმის შვიდკაცა“ ისრაელში. ეს ტურნირები სიძლიერით სამ კატეგორიად შეიძლება დავყოთ. ჰაიდელბერგის ტურნირში შედარებით სუსტი გუნდები მონაწილეობდნენ, ამიტომ მოსამზადებლად გამოვიყენეთ. ყველა შეხვედრაში ვიმარჯვეთ და, ბუნებრივია, პირველობაც მოვიპოვეთ. ფინალში მასპინძელთა გუნდი დავამარცხეთ. თუ გახსოვთ, ამ ტურნირში შარშანაც ვიმარჯვეთ. ასე რომ, ორი წელიწადია ზედიზედ ვიგებთ გერმანიაში. შემადგენლობის მიხედვით ბენიდორმის ტურნირი გერმანიისაზე ძლიერი იყო. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ამ შეჯიბრში უელსის „ჯადოქრები“ და იტალიის „ზებრები“ მონაწილეობდნენ. „ზებრები“ ამ გუნდს იმიტომ უწოდეს, რომ მასში იტალიელთა გარდა ამ ქვეყანაში მობურთალი ფიჯელი, ახალზელანდიელი და სამოელი მორაგბეები თამაშობენ. ჯგუფში ვძლიეთ უელსელებს, იტალიელებთან კი ერთი ქულით დავმარცხდით, მაგრამ რაკი უელსელებმა იტალიელებს მოუგეს, შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება ჩვენ და უელსელებმა მოვიპოვეთ. მეოთხედფინალში გაგარინის სახელობით სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს შევხვდით. შეიძლება ითქვას, ეს იყო ყველაზე დაძაბული მატჩი. ადვილი წარმოსადგენია, რა ბრძოლის გადატანა მოგვიხდა. რუსები აუცილებლად უნდა დაგვემარცხებინა და შევძელით კიდეც. ნახევარფინალში ბასკეთის ნაკრებს მოვუგეთ, ფინალში კი ჯგუფში ჩვენს მიერ ძლეულ უელსელებთან დავთმეთ. საწყენია, ესპანეთში რომ ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ ჩვენი ძალებისა ვირწმუნეთ.

ყველაზე პრესტიჟული ამ სამ ტურნირს შორის იერუსალიმისა იყო. მასში მონაწილეობდნენ შვიდკაცა გრანდები. მხოლოდ ახალი ზელანდია, ავსტრალია და საფრანგეთი აკლდა, დანარჩენი ყველა იქ იყო. მსოფლიოს ჩემპიონი ფიჯი, კანადა, სამოა, შოტლანდია, ესპანეთი, ისრაელი. სხვათა შორის, ისრაელს საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყოლია. მასში თამაშობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მობურთალი ებრაელები, მოთამაშე-მწვრთნელად კი თხუთმეტკაცა რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონი, სამხრეთაფრიკელი სტრანსკი ჰყავდათ. ათი მონაწილე ორ ჯგუფში იყო განაწილებული, საიდანაც შემდეგ ეტაპზე ბრძოლას ორ-ორი საუკეთესო აგრძელებდა. ჩვენ მოვახერხეთ და მეორე ეტაპზე თამაშის უფლება მოვიპოვეთ. ნახევარფინალში მსოფლიოს მესამე გუნდი — სამოას ნაკრები დავამარცხეთ. ფინალში, სამწუხაროდ, წავაგეთ, მაგრამ გვძლიეს მსოფლიოს ჩემპიონებმა, ფიჯელებმა.

— საბოლოოდ, ამ უცხოური ტურნეს შედეგებით ალბათ კმაყოფილი ხართ.

— რა თქმა უნდა. შარშანდელთან შედარებით, როცა ფაქტობრივად პირველად შეიკრიბა ჩვენი ნაკრები და გუნდის ჩამოყალიბება დაიწყო, აშკარა პროგრესი დაგვეტყო. შარშანდელმა გუნდმა კლდე სორელის ხელმძღვანელობით ჰაიდელბერგის ტურნირში იმარჯვა. წლეულს მან ვერ მოახერხა ჩვენთან ერთად წამოსვლა და გუნდის ხელმძღვანელობა მე, მეორე მწვრთნელს მომიწია. ნაკრების მენეჯერი ზაზა ლეჟავაა.

— რაში გამოიხატება ეს პროგრესი?

— უპირველესად შედეგებში. მართალია, ორი ტურნირი ვერ მოვიგეთ, მაგრამ ასეთ მონაწილეთა შორის მეორეობა ცუდი შედეგი არ გახლავთ. ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ქართველები მსოფლიოს მესამე გუნდს — სამოას ნაკრებს დაამარცხებდნენ. პროგრესია ისიც, რომ თითქმის შეუცდომლად ვთამაშობთ დაცვაში. შეტევაში ცოტას მოვიკოჭლებთ. პასის და ბურთის ხელით გათამაშების კულტურა არ არის ჩვენში მაღალ დონეზე. ამ პრობლემებმა შეგვბორკა ახლაც. ეს თუ მოვაგვარეთ, 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრასაც შეგვძლებთ. მანამდე კი, მომავალი წლიდან, რაგბის საერთაშორისო საბჭომ შესაძლოა პროფესიონალთა მრავალეტაპიანი შეჯიბრი წამოიწყოს. მასში 16 ან 20 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. იმედია, მათ შორის ჩვენც მოვხვდებით, მაშინ კი ყოველ ორ ან სამ კვირაში ერთხელ მოგვიწევს თამაში.

— წლეულს ამ ტურნირების გარდა სხვაც მრავლადაა. თუ გაქვთ მიწვევები საიდანმე?

— არა. ჯერჯერობით არავის მივუწვევივართ. ტურნირები მრავლადაა და იქნებ რომელიმეში მივიღოთ მონაწილეობა. ჩვენი თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, ალბათ, მიგვიწვევენ. თამაშის ასეთ დონეს რომ მივაღწიეთ, კლდე სორელის დამსახურებაა. ამ კაცს საოცრად კარგად ესმის რაგბი და ძალიან გამოგვადგება. უმაღლესი დონის მწვრთნელი არც ეგაა, მაგრამ ჩვენი დონისთვის შესაფერისია. უფრო მეტიც, მის დონეს რომ მივაღწიოთ, კიდევ კარგა ხანი დაგვჭირდება. ერთი სიტყვით, ისეთი პიროვნებაა, ქართულ რაგბის რომ სჭირდება. ერთიც უნდა ვთქვა. იერუსალიმში ჩასულებს მეორე დღეს ქალაქი დაგვათვალიერებინეს. იმ გზაზე გაგვატარეს, ქრისტემ რომ გაიარა. ამან ძალიან იმოქმედა ბიჭებზე, ყველანი დადებითად დაიმუხტნენ და ეს უთუოდ დაეხმარათ წარმატების მიღწევაში.

— ორიოდე სიტყვა „ყოჩებზეც“ ვთქვათ. შარშანდელი პირველობა, შეიძლება ითქვას, უპრობლემოდ მოიგეთ. წლეულს საქმე სხვაგვარადაა. როგორ აპირებთ ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებას?

— ეს, ალბათ, გაგვიჭირდება. საქმეს ისიც ართულებს, რომ საფრანგეთში მოთამაშე მორაგბეები, რომლებიც არდადეგების გამო ჩვენთან არიან, საშემოდგომოდ უკან გაემგზავრებიან, თუმცა მაინც ჩვენსას შევეცდებით და კვლავაც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

პაატა თოთაძე

ტონგელებმა ჩვენ კი არა, გადარიეს საფრანგეთი

ალექსეი ბაბაევის ფოტო

ხელით მშვენივრად მობურთალი ტონგელების გამკლავება ქართველებმა კი არა, ფრანგებმაც ვერ შეძლეს

ტონგა 20:16 საფრანგეთი

ტონგა: 3ლ — ტაუმალოლო (2), ტაუნაჰოლო; 1ს და 1გ — ტუიჰულოტუ
საფრანგეთი: 1ლ — სარამეა; 3ს და 1გ — ლამეზონი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რომ ტონგას შეხვდა მსოფლიოს თასზე გასავლელად, გეხსომებათ. შორეულ კუნძულზე უმწვრთნელო ქართველები „ზღვის არწივებმა“ დაიბრიყვეს და პაპანაქება სიცხეში 37:6 დაამარცხეს. საპასუხო შეხვედრაში „ბორჯღალოსნებმა“ 28:27 გაიმარჯვეს, მაგრამ ორი მატჩის ჯამში წაგებულები დარჩნენ. როგორც აღმოჩნდა, ქართველებს მეტად ძლიერი ნაკრები დაუმარცხებიათ.

გუშინ, გამთენიისას ტონგას ფრანგი მორაგბეები ესტუმრნენ თავისი სამხრეთული ტურნეს მეორე ტესტის გასამართად. ევროპელებმა თვითმფრინავის გაუმართობის გამო არქიპელაგის მთავარ კუნძულს გვიან უწიეს და მატჩის მოსამზადებლად ბევრი დრო აღარ დარჩენიათ.

ტონგელებმა მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს, ეგ კი არა, ფრანგებს ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს, სამი კაცი — აბდელატიფ ბენაზი, რაფაელ იბანესი და ტომა კატანიედი — ჰოსპიტალში წასაყვანი გაუხადეს და მოუგეს კიდეც. მასპინძლები ჩვეულ სტილში ბურთაობდნენ, ბურთს უპირატესად ხელით ათამაშებდნენ და ფრანგებს მათი შეჩერება ძალიან უჭირდათ. რაგბის ობილისელ მოყვარულთ საშუალება ჰქონდათ, „ეროვნულზე“ ენახათ, რისი შემძლენი არიან სწრაფი ტონგელები მარაოს გაშლისას და ელვისებური კონტრიერიშებისას. ასე რომ, არავის გაუკვირდება, „ზღვის არწივებმა“ „მამლების“ საკმაოდ კარგ დაცვას სამი ლელო რომ გაუტანეს.

ფრანგთაგან საუკეთესო, კასტრელი ფრთა ოლივიე სარამეა იყო. კრისტოფ ლამეზონის პასის შემდეგ სწორედ მან შეძლო ტონგელებისთვის ერთადერთი ლელოს გატანა.

მასპინძელთაგან თავი ორჯერ ისახელა ტონგაში ქართველთა ძლევაში წილდადებულმა სიუა ტაუმალოლომ. იგი ჯერ ლამეზონსა და ჟერალდ მერსერონს შორის გაძვრა, შემდეგ კი კრისტიან ლაბის დაუსხლტა და მეორე ლელოც გაიტანა. მესამე ლელო კი ტაუფაჰემა ტაუნაჰოლოს ანგარიშზეა, რომელსაც „ბორჯღალოსნების“ წინააღმდეგ საერთოდ არ უთამაშია.

„მეტოქეები თავს კარგად იცავდნენ. მისი პირველი ხაზი მეტად ძნელი დასაძლევი იყო. ამ მატჩს სამოელებთან შეხვედრას ვერ შეადარებთ. ჩვენი თამაში ვერ ვიპოვეთ და წაგების ძირითადი მიზეზიც ესაა. ახლა საჭიროა შეცდომების გამოსწორება და ახალზელანდიელებთან მატჩისთვის მომზადება“ — განაცხადა საუკეთესო „მამალმა“ ოლივიე სარამეამ.

გაგი გურული

გადრი კეთილაძის ფოტო

ქართველთა ძლევამ ტონგელები აი, ასეთ მშვენიერ გუნებაზე რომ დააყენა, ფრანგთა დამარცხების მერე მათი სიხარული, ცხადია, მართლაც უსაზღვრო იქნებოდა

„ხუთი ერი“ ისტორიას შოტლანდიელთა ჩემპიონობით ჩაბარდა

2000: ერთით მეტი ანუ ცხოვრება აირია

წლეულს ჩრდილოური რაგბის უმთავრესი ტურნირი — „ხუთი ერის პირველობა“ უკანასკნელად ჩატარდა. გაისიდან მას მეექვსე ქვეყანა, იტალიაც შეუერთდება და უკვე ექვსი ერი გაარკვევს უძლიერეს ევროპულ სარაგბო ქვეყანას. ახალი შეჯიბრი 2000 წლის 5 თებერვალს დაიწყება. ადრინდელისგან განსხვავებით, როცა ხუთივე გუნდი ორ-ორ მატჩს შინ და გარეთ თამაშობდა და ამდენად გამარჯვების ერთნაირი შანსები ჰქონდათ, ამიერიდან სამი გუნდი უკეთეს მდგომარეობაში იქნება დანარჩენებთან შედარებით. ეს იმიტომ, რომ „ექვსი ერის პირველობა“ ერთ წრედ ჩატარდება და სამ გუნდს სამი საშინაო და ორი გასვლითი მატჩი უწევს, სამსაც კი პირიქით, თუმცა ერთ წელს „დაჩაგრულები“ მომავალ სეზონში სამ თამაშს უკვე საკუთარი მაყურებლის წინაშე ჩაატარებენ და ასე მონაცვლეობით.

„ექვსი ერის“ საგაისო განრიგი

5.02 იტალია — შოტლანდია, ინგლისი — ირლანდია, უელსი — საფრანგეთი
19.02 საფრანგეთი — ინგლისი, უელსი — იტალია, ირლანდია — შოტლანდია
4.03 შოტლანდია — საფრანგეთი, ინგლისი — უელსი, ირლანდია — იტალია
18.03 იტალია — ინგლისი, უელსი — შოტლანდია
19.03 საფრანგეთი — ირლანდია
1.04 საფრანგეთი — იტალია, ირლანდია — უელსი
2.04 შოტლანდია — ინგლისი

ლოგიკური პარადოქსი:

სპორტის სათრით თბილისის საკრებულოც კი ერთი გუნდია

ნანა ალექსანდრია: დიდი სპორტსმენი სპორტის დიდი ქომაგიცაა

ვ.ბარამ დოლენჯაშვილის ფოტოები

თბილისის საკრებულოს არც რუსუდან ხოფერია და მისი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი დავიწყებია

თბილისის საკრებულოს წევრებმა გუშინ ერთ კეთილ საქმეს ჩაუყარეს საფუძველი. ყოველთვიური სტიპენდიები დაუნიშნეს ათ სპორტსმენს. ამათგან ორი მოჭადრაკეა, დანარჩენები კი ოლიმპიური სახეობების წარმომადგენლები არიან. ათეული ოლიმპიურ კომიტეტთან და შესაბამის ფედერაციებთან კონსულტაციებით შეირჩა. ეს ის ხალხია, რომელთაგანაც სიდნეის ოლიმპიადაზე მედლებს ელიან — ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა), ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), ხვიჩა ბიჩინაშვილი (ბერძნულ-რომაულ ჭიდაობა), ნესტორ ხერგიანი, გიორგი რევაზიშვილი, გია გუგავა (ძიუდო), გიორგი ასანიძე (ძალოსნობა). მოჭადრაკეთაგან ნინო ხურციძე და გიორგი ყაჭეიშვილი არიან.

ამათთან ერთად საკრებულომ თავისი მოწყალების კალთა ხუთ მწვრთნელს გადააფარა — გია გალდავას (თავისუფალი ჭიდაობა), ჯემალ ნათელაშვილს (ძიუდო), ვახტანგ სალუქვაძეს (ტყვიის სროლა), ზაურ სულაშვილს (ბატუტზე ხტომა) და ალექსანდრე ბოკუჩავას (ჭადრაკი).

თბილისის საკრებულო, გასაგებ მიზეზთა გამო, მხოლოდ თბილისელებს დაეხმარა, მაგრამ ესეც ხომ საქმეა. თანაც, როგორც ამ კარგი საქმის თაოსანი, თბილისის საკრებულოს წევრი და სახელოვანი მოჭადრაკე ნანა ალექსანდრია გვარწმუნებს, სპორტსმენები ამ დახმარებებს ყოველთვიურად, შეუფერხებლად მიიღებენ.

ჯერ კიდევ ძველთაგან სპორტი სახალხო დიპლომატიის საუკეთესო საშუალებად მიაჩნდათ. ნანა ალექსანდრიამ თბილისის საკრებულოს სხდომათა დარბაზში შემთხვევით როდი გაიხსენა მტრად მოკიდებული ძველი ბერძნული სახელმწიფოების მაგალითი, რომლებსაც ერთმანეთში ოლიმპიადები არიგებდა. ეს მისაბაძი წარსული მან დღევანდელობაში გადმოიტანა და განაცხადა, ალბათ, საარჩევნოდ კი დავჭამთ ერთმანეთს, მაგრამ სპორტისთვის ერთსულოვანნი ვიქნებითო. იმედია, ასეც მოხდება. ამის დასტური ისიცაა, რომ პოლიტიკური ბატალიებით დაღლილ დარბაზში გუშინ უჩვეულო თანხმობა სუფევდა. არადა, ჩვენს სპორტს დახმარება ნამდვილად სჭირდება. ძნელია, არ დაეთანხმო ნანა ალექსანდრიას სიტყვებს — როცა უყურებ 1998 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული გიორგი ასანიძის ჰირობებს, რომელიც ლტოლვილებთან ერთად საერთო საცხოვრებელში შეფარებულა, ეჭვი გეპარება კანონში ჩაწერილ სიტყვებში, რომ საქართველოში სპორტი უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმედაა მიჩნეულიო.

იმავე სხდომაზე საინტერესო წინადადებებით გამოვიდა ფრაქცია „თბილისის“ წევრი ომარ ჯაფარიძე. მან მოითხოვა, ქალაქის საკრებულოს მთლიანად ოლიმპიურ გუნდზე აეღო შეფობა. ამ წინადადებას დარბაზი მოწონებით შეხვდა, თუმც ენაკვიმატმა ოპოზიციამ მაინც იხუმრა, ფული „მოქალაქეებს“ გაქვთ და მოითხოვთ, აბა რას იზამთო.

ირაკლი თავაძე

ვ.ბარამ დოლენჯაშვილის ფოტო

თბილისის საკრებულოს სტიპენდიანტები: ნინო სალუქვაძე, გიორგი რევაზიშვილი და ელდარ კურტანიძე

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ყველაზე მილიტარისტული ფინალი

შვედებმაც, რუმინელებივით, ოთხი თითი მოხარეს

REUTERS

შვედთა საჩემპიონო პორტრეტი „მეინ ჰოლის“ ინტერიერში

შვედეთი 25:24 რუსეთი

შვედეთი: სვენსონი; ლოვგრენი (6), ტორსონი (6), ვრანიესი (5), ვისლანდერი (2), ოლსონი (2), სივერტსონი (2), ფრანდესიო (1), პეტერსონი (1), ანდერსონი; გენცელი

რუსეთი: ა. ლავროვი; ტუჩკინი (6), ი. ლავროვი (5), ფილიპოვი (4), კრივოშლიკოვი (3), ტორგოვანოვი (3), კუდინოვი (1), გორპიშინი (1), პოგორელოვი (1), კულიჩენკო; სუკოსიანი

ორწუთიანი გაძევებები: ვისლანდერი (3), ოლსონი, ფილიპოვი, კრივოშლიკოვი, ტორგოვანოვი (2)

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘᲔᲚᲗᲐ ეგვიპტის მსოფლიოს ჩემპიონატმა იმედები გააცრუა, არა სპორტული შედეგებისა და თამაშების ხარისხის, არამედ ორგანიზაციული მხარის გამო. ეგვიპტე სამხრეთ აფრიკის შემდეგ მეორე აფრიკული ქვეყანა გახდა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა გუნდურ სახეობებში (1995 წელს პლანეტის საუკეთესო მორაგბეები შეიყარნენ „ქურციკების“ სამშობლოში). ჩრდილოფრიკელებს სურდათ ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩაეტარებინათ და ამით ავტორიტეტი აემაღლებინათ, მაგრამ...

პროვინციებში დაბანაკებული გუნდები, ინფორმაციული უზრუნველყოფის, კომუნიკაციების ბევრ ნაკლზე წუწუნებდნენ. ამის გარდა, მიუხედავად გაძლიერებული დაცვისა, ეგვიპტელი მაყურებლები ხულიგნობდნენ, მაგალითად, ეგვიპტე-ტუნისის მერვედფინალური მატჩისას ისინი მოედანზეც კი გადაიდნენ და შეხვედრა რამდენიმე წუთითაც შეწყდა. განახლების შემდეგ კი საწყალ ტუნისელებს ბოთლების და სხვა საგნების წვიმაც დაატეხეს თავს.

მეოთხედფინალებისთვის უსაფრთხოება კი გაძლიერდა, მაგრამ რუსეთ-ეგვიპტის თამაშზე სლავების მეკარე იღბალმა იხსნა — მაღლიდან ნასროლი წყლიანი ბოთლი მისგან რამდენიმე სანტიმეტრში გასკდა.

ასეთი დომხალი მასპინძელთა მატჩებს სდევდა თან, რადგან სხვა თამაშებისადმი მაყურებელი თითქმის არ იჩენდა ინტერესს. ნახევარფინალებზე 30.000-იანი „მეინ ჰოლი“ მხოლოდ ერთ მესამედამდე შეივსო, ფინალსაც იგივე დღე ელოდა, მაგრამ ეგვიპტელმა ორგანიზატორებმა 15.000 ჯარისკაცს დაუგემოვნებინეს დიდი ხელბურთი...

ახლა კი, მოდით, ჩემპიონატის ბოლო დღეს გამართული მატჩები მიმოვიხილოთ. მეშვიდე ადგილისთვის და შესაბამისად ოლიმპიური ლიცენზიისთვის მასპინძლები კუბელებს შეხვდნენ. „ფარაონებმა“ იოლად გაიმარჯვეს (35:28) და კარიბელებს სიდნეიში წასვლის შანსები საკმაოდ შეუმცირეს. ავსტრალიაში მოსახვედრად კუბელებმა ახლა პანამერიკულ თამაშებზე უნდა იმარჯვონ. მეხუთე ადგილისთვის მატჩში, რომელსაც თითქმის არანაირი ინტერესი არ ჰქონდა, გერმანელებმა ფრანგებს 26:21 მოუგეს.

13 წლის წინ გახდა იუგოსლავია მსოფლიოს ჩემპიონი. მას შემდეგ ბალკანელებმა საპრიზო სამეულში მოხვედრა ვეღარ შეძლეს. წლეულს კი ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში ესპანელთა საკმაოდ ძლიერ გუნდს სძლიეს (27:24) და თავიანთი ქომაგებიც უზომოდ გაახარეს. იუგოსლავიას ორი ლიდერი — ნენად პერუნიჩიჩი და დრაგან სკრბიჩი აკლდა. პირინელებმა ამით კარგად ისარგებლეს და მთელი მატჩის მანძილზე ანგარიში მათ მიჰყავდათ. თუმცა მერე დაიღალნენ. 51-ე წუთზე კი, ინაკი ურდანგარინის რამდენიმე არაზუსტი ტყორცნის შემდეგ, სლავები პირველად დაწინაურდნენ — 22:21 და მათ შეხვედრის გამარჯვებამდე მიყვანაც აღარ გასჭირვებიათ.

ოთხმოცდაათიანების პირველი მსოფლიოს ჩემპიონი შვედეთი იყო და ბოლოც იგი გახდა. სკანდინავიელებმა ორი წლის წინანდელი ფინალური მარცხისთვის რევანში აიღეს.

თამაშის დასაწყისი რუსთა უპირატესობით წარიმართა. შვედები მძიმედ მოქმედებდნენ, რუსთა მეკარე ანდრეი ლავროვიც ჩმნებურად ირჯებოდა და მისი გუნდიც მე-5 წუთისთვის 3:0 დაწინაურდა. ამის მერე თამაში გაწონასწორდა, თუმცა შვედებმა ანგარიშში სხვაობა ვერ შეამცირეს. დაწყებიდან 10 წუთის გასვლის შემდეგ ისინი 3:6-ს აგებდნენ. მათი მეკარე ტომას სვენსონი ჩვეულებისამებრ კარგად ვერ გამოიყურებოდა და ამიტომაც პეტერ გენცელით შეცვალეს, რომელმაც ნამდვილად უკეთესად ითამაშა. ამას თავისი შედეგი მაშინვე არ მოუტანია — მე-19 წუთზე წინ კვლავ რუსები იყვნენ (10:6).

ამ დროს მარჯვენა ფლანგზე იოჰან პეტერსონი პიერ ტორსონმა შეცვალა და გადამწყვეტი როლიც ამ ცვლილებამ შეასრულა, რადგან ლავროვმა მისი ვერც ერთი ტყორცნა ვერ მოიგერია. პირველი ტაიმი მაინც სლავების გამარჯვებით 14:12 დასრულდა.

მეორე ოცდაათწუთიანის დასაწყისში მაგნუს ვისლანდერი მესამედ გააძევეს ორი წუთით და შესაბამისად მატჩის ბოლომდე შეცვლის უფლებით. ამან შვედებზე, როდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დადებითი გავლენა მოახდინა. რიცხობრივ უმცირესობაში მათ ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს და ანგარიშიც გათანაბრდა — 14:14. შეხვედრა ძალიან დაიძაბა და გერმანელ მსაჯებსაც სტვენას მოუხშირეს. 44-ე წუთზე კვლავ თანაფარდობა იყო — 18:18.

მომდევნო ექვს წუთში კი სკანდინავიელებმა გაილაღეს და დროის ეს მონაკვეთი 4:0 მოიგეს (22:18). რუსები თითქოს უნდა გამტყდარიყვნენ, მაგრამ პირიქით მოხდა. 55-ე წუთისთვის მათ ანგარიშში სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირეს — 21:22. თუმცა მეტის გაკეთება ვეღარ მოახერხეს.

და როცა გენცელმა მორიგი ტყორცნა მოიგერია (შვედები 25:23-ს იგებდნენ) ბოლო წუთზე, შვედების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს უკვე ჩემპიონების ოქროს მედლებს ნიშნავდა. იერიშში ბურთის დაკარგვას და იგორ ლავროვის საფინალო სირენასთან ერთად გატანილ გოლს აღარაფრის შეცვლა არ შეეძლო.

მსოფლიოს ჩემპიონი შვედეთი გახდა და რუმინეთის რეკორდიც გაიმეორა. ახლა შვედებსაც და რუმინელებსაც ოთხ-ოთხჯერ აქვთ მოპოვებული პლანეტის უძლიერესის ტიტული.

გაიოზ თალაკვაძე

მსოფლიოს ჩემპიონატების გამარჯვებულები და პრიზიორები

1938წ. — გერმანია, ავსტრია, შვედეთი
1954წ. — შვედეთი, გფრ, ჩეხოსლოვაკია
1958წ. — შვედეთი, ჩეხოსლოვაკია, გფრ
1961წ. — რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი
1964წ. — რუმინეთი, შვედეთი, ჩეხოსლოვაკია
1967წ. — ჩეხოსლოვაკია, დანია, რუმინეთი
1970წ. — რუმინეთი, გდრ, იუგოსლავია
1974წ. — რუმინეთი, გდრ, იუგოსლავია
1978წ. — გფრ, სსრკ, გდრ
1982წ. — სსრკ, იუგოსლავია, პოლონეთი
1986წ. — იუგოსლავია, უნგრეთი, გდრ
1990წ. — შვედეთი, სსრკ, რუმინეთი
1993წ. — რუსეთი, საფრანგეთი, შვედეთი
1995წ. — საფრანგეთი, ხორვატია, შვედეთი
1997წ. — რუსეთი, შვედეთი, საფრანგეთი

1999 წ.

1 შვედეთი, 2 რუსეთი, 3 იუგოსლავია, 4 ესპანეთი, 5 გერმანია, 6 საფრანგეთი, 7 ეგვიპტე, 8 კუბა



პეტერ კორდა

კორდა კაპუტ, ლაბაძემაც წააგო

პეტერ კორდამ საჩოგბურთო კარიერა სამშაბათს დასრულა. დასრულა უსახელოდ, უიმბლდონის საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე წრეში მსოფლიოს 590-ე ჩოგან (!) დენი სეპსფორდთან 6:3, 6:7 (4:7), 4:6 წაგებით.

ჯერ კიდევ შარშან ავსტრალიის ღია პირველობის მომგები და მსოფლიოს მეორე ჩოგანი ჩეხი გასულ უიმბლდონზე დოპინგ-ტესტში ჩაფლავების შემდეგ გონს ვერ მოვიდა. ცალკერძ კოლეგებისა და ცალკერძ პრესის თავდასხმებმა 31 წლის ვეტერანს თამაშის სურვილიც გაუქრო და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას (ITF) გადაამტერა.

სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში ITF-ის ბოლო საჩივარი ჯერაც არ განუხილავთ და კორდას თავისი ნებითაც რომ არ გამოეთქვა პენსიაზე გასვლის სურვილი, რამდენიმე კვირაში იქნებ იძულებითაც აეკვრევინებინათ გუდა-ნაბადი.

სწორედ ამიტომ უიმბლდონის ორგანიზატორებმა კორდას ჭაღარასაც კი არ სცეს პატივი და ამჟამად კლასიფიკაციით 116-ე ჩეხი საკვალიფიკაციო მატჩებისთვის გაიმეტეს: „ვითხოვე, რომ უაილდ ქარდი მოეცათ, მაგრამ ჩემს ნაცვლად მარსელო ფილიპინის მისცეს. ამ გადაწყვეტილებამ, რა თქმა უნდა, გული დამწყვიტა, თუმც თავს ზევით ძალა არ არის. ინგლისურმა ფედერაციამ გასაგები მიზეზების გამო ამითვალწუნა“.

კორდა თავდაპირველად სპორტიდან წასვლას როლან გაროსის შემდეგ აპირებდა, მაგრამ გადაწყვეტილება რამდენიმე კვირით გადადო: „ეს უბრალოდ ბოლო უიმბლდონი კი არ არის, უიმბლდონი ჩემი უკანასკნელი ტურნირია. ჩემი ქალიშვილი სექტემბერში სკოლაში შედის. მსურს, მთელი თავისუფალი დრო ოჯახს დავუთმო და რადგანაც ის ჩემთან ერთად მოგზაურობას ველარ შეძლებს, ამიერიდან პრაღაში დავფუძნდები“.

12-წლიანი შესანიშნავი კარიერის ბოლო ფურცლის გადაშლას კორდაზე მაინცდამაინც დამთრგუნველად არ უმოქმედია: „ძალიან აღელვებული ვარ, მაგრამ ამასთან ბედნიერიც. ფსიქოლოგიურად უკვე აღარ შემეძლო კონკურენციის გაძლება. ახლა ჩვეულებრივი ადამიანი გავხდები და ჩემი ცხოვრებაც თავიდან იწყება“.

თუმცა მეუღლის — რეგინას გასახარად ორი ქალიშვილის სამაგალითო მამად ქცევამდე ჩეხს ერთი საქმე აქვს მოსაგვარებელი: „ჩემი უკანასკნელი მატჩი ივლისის ბოლოს შედგება ITF-თან. სანამ სასამართლო გარჩევა არ დასრულდება, ამაზე საუბარი არ მსურს, მაგრამ მოვიგებ, თუ წავაგებ, პრესას ყველა დოკუმენტს ვაჩვენებ“.

* * *

იქვე, უიმბლდონის საკვალიფიკაციო ტურნირზე ასევე წარუმატებლად იასპარეზა ჩვენებურმა ირაკლი ლაბაძემ. 17 წლის თბილისელი პირველ წრეში ამერიკის სტუდენტურ ჩემპიონ ბობ ბრიანთან დამარცხდა 5:7, 1:6 და ახლა ყურადღებას, ალბათ, იუნიორთა ტურნირზე გაამახვილებს.

იანა ტიტულს დაიცავს

დაშავებული იანა ნოვოტნა ინვალიდის სავარძლით გაიყვანეს

როლან გაროსზე მიღებული კოჭის მძიმე ტრავმის მიუხედავად, იანა ნოვოტნა უიმბლდონზე თავისი ტიტულის დაცვას მაინც აპირებს.

„მე მზად ვარ ტკივილის ასატანად და საბრძოლველად. ჩემი მიზანი ტრავმის მიღების შემდეგ ლონდონში ასპარეზობა იყო, ახლა კი ყოველდღიურად უკეთ გახდომას ვცდილობ“ — განუცხადა 30 წლის ჩეხმა ჟურნალისტებს.

ნოვოტნამ ტრავმა საფრანგეთის ღია პირველობის წყვილთა ტურნირის მეოთხედფინალში მიიღო, მან მეწყვილესთან — ნატაშა ზვერევასთან ბურთი ვერ გაიყო, ბელარუსს ფეხი დაადგა, კოჭი გადაიტრიალა და კორტიდან აცრემლებულ-აყვირებული საკაციოლა გაიტანეს.

საავადმყოფოში გამოკვლევებით ერთ-ერთი მყესის სერიოზული დაზიანება დადგინდა, თუმცა 10 დღის მანძილზე ინტენსიურმა მკურნალობამ და სრულმა დასვენებამ საქმეს მნიშვნლოვნად უშველა — ამ კვირაში მეგობრად დარჩენილ ზვერევასთან ერთად ისტბორნის ტურნირზე იანა წყვილებში თამაშსაც კი აპირებს.

მეხუთედ განთესილმა ჩეხმა წლევანდელი უიმბლდონი „ღია“ პირველობად შერაცხა, რომლის მოგების შანსი ერთბაშად 10-15 ჩოგბურთელს მაინც ექნება, თუმცა მთავარ ფავორიტად მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი კი არა, ძველი გვარდიის წარმომადგენელი შტეფი გრაფი მიიჩნია.

„ვფიქრობ, ჩვენ ყველამ ვიცით, ვისა აქვს უიმბლდონზე საუკეთესო შანსი. გაიხსენეთ საფრანგეთის ღია პირველობა.“

ამ ტრავმისა და ბოლო ხანებში ყოფილ მეწყვილე ჰ ინგისთან დაუბრების მიუხედავად, ჩეხს წყვილებში თამაშზე შეხედულება მაინც არ შეუცვლია: „კი, ხანდახან ისე ხდება, რომ პარტნიორთან ურთიერთობა გიფუჭდება, მაგრამ წყვილებში ასპარეზობას ამასთან უამრავი უპირატესობაც ახლავს — იგი გეხმარება ფორმაში ჩასადგომად და საუკეთესო ვარჯიშიცაა.“

შეგახსენებთ, რომ ჰინგისმა ნოვოტნასთან განშორებას ფრიად არაკორექტული კომენტარიც დაურთო: იანა დაბერდა და სისწრაფე დაკარგაო.

ტრავმირებულნი და დამსვენებლები

თუ ნოვოტნა უიმბლდონზე ასპარეზობას მაინც აპირებს, რამდენიმე სახელიანი ჩოგბურთელი საკუთარი ნებით ტოვებს სეზონის მესამე დიდი სლემის ტურნირს.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მარსელო რიოსმა ფეხის ტრავმა მოიმიზეზა და ტურნირის ორგანიზატორებს ორშაბათს შეუთვალა უარი. სწორედ კიკინიან ჩილელს ეკუთვნის ფრთიანი გამოთქმა: „ბალახი ძროხებისთვისაა.“ ამიტომ მომხდარის მეორე ვერსია ასე ჟღერს: საკუთარი ფიზიკური კონდიციებით უკმაყოფილო რიოსმა საძოვრებზე სიარულს სამშობლოში ვარჯიში არჩია.

ასევე არ იასპარეზებს უიმბლდონზე მსოფლიოს მერვე ჩოგანი ალექს კორეტხაც. თუმცა ესპანელმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ განაცხადა, რომ ბალახის სეზონის ერთი თვის მანძილზე თამაშს დასვენება ერჩია.

ლონდონში ვერ ვიხილავთ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტ ამელი მორესმოსაც. ლესბოსელმა ფრანგმა როლან გაროსზე ნოვოტნას მსგავსად კოჭის ტრავმა მიიღო, თუმცა თავგანწირვის სურვილი არ გამოუმჟღავნებია და საქმის გართულებას შინ დარჩენა არჩია.

ბოლო მსხვერპლი კი ამ სიაში შეიძლება რუსი ევგენი კაფელნიკოვი გახდეს. სოჭელი ჟენია ჰოლანდიაში „ჰაინეკენის“ პირველობაზე საასპარეზოდ სამშაბათს საკუთარი ვერტმფრენით ჩავიდა და ივარჯიშა კიდეც, თუმცა ბოლო მომენტში მაჯის ტკივილების გამო მაინც ვერ ითამაშა.

„ტკივილს უკვე რამდენიმე დღეა, ვგრძნობ. ახლა ლონდონში გავფრინდები, ცოტას დავისვენებ და იმედია, ორშაბათამდე მოვმჯობინდები.“

რაკი ტრავმირებულები ჩამოთვალეთ, სამშაბათს გამოქვეყნებულ უიმბლდონის განთესილთა სიასაც გადავხედოთ. იგი იმითაა საინტერესო, რომ სხვა დიდი სლემის ტურნირებისგან განსხვავებით, განთვესვის ნომერი კლასიფიკაციისას (რომელიც ფრჩხილებშია მითითებული) ყოველთვის არ ემთხვევა.

ავთანდილ სვანიძე

განთესილები

კაცები	ქალები
1 (1) . . . . . პიტ სამპრასი	1 (1) . . . . . მარტინა ჰინგისი
2 (2) . . . . . პატრიკ რაფტერი	2 (3) . . . . . შტეფი გრაფი
3 (3) . . . . ევგენი კაფელნიკოვი	3 (2) . . . . ლინდსი დევენპორტი
4 (4) . . . . . ანდრე აგასი	4 (4) . . . . . მონიკა სელეში
5 (5) . . . . . რიჩარდ კრაიჩეკი	5 (5) . . . . . იანა ნოვოტნა
6 (6) . . . . . ტიმ ჰენმანი	6 (6) . . . . . ვინუს უილიამსი
7 (11) . . . . . მარკ ფილიპუსისი	7 (7) . . . არანჩა სანჩეს-ვიკარიო
8 (12) . . . . . ტოდ მარტინი	8 (9) . . . . . ნატალი ტოზია
9 (13) . . . . . გრეგ რუზეიკი	9 (8) . . . . . მარი პირსი
10 (15) . . . . გორან ივანიშევიჩი	10 (10) . . . . . სერენა უილიამსი
11 (7) . . . . . გუსტავო კუერტენი	11 (11) . . . . . ჟული ალარი
12 (10) . . . . . კარლოს მოია	12 (12) . . . . . ამანდა კუტცერი
13 (14) . . . . . კაროლ კუჩერა	13 (13) . . . . . სანდრინ ტესტიუ
14 (17) . . . . . ტომი ჰაასი	14 (14) . . . . . ბარბარა შეტი
15 (18) . . . . . ნიკოლას კიფერი	15 (16) . . . დომინიკ ვან რუსტი
16 (18) . . . . . ფელიქს მანტია	16 (17) . . . . . ნატაშა ზვერევა

პანტანი მოინელეს, ახლა ულრიხს მიადგნენ

იან ულრიხი

შარშან ველოსიპედოსთა ყველაზე პოპულარული შეჯიბრება ტურ დე ფრანსი პოლიციისა და ჟურნალისტების მიერ ატეხილი სკანდალის გამო კინაღამ ჩაიშალა. სულ ახლახან სკანდალურად დასრულდა რანგით მეორე შეჯიბრება ჯირო დიტალია. ორი კვირა დარჩა ტურ დე ფრანსის დაწყებამდე და უკვე იფეთქა ახალმა სკანდალმა. გერმანულ ჟურნალ „შპიგელში“ დაიბეჭდა სტატია, რომლის სამიზნედ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „ტელეკომი“ და მისი ლიდერი ულრიხი იქცა.

შეტევა ამ უპოპულარეს შეჯიბრებსა და არანაკლებ პოპულარულ მრბოლებზე ისე ეფექტურად დაიწყო და ისე მეთოდურად გრძელდება, რომ კაცი უნებლიედ იფიქრებს: ყველაფერ ამის უკან ამ ტურნირების პოპულარობით გაღიზიანებული ერთობ გავლენიანი ორგანიზაციები ხომ არ დგანანო.

ბოლო წლებში სპორტის არა ერთსა და ორ სახეობაში კომერციული შეჯიბრებების ახალი სისტემის შემოღებამ, რომელიც სეზონის განმავლობაში ზოგან რამდენიმე ათეულ სტარტსაც კი ითვალისწინებს, ერთობ გაანელა სპორტსმენთა ინტერესი ტრადიციული მსოფლიო ჩემპიონატების და რაღაც დოზით ოლიმპიური თამაშების მიმართაც კი.

პროფესიულ სპორტს თავისი განვითარების ამ, რაღა თქმა უნდა, ბუნებრივ გზაზე ოლიმპიური კომიტეტის მოღვაწეთა და ეგრეთ წოდებული სამოყვარულო სპორტის მამათა მხრიდან უეჭველად უნდა შეხვედროდა წინააღმდეგობა. ამიტომაც გაჩნდა მოსაზრება, ჯერჯერობით ეჭვის დონეზე, რომ მთელი ამ აურზაურის შემომქმედნი სწორედ ისინი არიან.

თუმცა, დავუბრუნდეთ „შპიგელს“.

სტატიაში, რომელიც დაფუძნებულია ტელეკომის ყოფილი წევრების მონათხრობზე, გუნდის უკლებლივ ყველა წევრს ბრალი ედება სტიმულატორების გამოყენებაში. დეტალურად არის აღწერილი, ვინ როდის, რა დოზითა და რა პრეპარატს იღებდა.

გუნდის ექიმს ლოთარ ჰაინრიხს არ უარუყვია ეს ფაქტები, ოღონდ დაამატა, რომ სტატიაში ნახსენები პრეპარატები ორი თვის წინ აკრძალულ პრეპარატთა სიაში არ შედიოდა და ამდენად მათი გამოყენება კანონის დარღვევად ვერ ჩაითვლება.

გაცილებით მწვავე იყო გუნდის წარმომადგენლის შტეფან ალტოფის განცხადება.

„ჩვენ გვაქვს კონკრეტული მონაცემები იმის თაობაზე, რომ ტელეკომის ყოფილმა წევრებმა ამ სპეკულაციური „მონათხრობის“ საფასურად „შპიგელიდან“ საკმაოდ კარგი გასამრჯელო მიიღეს“.

ტურ დე ფრანსის 1997 წლის გამარჯვებულმა იან ულრიხმა უარი განაცხადა რაიმე ეთქვა ამის თაობაზე: „ჩვენ ახლა სხვა საფიქრალი გვაქვს, წინ ტურ დე ფრანსია“.

ირაკლი ბერიაშვილი

მომაშარდვინეთ, ერთხელ ჩემთვის მომაშარდვინეთ!

შვეიცარიის ტურის პროლოგი ფრანგმა ლორან ჟალაბერმა მოიგო. „ონსეს“ ლიდერმა 6 კილომეტრიანი ინდივიდუალურ რბოლაში რუს ვიაჩესლავ ეკიმოვს 9, ხოლო შვეიცარიელ დანიელ შნიდერს 11 წამით აჯობა. ეს უკვე ზედიზედ მეორე წელია, რაც ჟალაბერი ამ ტურნირს გამარჯვებით იწყებს. მან განსაკუთრებით ძლიერად დისტანციის მეორე ნახევარი გაიარა და მეტოქეებსაც სწორედ ამის ხარჯზე აჯობა.



ლორან ჟალაბერი

„მინდა, რომ ამ შეჯიბრში ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინო, რადგან მისი გასრულების მერე აგვისტომდე დასვენებას ვაპირებ“ — თქვა ფრანგმა მეცამეტე სეზონური გამარჯვების შემდეგ.

წარმატების მიუხედავად „ჟაჟა“ მოწყენილი ჩანდა, რადგან საფრანგეთის ველოსიპორტის ფედერაციამ იგი ეროვნული ნაკრებიდან მოკვეთა. მიზეზი ბანალურია: ანტიდოპინგური კონტროლის გავლაზე უარის თქმა. „ჯიროს მიმდინარეობისას 3 სისხლის და 15 შარდის ანალიზი ჩავაბარე და ერთხელაც არ აღმომჩენია დოპინგის კვალი. ყოველდღე ხომ არ დავიწყებ სისხლის აღებას და სინჯარებში ჩაფსმას“ — ჟალაბერი აღშფოთებული იყო.

რაც შეეხება შვეიცარიის ტურის ორ სხვა ფავორიტს — იან ულრიხმა (გერმანია) „ჟაჟასთან“ 21 წამი წააგო, რუსმა პაველ ტონკოვმა კი — 30.

გაბი გურული

I ეტაპი, სოლური ინდივიდუალური რბოლა, 6 კმ

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) — 7 წთ 12 წმ
2. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი) — +9 წმ
3. დანიელ შნიდერი (შვეიცარია) — +11 წმ
4. რობერტო პეტიტო (იტალია) — +11 წმ
5. ერიკ დეკერი (ჰოლანდია) — +13 წმ
6. მარკ ვოტერსი (ბელგია) — +13წმ
7. შტეფან ვესემანი (გერმანია) — +13 წმ
8. ბეატ ზბერგი (შვეიცარია) — +14 წმ
9. მარტინ ჰვასტიგა (სლოვენია) — +14 წმ
10. მიკელ სარაბეიტია (ესპანეთი) — +14წმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიმალაელი ვეფხვები

პატარა შერპის ფიქრები: ხენ რო თენსინგ შერპა

როცა ჰიმალაის თუ ყარაყორუმის ცათამბჯენ მწვერვალებზე და მასზე ამსვლელ მთამსვლელებზე მოგითხრობთ, მუდამ გახსენებთ შერპებსაც. ასეა — იმ მთებში, სადაც არის დასავლელი მთამსვლელი, იქვეა შერპიც.

მაგრამ ვინ არიან შერპები? ბევრს შერპი მზიდავის სინონიმი ჰგონია. აღმოსავლეთში მზიდავს ყული ჰქვია. ჰოდა, თუ გინდათ, რომ შერპს აწყენინოთ და გული მოუკლათ, უთხარით ყული ხარო.

შერპები ძალზე პატარა ერის წარმომადგენლები არიან. ყოველ ათას ნეპალელზე მხოლოდ ორ შერპი მოდის, მაგრამ ამ პატარა ერის შვილებმა დიდად გაითქვეს სახელი როგორც მთამსვლელთა ჩინებულმა დამხმარეებმა და თავადაც უბრწყინვალესმა ალპინისტებმა. ოციანი წლების დასაწყისში შერპები პირველად მიიზიდეს თავიანთ ექსპედიციებში უცხოელმა ჰიმალაის მკვლევარებმა. მას შემდეგ ჰიმალაის მთებში არც ერთი ექსპედიცია — მთამსვლური, სამეცნიერო თუ ტურისტული ჯგუფი არ შესულა შერპების გარეშე.

მთამსვლელობაში ოფიციალური რეკორდები არ აღინიშნება, თუმცა, სპორტის ეს სახეობა აღსავსეა ფრიად საინტერესო მიღწევებით, მათ შორის ყველაზე ან ერთ-ერთი უფრო გამორჩეული რეკორდების ავტორები შერპები არიან.

თავისთავად რეკორდი იყო დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე პირველასვლა. და მაშინ, 1953 წელს, როცა ადამიანმა ზღვის დონიდან პირველად შედგა ფეხი 8848 მეტრის სიმაღლეზე, იქ ინგლისელთა ექსპედიციის წევრ ედმუნდ ჰილართან ერთად იყო შერპი თენსინგ ნორგეი.

ედმუნდ ჰილარის ფოტო

თენსინგ ნორგეი ჯომოლუნგმაზე

ანგ რიტა ჯომოლუნგმაზე

ანგ რიტა ნამსენერისის ფოტო

აპა შერპა

ჯომოლუნგმაზე ასვლის მერე უბრალო გლეხის შვილის თენსინგ ნორგეის სახელი ელვის უსწრაფესად მოეფინა მთელს დუნიას. მასთან შესახვედრად ილტვოდნენ პრეზიდენტები, მონარქები, ბანკირები, პრეზიდენტები, მონარქები, და რა თქმა უნდა, უბრალო ხალხი.

დღესაც ნეპალელთათვის და, უწინარეს ყოვლისა, შერპებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია სიმღერა თენსინგზე: „ხენ რო თენსინგ შერპა“ — ისეთი ვიქნები, როგორიც იყო შერპი თენსინგი.

და გახდნენ კიდეც...

დედამიწის უმაღლეს მწვერვალებზე პირველამსვლელთა სიაში მრავალად არიან შერპები. გავიხსენოთ გიალცენ ნორბუ, რომელიც მანასლუზე პირველამსვლელთა შორისაა. გავიხსენოთ ნიმა დორი და დავანგ დორი, რომლებიც სხვებთან ერთად დჰაულაგირზე პირველამსვლელებად ითვლებიან; გავიხსენოთ პაზანგ დავა ლამა (ჩო ოიუზე), სხვები და სხვები.

შერპთაგან არანაკლებ უებრო მთამსვლელი იყო სარდარ ანგ ფუ. იგი ნეპალელთაგან პირველი იყო, რომელიც ორჯერ ავიდა ჯომოლუნგმაზე, ხოლო მსოფლიოში პირველი, ვინც დედამიწის უმაღლეს წერტილს ორი სხვადასხვა გზით მიაღწია.

პირველი ადამიანი, რომელმაც დედამიწის უმაღლესი მწვერვალიდან ოთხჯერ გადმოიხედა, რა თქმა უნდა, შერპი იყო — სონდარე.

სონდარემ მეოთხედ რომ შედგა ფეხი დედამიწის სახურავზე, მაშინ, 1988 წელს, მასთან ერთად იყო მისი თანამემამულე ანგ რიტა, ვინც მესამედ ავიდა ჯომოლუნგმაზე.

აბა, რა იცოდა მაშინ სონდარემ ან სხვამ, რომ ანგ რიტა კიდევ შვიდჯერ ავიდოდა ჯომოლუნგმაზე და გახდებოდა პირველი ადამიანი, ვინც იქიდან ხუთჯერ, ექვსჯერ, შვიდჯერ, რვაჯერ, ცხრაჯერ და მეათეჯერ გადმოიხედავდა იქიდან.

ანგ რიტა ბოლოს დედამიწის სახურავზე 1996 წელს ავიდა და მერე, როგორც იტყვიან, დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, მაგრამ უკვე მაშინ ნათელი გახდა, რომ მის ამგვარ რეკორდს გაიმეორებდა აპა შერპა, თუ, რაღა თქმა უნდა, არ დაიღუპებოდა.

ჯვარი წერია აპა შერპს და, ამ გალეულმა კაცმა ახლა ჯომოლუნგმაზე ჩრდილოეთიდან მოიერიშე პირველი ქართული ექსპედიციის წევრებთან ერთად მართლაც მეათედ ამოჰყო თავი დედამიწის კენწეროზე. ამით მან გაიმეორა ანგ რიტას რეკორდი და... გაუმჯობესა კიდეც, რადგან აპა შერპა ბოლო ასვლის წყალობით გახდა პირველი, ვინც ეს მწვერვალი ორივე მხრიდან დალაშქრა.

თუმცა, ანგ რიტას ერთი რეკორდი მაინც დარჩა, სამხრეთიდნა ათჯერ არავინ ასულა ჯომოლუნგმაზე.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს სრულყოფილი სტატისტიკა, თორემ შესაძლოა ანგ რიტა სხვა რეკორდის ავტორიც იყოს. იქნებ სწორედ ანგ რიტაა ის, ვინც საერთოდ რვაათასიანებზე ყველაზე ბევრჯერ ასულა, რადგან ჯომოლუნგმაზე ასვლების შუალედებში იგი სხვა ბუმბერაზებზეც „არბოდა“.

ანგ რიტამ ასეთი რბოლა ესპანელებთან დაიწყო და მათთან ერთად 1978 წელს თავისი პირველი რვაათასიანიდან, დჰაულაგირიდან გადმოიხედა. სწორედ დჰაულაგირი იყო პირველი, რომელიც ანგ რიტამ ამოიჩემა და მომდევნო წელს ექვსდღიანი ინტერვალით ორჯერ ამოჰყო თავი იმ ბუმბერაზზე და გახდა მსოფლიოში პირველი, ვინც ეს დჰაულაგირზე სამჯერ შესძლო.

ყველა ეს ასვლა, მათ შორის ჯომოლუნგმაზე და სხვაგან, ანგ რიტამ ჟანგბადის ბალონების გარეშე განახორციელა, რაც ფანტასტიკურ მიღწევად გვესახება.

დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ყველაზე ახალგაზრდა ამსვლელიც ისევ და ისევ შერპია. ეს გახლავთ შამბუტამანგი, რომელმაც ჯომოლუნგმა 1973 წლის 5 მაისს დალაშქრა, როცა თექვსმეტისა იყო.

ისიც გავიხსენოთ, რომ ჯომოლუნგმაზე სამხრეთიდან ასულ ჩვენს მთამსვლელებზე ხუთი დღით ადრე იქ ნამყოფმა ბაბუ შერპამ მწვერვალზე 21 საათამდე გაატარა, თანაც ჟანგბადის ბალონის გამოუყენებლად, რაც მსოფლიოს რეკორდი და სასწაულის ტოლფასია. მისი მიღწევა ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებზე მედიკოსთა ცოდნასა და წარმოდგენას თავდაყირა აყენებს.

შერპებს კიდევ მრავალი რეკორდი ეკუთვნით სხვა რვაათასიანებზე, მაგრამ ისინი ყოველთვის როდი იმარჯვებენ. ბარში დაღუპულ შერპებს, ბუდისტების წეს-ჩვეულებისამებრ, კოცონზე წვავენ. მთაში დაღუპულ შერპებს კი თოვლ-ყინულეთის სამარეში ასაფლავებენ, ზოგიც კი უგზო-უკვლოდ იკარგება ლაშქრობისას.

ჰიმალაის მთებში შერპებზე ბევრი, ალბათ, არც ერთი ხალხი არ დაღუპულა.

1922 წელს ჯომოლუნგმას კალთებზე შვიდმა შერპმა ჰპოვა სამუდამო სასუფეველი.

1937 წელს მრისხანე რვაათასიან ნანგა პარბატის დასამორჩილებლად გერმანელებთან ერად შერპებიც წავიდნენ. იქიდან შვიდი გერმანელი და ცხრა შერპი ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა — ღამით მოულოდნელად მომწყდარმა უზარმაზარმა ზვავმა კარვებში მძინარენი თან ჩაიტანა.

მთაში, ჯომოლუნგმას კალთებზე დაიღუპა სახელგანთქმული ანგ ფუც. სწორედ ის ანგ ფუ, რომელიც მსოფლიოში პირველი ორჯერ სხვადასხვა გზით ავიდა ჯომოლუნგმაზე, მაგრამ მეორე ლაშქრობიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა. ეს მოხდა 1979 წელს, როცა იუგოსლავიელთა ექსპედიციას ახლდა.

მაგრამ შერპები არა მხოლოდ მწვერვალთა დალაშქვრით გამოირჩევიან, არამედ დიდი ერთგულებითაც. ისინი მთამსვლელებთან ერთ თოკში ჩაბმულნი მათი ჭირ-ვარამის თანაზიარნი არიან. შერპები იღუპებიან არა მხოლოდ ზვავსა და ქვათაცვენაში, ყინვასა და ქარბუქში, არამედ სხვათა გადარჩენის ცდის დროსაც.

1934 წელს შერპები გერმანელ მთამსვლელებს ნანგა პარბატზე გაჰყვნენ. შერპები თავიანთი მშობლიური მთებიდან ასე შორს პირველად წავიდნენ. წავიდნენ და იქიდან ოთხ გერმანელთან ერთად ექვსი შერპი ვეღარ დაბრუნდა. ისინი ძლიერ ქარბუქში დაიღუპნენ.

მაშინ შერპი გაიალი ექსპედიციის მეთაურ ვილი მიორკლთან ერთად მიზანთან ახლოს იყო, როცა ქარბუქი ამოვარდა. ამიტომ მათ პირი იბრუნეს, მაგრამ ისედაც ილაჯგაწყვეტილ მიორკლის სულ უფრო და უფრო ეცლებოდა ძალა, ბოლოს განძრევაც აღარ შეეძლო. გერმანელის დატოვებას გაიალმა მასთან დარჩენა და სიკვდილი ამჯობინა. მათ გვამებს ოთხი წლის მერე მიაგნეს. ერთმანეთის გვერდით იწვნენ. მნახველთათვის აშკარა იყო, რომ გაიალმა მეტ ხანს იცოცხლა.

შერპების გამძლეობაზე საარაკო ამბებს ჰყვებიან. 1981 წელს საგანგებო სამეცნიერო ექსპედიცია იკვლევდა დიდ სიმაღლეზე ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს, გულსისხლძარღვთა, სასუნთქი და სხვა ორგანოების შემგუებლურ თვისებებს ჟანგბადის ნაკლებობის პირობებთან. აღმოჩნდა, რომ დასავლელი პროფესიონალი მთამსვლელებისგან განსხვავებით მოსიმაღლე შერპებს ძილისას სუნთქვის რიტმი დარღვეული არ ჰქონდათ მაშინაც კი, როცა ჩასასუნთქ ჰაერში საგრძნობლად შეამცირეს ჟანგბადი.

შერპთა საოცარი ამტანობა ნაწილობრივ, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ ისინი დიდ სიმაღლეზე ცხოვრობენ. ამასთან, შერპი ჩვილობიდანვე ეჩვევა ლაშქრობას. დედა ბავშვს კალათში სვამს და ბარგთან ერთად, წვიმასა თუ სიცხეში, თოვლსა თუ ქარბუქში, ზევით ქვევით დაჰყავს. სადაც უსამდებათ, იქვე უთენდებათ.

ერთი სიტყვით, შერპი სიკვდილამდე სიცოცხლისთვის იბრძვის, ნიადაგ გზაშია და მძიმე ბარგით, ფეხშიშველი, დარსა თუ ავდარში აღმა-დაღმა დადის საშოვარზე. მათთვის მთამსვლელთა ექსპედიციებიც საშოვარია და იმავდროულად ვაჟკაცობის საზომიც.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში შერპების ისტორია ბურუსით იყო მოცული. 1965 წელს დადგინეს, რომ შერპები წინათ ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ ტიბეტის პროვინცია კხამში, რომელიც თანამედროვე ჩინეთის პროვინცია სიჩუანის ჩრდილოეთით მდებარეობს. XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე მონგოლთა თარეშის გამო თანამედროვე შერპების წინაპართა პირველი ოჯახები თავიანთი მამაპაპეული მიწა-წყლიდან აყრილან და სამხრეთ-დასავლეთით დაძრულან. მონგოლთაგან თავდაღწეულ შერპებს მერე ცეცხლი შეუნთო კაშგარელი ფანატიკოსი მუსულმანის სულთან საიდ ხანის არმიამ, რომელიც 1531-1533 წლებში თავს დაესხა ტიბეტს.

ლტოლვილმა შერპებმა ჰიმალაიზე ნანგა-ლას ზეკარი (5716მ) გადმოლახეს და აღმოსავლეთ ჰიმალაიზე, უკაცრიელ ადგილზე დასახლდნენ. იმ ადგილს დღეს სოლო კხუმბუს უწოდებენ. ახლა სწორედ სოლო კხუმბუ ითვლება შერპთა სამშობლოდ.

მერე და მერე მთამსვლელობის განვითარებასთან ერთად შერპები მთელს ჰიმალაის მოედვნენ. მათი სალოცავი დროშები ფრიალებენ ინდოეთშიც, კერძოდ, დარჯილინგში, განტოკში, კალიმპონგეში. ისინი მისდევენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, თესენ კარტოფილს, მოჰყავთ ხორბალი, ბრინჯი, 5500 მეტრ სიმაღლეზე მწყემსავენ იაკებს, თხებს, წნავენ კალათებს ან სხვა ჰიმალაელ მთიელთა მსგავსად განმარტოვდებიან ხოლმე მონასტერში და ლოცვას ეძლევიან. ისინი კი, ვინც თავიანთ პროფესიად ალპინიზმი, მთამსვლელთა გამყოლობა და პარტნიორობა გაიხადეს, ცოტანი არიან. იმ შერპ მთამსვლელებს, რომლებიც 8000 მეტრს გადალახავენ, ოფიციალურად ანიჭებენ „მყინვართა ვეფხვის“ ტიტულს. ვეფხვთა შორის გამორჩეულნი კი სირდარები არიან, რაც შერპების და მზიდავების ხელმძღვანელობას გულისხმობს.

1982 წელს ჯომოლუნგმას მისადგომებთან ასვლისას ჩვენს სირდარს ზამბუ შერპას კახური ქუდის მსგავსი ქუდი ეხურა. ისეთი ქუდები თურმე მხოლოდ იმ ნეპალელებს ახურავთ, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში არიან. სირდარი კი სახელმწიფო სამსახურში ითვლება. საკმარისია შერპთა და მზიდავთა მუშაობაზე ვინმემ აუგი თქვას, რომ სირდარს სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვენ. ამიტომაც შერპები იმაზე მეტს აკეთებენ, რაც ევალებათ.

ერთს გავიხსენებთ — სამშობლოში მომავალთ კატმანდუს აეროპორტში ჩვენი სირდარი გამოგვეცხადა. გამომშვიდობებისას გასასვლელში ჩადგა, ყველას ღია ბარათები გვისახსოვრა, ხელი მაგრად ჩამოგვართვა და კისერზე ყელსაბამივით შეგვაბა ქათქათა, გახამებული მარლის ნაჭრები — შერპთა სალოცავი „დროშები“ და გვითხრა, ეს ავი სულებისაგან დაგიცავთ და შინ მშვიდობით ჩაფრინდებითო.

ავთანდილ გურასაშვილი

ავთანდილ გურასაშვილის ფოტოები

შერპთა ნაწილი, სხვა ჰიმალაელთა მსგავსად, განმარტოვდება ხოლმე და ბუდისტთა მონასტერში ლოცვას ეძლევა

შერპი ქალები შერპთა ბილიკებზე

1982 წელს, როცა ეს შერპი ბიჭი ფირზე აღბეჭდეთ, თორმეტისა იყო, ახლა კი 29 წლისა იქნება და ვინ იცის, იქნებ ნამდვილი მყინვართა ვეფხვიცაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

დალასი დანაღმულ ველზე

დალასის გამოცდილი მცველი, 1986 წლის თასის მფლობელი კრეიგ ლუდვიგი ბავშვურად შეცდა — თავისსავე ზონაში ბუფალოელი დიქსონ უორდი ჩინებული პასით დააჯილდოვა. მეტოქე არ დაახანა და... ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა.სერიაში ანგარიში გათანაბრდა. ჩვენ კი ფინალში, მეტი თუ არა, კიდევ ერთი საინტერესო დაპირისპირება მაინც მოგველის

STANLEY CUP PLAYOFFS

სერიის ანგარიში

დალასი — ბუფალო 2:2

მეოთხე მატჩი. 15 ივნისი

ბუფალო — დალასი 2:1

1:1 1:0 0:0

1:0 სანდერსონი 8'09 (4); 1:1 ლეჰტინენი 10'14 (9); 2:1 უორდი 27'37 (7)

დარტყმები: 18-13

საჯარიმო წუთები 14-18

დასანანია, რომ სერიის ყველაზე საინტერესო და შინაარსიანი მატჩის ბედი უხეშმა შეცდომამ გადაწყვიტა. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ბუფალოელთა გამარჯვებას ერთობ შემთხვევითი ელფერი მიეცა, რადგან მასპინძელთა პირველი შაიბაც მეტოქეთა დაცვის შეცდომას მოჰყვა, შედეგი მაინც კანონზომიერია. ამჯერად ბუფალო სერიის პირველ მატჩზე უფრო მეტად იმსახურებდა მოგებას.

შემთხვევით არაფერი ხდება

წინა სამ მატჩში წმინდა სათამაშო თვალსაზრისით ბუფალო მეტოქეზე სუსტად გამოიყურებოდა და ლინდი რაფის გუნდისგან მოსალოდნელი იყო ტაქტიკის შეცვლა. ეჭვი არ იყო, გახსნილი ბრძოლა „ვარსკვლავებთან“ მათთვის დამღუპველი გახდებოდა (სხვათა შორის, ეს ამ მატჩმაც დაადასტურა), მაგრამ, მეორე მხრივ, არც 60 წუთის განმავლობაში ჩასაფრებამ და ეპიზოდურმა აფეთქებებმა გაამართლა. ამჯერად რაფმა გუნდის თამაშში გარკვეული კორექტივები შეიტანა და ამან ნაყოფი გამოიღო.

მწვრთნელის მითითებით, „ხმლები“ ისევ დროდადრო ფეთქდებოდნენ, ოღონდ ამჯერად უფრო ხშირად და ხანგრძლივად. ამ ტაქტიკური გეგმის განხორციელება დებიუტშივე დაიწყეს. ერთი-ორი ელვისებური კონტრშეტევა, შემდეგ რიცხვმრავლობაში ორწუთიანი ზეწოლა და ამას პირველი გოლიც მოჰყვა. როგორც კი დალასი სერიოზულად დამკვიდრდა მეტოქის ზონაში, გამოცდილი პეტ ვერბეკი პასისას შეცდა, შაიბა რეაქტიული სისწრაფის ჯეფ სანდენსონმა ჩაჭრა, მცველებს იოლად გაექცა და ედ ბელფორიც ჩინებულად მოატყუა.

მეორე ხანგრძლივმა გააქტიურებამ მასპინძლებს მეორე შაიბაც მოუტანა. უფრო სწორად, „სეიბრსი“ ამზადებდა ამას და ლუდვიგის შეცდომამაც ხელი შეუწყო. უორდის შაიბის შემდეგ რამდენიმე წუთის განმავლობაში ბუფალო თავდაუზოგავად უტევდა ედ ბელფორის კარს (ჩრდილოამერიკელი სპეციალისტები ბუფალოელებს ბულტერიერების ხროვას ტყუილად ხომ არ უწოდებენ), ცდილობდა, მალევე მოეთავებინა საქმე. „ხმლებმა“ გამოცდილ დალასელებს ისე აუბნიეს თავგზა, რომ თავისუფლად შეიძლებოდა, კიდევ ორი-სამი შაიბა შევარდნილიყო სტუმართა ბადეში. ყველაზე კარგი მომენტი კი მიროსლავ შატანს ჰქონდა, რომელმაც ნახევარი მეტრიდან დაარტყა და მაინცდამაინც კარის ხაზზე მყოფ ბელფორის ყვანჯს მოარტყა. როგორც ჩანს, ამ ფინალს ერთ შაიბაზე მეტით დაწინაურება არ დაებედა (დერიან ჰეჩერის მიერ მეორე მატჩის ბოლო წამებზე ცარიელ კარში გატანილს თუ არ ჩავთვლით)

დალასმა, რაო? ყველაფერი კარგადააო

ბუფალოელთა ყველა მომენტი ამ ორ მონაკვეთში მოექცა, დანარჩენ დროს ან თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, ანდა დალასს ეპყრა ხელთ უპირატესობა. ჯერ კიდევ პირველ პერიოდში, სანდერსონის შაიბის შემდეგ, დალასი გაცხარდა და რიცხვმრავლობა გამოიყენა (სხვათა შორის, პირველი მატჩის შემდეგ ეს პირველად მოახერხა): მაიკ მოდანოს კარგი პასის შემდეგ იერე ლეჰტინენმა ანგარიში გაათანაბრა. ამ გოლის შემდეგ გაჩაღებულ გახსნილ თამაშშიც დალასი უკეთ გამოიყურებოდა და რომ არა დომინიკ ჰაშეკი, დაწინაურდებოდა კიდეც. სიტყვამ მოიტანა და, „დომინატორი“ კვლავ შეუდარებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ დალასელებმა კვლავ სცადეს, წონასწორობიდან გამოეყვანათ.

ყველაზე მეტად სტუმრებმა ბოლო პერიოდში იძალეს და, ტრადიციულად, მეტოქეზე უკეთ ითამაშეს (ეს მაშინ, როცა ბუფალო საშუალო ასაკით გაცილებით ახალგაზრდაა). დალასი დიდი შემართებით უტევდა. იყო მომენტები, როცა მასპინძლებს ერთი სული ჰქონდათ, შაიბა როგორმე ზონიდან გაეტანათ. 20 წუთის განმავლობაში „ხმლებმა“ მხოლოდ ორჯერ დაარტყეს (!), რაც თასის ფინალების ისტორიაში მეორე უცუდესი შედეგია, მაგრამ დაცვამ და ჰაშეკმა ძალიან საიმედოდ ითამაშეს. ასე რომ, აშკარა მომენტებამდე საქმე არცთუ ხშირად მიდიოდა. აღსანიშნავია ბუფალოელთა კაპიტნის, მაიკ პეკას სამეულის თამაში, რომელიც ამჯერად ჯო ნუინდაიკის ტრიოს დაუპირისპირდა და დაჩრდილა კიდეც. ერთხელ ჰაშეკიც უძლური იყო: ლუდვიგის მიერ დარტყმული შაიბა ვეტერანმა რენდი კანიურტმა გამოიტანა ცარიელი კარიდან. აღსანიშნავია, რომ 38 წლის კანიურტი, რომელიც ჩემპიონატში ეპიზოდურად ასპარეზობდა, სწორედ ამ მატჩის წინ გამოიძახეს ფარმ-კლუბიდან.

ბრძოლა ბოლო წამებამდე გაგრძელდა, მაგრამ ბუფალომ მაინც გაუძლო და, შეიძლება ითქვას, ბეწვზე გადარჩა, რადგან დალასი, მოგების შემთხვევაში, შანსს ხელიდან აღარ გაუშვებდა. თუმცა მატჩის შემდეგ დალასელები დამწუხრებულნი სულაც არ იყვნენ, მათი ლიდერი მაიკ მოდანო კი ენაწყლიანობდა: „მართალია, საქმე გავირთულეთ, მაგრამ ჩვენი თამაში ოპტიმიზმის საბაბს მაძლევს.“

შეგახსენებთ, რომ ამ პლეი ოფში დალასი უკვე მესამედ იგებს სერიაში 2:1 და მეოთხე თამაშს აგებს. ადრე თავისას მაინც აღწევდა, თუმც წლეულს მან არაერთი ტრადიცია დაარღვია.



REUTERS ბუფალოდან

წაქცეული და ბედნიერი: ეს წამია, ბუფალოელმა ჯეფ სანდერსონმა (80) ედ ბელფორს პირველი შაიბა გაუტანა

ჰაშეკს ეს ერთადერთი შაიბა დალასელმა იერე ლეჰტინენმა გაუტანა

REUTERS ბუფალოდან

ბუფალოელი დიქსონ უორდის მეორე, გადამწყვეტი გოლი ედ ბელფორის კარში

მე ეს მინდოდა!

„როდესაც 20 წლის წინ მწვრთნელის კარიერა დავიწყე, ორი მიზანი დავისახე — ერთი კანადის ეროვნული გუნდის თავკაცობა გახლდათ, მეორე — ნჰლ-ის რომელიმე კლუბის მთავარი მწვრთნელობა, ამიტომაც დღევანდელი დღე უბედნიერესია ჩემს ცხოვრებაში“ — 48 წლის ენდი მიურეი აღტაცებას ვერ ფარავდა. 14 ივნისს კანადელ სპეციალისტს მეორე ნატვრა აუსრულდა — „ლოს ანჯელეს კინგსის“ თავკაცი გახდა. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ მან, როგორც იქნა, შეაბიჯა ნჰლ-ის მწვრთნელთა საკმაოდ ვიწრო კასტაში. მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში ლიგაში მომუშავე მწვრთნელთა ვინაობა უმნიშვნელოდ იცვლება. ძირითადად სპეციალისტები ერთი გუნდიდან წასვლის შემდეგ მეორეში გადადიან.

ენდი მიურეიმ 1996 წელს დაიწყო მუშაობა კანადის ნაკრებთან და მომდევნო წელს იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახადა. მას არც ნჰლ-ში მუშაობის გამოცდილება აკლია. კარიერის მანძილზე იგი ფილადელფიაში, ვინიპეგში და მინესოტაში მუშაობდა ასისტენტად, ხოლო „კინგსში“ ლარი რობინსონის ნაცვლად მივიდა (ეს უკანასკნელი დაქვეითდა, ნიუ ჯერსიში ასისტენტად გადავიდა). საინტერესოა, რომ შარშან მიურეი მინესოტას ერთ-ერთი კოლეჯის გუნდს წვრთნიდა, ამიტომაც მისი დანიშვნა ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა.



ენდი მიურეი

სულ ერთ მატჩში მარცხმა შეიწირა ფინიქსის თავკაცი ჯიმ შონფელდი. ეს მოხდა პლეი ოფში, სენტ ლუისთან სერიის ბოლო, მეშვიდე თამაშში. ამ წაგების შემდეგ ფინიქსმა ზედიზედ მეცხრედ ვერ გადალახა თასის პირველი ბარიერი. თანაც, ამ სერიას „კოიოტები“ 3:1 იგებდნენ. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ბობი სმიტმა შონფელდის დათხოვნის მთავარ მიზეზად სწორედ ეს დაასახელა.

შონფელდმაც აღიარა, რომ ეს სერია მისთვის დიდი ფსონი იყო და, სამწუხაროდ, წააგო. ყველაზე დასანანი კი ისაა, რომ „კოიოტებმა“ სეზონი მშვენივრად დაიწყეს, ჩემპიონატში დიდხანს ლიდერობდნენ და ერთხანს შონფელდის სეზონის საუკეთესო მწვრთნელად აღიარებაზეც კი დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, იღბლიანობა უიღბლობამ შეცვალა.

სამველ ლარიბიანი

ავტორბოლა



დეიმონ ჰილი

წავედი! ჰილი და ჩრდილი?

ფორმულა 1-ის 1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა დეიმონ ჰილმა პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა.

„ბევრი ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ არ ღირს 1999 წლის სეზონის შემდეგ ფორმულა 1-ში კარიერის გაგრძელება. რბოლამ შესანიშნავი შესაძლებლობები გადამიშალა წინ და უამრავი სასიამოვნო მოგონებაც მაჩუქა. თუმცა მე საკუთარი ამბიციები დავიკმაყოფილე და თავი ძალიან იღბლიანადაც მიმაჩნია.“

ჰილი 1993-96 წლებში „უილიამსის“ შემადგენლობაში ასპარეზობდა, მერე ჯერ „ეროუზში“ გადაბარგდა, შარშან კი — „ჯორდანში“. ამ 7 სეზონის მანძილზე ყოფილი ჩემპიონის, გრეჰემ ჰილის ვაჟიშვილმა, 22 გრან პრი მოიგო.

თუმცა წლეულს დეიმონმა ექვსიდან მხოლოდ ორი რბოლის დასრულება მოახერხა, უამრავი შეცდომაც დაუშვა და თანაგუნდელ ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის ჩრდილში მოექცა. როგორც ამბობენ, 39 წლის მრბოლის წასვლა სწორედ ამ ფაქტმა დააჩქარა.

„ეს სევდიანი, მაგრამ მამაცური და პატიოსანი გადაწყვეტილებაა, რომელიც ბრიტანეთის ერთ-ერთმა უდიდესმა სპორტსმენმა მიიღო“ — ტკბილი სიტყვა არ დაამადლა თავის მრბოლს გუნდის პატრონმა ედი ჯორდანმა.

ბაჩა არჯევანიძე

მძლეოსნობა

დაშავებული ორდენოსანი

ამ ზაფხულს რომ სევილიაში მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, იქ ბრიტი მორბენალი აივონ ტომასი ველარ იქნება. ტომასს მარცხენა ფეხის ტრავმა სტანჯავს და შეუძლებელია, რომ აგვისტოს ბოლოსთვისაც ჯანზე იყოს.

არადა, სწორედ ტომასი განიხილებოდა მაიკლ ჯონსონის მთავარ მეტოქედ 400 მეტრზე რბენაში. „ვიცი, რომ შარშანდელი წარმატების შემდეგ, მე ფავორიტად მიმიჩნევენ, მაგრამ რას იზამ?“ — ამბობს ტომასი.

თურმე აივონი ექვს კვირას იქნება უქმად, მერე კი მსუბუქ სირბილსა და ველოსიპედით სიარულს მიჰყოფს ხელს. ტომასი სამხრეთ აფრიკაში ყოფილა სავარჯიშოდ და იქ დაშავებულა. ბედის ირონიით, მისი ტრავმა დაემთხვა დედოფლის დაბადების დღისთვის გამოქვეყნებულ დასაჯილდოვებელ ბრიტანელთა სიაში ტომასის მოხვედრას. აქეთ ბრიტანეთის იმპერიის ორდენი და იქეთ, უმედლო მსოფლიოს ჩემპიონატი. რას იზამ?

აივონ ტომასი

ჰოლანდია	
გადასასვლელი ტურნირი	
V ტური	
დორდრეხტი 2:1 ემენი	
ვალვაიკი 2:0 ზვოლე	
ჰელმონდ სპორტი 0:1 გრონინგენი	
სპარტა 6:0 ექსელსიორი	

ნორვეგია
XI ტური
ლილესტრიომი 4:1 ვალერენგა
მოსი 2:5 სტრომგოდსეტი
ოდ გრენლანდი 0:0 მოლდე
სკეიდი 0:1 კონგსვინგერი
ვიკინგი 0:2 რუსენბორგი
ტრომსო 5:1 ბოდო გლიმტი

ესპანეთი
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
რეალი 2:1 ვალენსია
1:0 მორიენტესი (7), 2:0 მიატოვიჩი (63), 2:1 პოხო ლოპესი (86)

შვედეთი
XI ტური
იორებრო 3:1 ჰამარბი

ქალი ვარ და ქუდი მხურავს

ინგლისის განთქმულ საცხენოსნო ალაგას, ესკოტში ცნობილ რბოლათა პირველი დღე მიილია. ესკოტში მხოლოდ არისტოკრატი თუ ჩამოჯდება ტრიბუნაზე — ყარტაყურტა მონიძლავეებს იქ არავინ უშვებს. ეს ქალბატონიც, ალბათ, რომელიმე დიდგვაროვანის ცოლი, შვილი, დედა ან ბიცოლაა. თავსარქმელი ფრიადი შეურჩევია, თუმცა რა კავშირშია მის ქუდზე დამაგრებული თევზი ესკოტის ცხენებთან, ძნელი დასადგენია.

REUTERS ესკოტიდან

REUTERS ისტბორნიდან



მარტინა ქვეყანას უყურებს

ეს მოწადინებული მანდილოსანი არც გატანილ გოლს ზეიმობს და არც ტანვარჯიშის ილეთის რეპეტიციას გადის. ერთ ჭკვიან კაცს უთქვამს, ამ გადარეულ ქვეყანას ყირამალა დამდგარმა უნდა უყუროო, ჰოდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისიც თავის ჭიას ახარებს.

ეს კუნტრუშობის სცენა კი იღბლიან ფოტოგრაფ დილან მატინესს ინგლისური ისტბორნის კორტებზე გადაუღია.

1999 FIH CHAMPIONS TROPHY

FIH

ბალახის ჰოკეი. ჩემპიონთა თასი

კაცები. 16 ივნისი
ავსტრალია 1:1 კორეა
ჰოლანდია 1:0 ესპანეთი
ინგლისი 2:0 პაკისტანი

REUTERS ბრისბეინიდან

ჰოლანდია — ესპანეთი. ესპანელ რამონ სალასა (მარცხნივ) და ჰოლანდიელ რამონ ვიხკის ბურთი ვერ გაუყვიათ

REUTERS გებადან



იმ საწყლებს რაღა ეშველებათ...

რა ხანია, მსხვერპლი არ ყოფილა. თითქოს დამთავრდაო, გაიარა ამ დროებამ. მაგრამ სიავე რომ არ გამოილევა, ესეც ნაღდია. ტუნისელები არ ენდობიან თავიანთ მსაჯებს და გუშინაც, ქალაქ ბეხაში, იქაური „ოლიმპიკისა“ და სტუმარი „ესპერანსის“ თასის ნახევარფინალსაც ფრანგი მსაჯობდა. ფრანგმა 55-ე წუთზე შეწყვიტა მატჩი. ამ დროს ანგარიში 1-1 იყო, მაგრამ უკვე დაღუპულიყო ოთხი ქომაგი და ქვებისა და რკინის ნაჭრების წვიმა მოდიოდა. პოლიციამ სახელოები დაიკაპიწა და მოჩხუბარნი დააცილა, მაგრამ დაღუპულთ რაღა მობრუნებს ამ ქვეყნისკენ?

რატი რატომ?

ამ დღეებში ქუთაისში ჩასულა მეათე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი რატი ალექსიძე. მისი სტუმრობის მიზეზი ერთი იყო — იმერეთის გულში კარტინგისტთა შეჯიბრი ტარდებოდა და რატის მეგობრის მხარდაჭერა სწყუროდა. ესეც არ იყოს და, მანქანა დინამოელის ერთი დიდი სიყვარულია (რა თქმა უნდა, ფეხბურთის შემდეგ). თუ დავიდ ჟინოლა ამბობს, ფეხბურთს რომ მოვრჩები, ავტომრბოლი უნდა შევიქნეო, რატის რა, არ შეუძლია?

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29